# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 14 თებერვალი 2005 №31 (2354) ფასი 50 თეთრი



## მაინც რეინჯერსი და 2008

### ხიზანიშვილმა აიბროქსი გაიხანგრძლივა

23 წლის ზურაბ ხიზანიშვილმა „გლაზგო რეინჯერსთან“ კონტრაქტი გააგრძელა — ხიზანიშვილი „რეინჯერსს“ ახლა უკვე 2008 წლის ზაფხულამდე ეკუთვნის.

წინა კონტრაქტი ჩვენებურსა და „რეინჯერსს“ შორის 2006 წლის ზაფხულში იწურებოდა. კლუბმა ხიზანიშვილს ჯერ კიდევ შარშან შესთავაზა ხელშეკრულების გახანგრძლივება, მაგრამ მხარეები პირობებზე ვერ თანხმდებოდნენ. სიტუაცია იმდენად გამძაფრდა, რომ სალსალამათ ხიზანიშვილს ბოლო ხუთი რეინჯერსული მატჩი გამოატოვებინეს, აქედან ოთხში ზურა სამატჩო განაცხადშიც კი არ იყო შეყვანილი.

საქმე ზურას აგენტმა ივან ბენემმა მოაგვარა, ვინც გლაზგოში გუშინწინ ჩავიდა და კონტრაქტიც გაფორმდა.



## თბილისის ალანია თუ ვლადიკავკაზის დინამო?

### კანკავას კვირკველიაც გაჰყვიდა

# არდადეგები დამთავრდა, სკანდალი იწყება?

თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო — ეს ანდაზა ყველამ ვიცით. ახლა, მოდით, ვცადოთ, იქნებ იგი ქართულ ფეხბურთს მოვარგოთ: ერთი მხრივ, როგორც თებერვლის ხე, ქართული ფეხბურთიც იწყებს გამოცოცხლებას — დღეს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩია, „ზესტაფონი“ — „დინამო“ ანუ ზამთრის არდადეგების შემდეგ ჩვენში ბურთი პირველად გაგორდება და მერე, კვირის ბოლოდან მიჰყვება და მიჰყვება. მეორე მხრივ კი, წყლის ჩადგომისა რა მოგახსენოთ და, „დინამოსთვის“ წყლის შეყენებას კი მართლა ჰგავდა, რაც გუშინ რუსულმა ვებ-გვერდმა SPORTS.RU-მ გაავრცელა: შაბათს დაკავებულმა გერმანელმა მსაჯმა რობერტ ჰოიზერმა ჟურნალისტებს უთხრა, უეფას თასის შეხვედრა ათენის „პანიონიოსსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის გარიგებული იყოო. ამასთან, საიტი არ აზუსტებს წყაროს და იმასაც ბუნდოვნად ტოვებს, როდის უთხრა ჰოიზერმა ჟურნალისტებს ეს სიტყვები, ადრე თუ დაჭერის შემდეგ.



ავადსახსენებელი „პანიონიოსი“ — „დინამო“ თბილისელებს ერთხელაც გაახსენეს

ჩვენი მხრივ შევამოწმეთ ყველა გერმანული თუ სხვა წყარო, რაზეც ხელი მიგვიწვდა, მაგრამ მსგავს ინფორმაციას ვერსად წავაწყდით. თბილისის „დინამოს“ და „პანიონიოსის“ სახელები მართლაც ბევრ სტატიაში ტრიალებდა, მაგრამ უპირატესად როგორც საეჭვო თამაშის მაგალითი, ჰოიზერის ნათქვამის შესახებ კი ვერაფერს მივაგენით. და საერთოდაც, ვეჭვობთ, გერმანულ მართლმსაჯულებას ახალდაპატიმრებული კაცისთვის დაკითხვის ნაცვლად პრეს-კონფერენცია მოეწყო, ხოლო „დინამო“ მას ადრე რომ ეხსენებინა, ამბავი კარგა ხნის „აფეთქებული“ იქნებოდა.

„ერთხელაც ვაფიქსირებთ, რომ „დინამოს“ არანაირ გარიგებაში მონაწილეობა არ მიუღია. ჩვენ პატივს ვცემთ უეფას გამოძიებას, ველით მის საბოლოო გადაწყვეტილებას და შემდეგ ყველა იმ პირსა თუ ორგანიზაციას, ვინც ჩირქი მოსცხო „დინამოს“, საკადრისად მოვთხოვთ პასუხს“ — განაცხადა გუშინვე თბილისური კლუბის პრეს-სამსახურმა.

ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და... ვუცქიროთ ქართულ ფეხბურთს.

# მოვიდა მამალი

## დიმიტრი იაშვილმა ინგლისი პუდინგივით შეჭამა





# თბილისის ალანია თუ ვლადიკავკაზის დინამო?

## კანკავას კვირკველიაც გაეკიდა

**თბილისის** „დინამოს“ კიდევ ერთმა ფეხბურთელმა მიაშურა ვლადიკავკაზის „ალანიას“. 24 წლის ნახევარმცველი დავით კვირკველია გუშინ ესპანეთის გზას დაადგა და მარბელაში მოსამზადებლად მყოფ „ალანიას“ შეუერთდა. ვლადიკავკაზურ კლუბში კვირკველიას გადასვლის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ყოფილა. „დინამო“, „ალანია“ და ფეხბურთელი პირობებზე სიტყვიერად შეთანხმდნენ და ახლა საქმის საბოლოოდ მოგვარებას მხოლოდ კონტრაქტზე ხელმოწერა აკლია.

როგორც შაბათის „სარბიელში“ ვწერდით, მარბელაში „ალანიასთან“ კონტრაქტზე ხელმოსაწერად იმყოფება მეორე დინამოელიც — 18 წლის საყრდენი ნახევარმცველი ჯაბა კანკავა. ახალ კლუბში მისი ჩარიცხვის ამბავი ოფიციალურად აქამდეც უნდა გაფორმებულიყო, თუმცა ფორმალობათა გამო ტრანსფერი ჯერ არ შემდგარა. ისე კი, კანკავას ალანიელობა ალბათ უახლოეს დღეებში გადაწყდება.

კვირკველიას ოსური ტრანსფერის თაობაზე კი ისიც შევიტყვეთ, რომ „ალანია“ ქართველ ფეხბურთელს უკვე გამზადებულ კონტრაქტს სთავაზობს. ხელმოწერა კი კვირკველიას პირად მენეჯერთან შეხვედრის შემდეგ ვლადიკავკაზში შედგება.

მოკლედ, საქმე ისეა, რომ რუსული პრემიერლიგის დაწყებას ვლადიკავკაზის „ალანია“ ერთბაშად ხუთი ქართველით უნდა შეხვდეს — დღესდღეობით „ალანიაში“ ნახევარმცველები, ვიტალი დარასელია, ლევან გვაზავა და ლადო ბურდული ირიცხებიან, ასევე ჰავბეკები, ჯაბა კანკავა და დავით კვირკველია კი კონტრაქტის გაფორმების პირას არიან.

არ არის გამორიცხული, რუსეთის ჩემპიონატის დაწყებამდე „ალანიაში“ კიდევ ერთი დინამოელი, ოღონდ მცველი, გიორგი შაშიაშვილი გამოჩნდეს.

**კობა ინასარიძე**

# კიევის დინამოში უცნობი ქართველი გამოჩნდა

**დიდი შანსია**, კიევის „დინამოში“ მალე კიდევ ერთმა ქართველმა ითამაშოს. ლაპარაკია 17 წლის ირაკლი ქორთუაზე, რომელიც კიეველთა სარეზერვო გუნდს კვიპროსულ შეკრებაზე გაჰყვა.

ვლადიმირ ონიშჩენკოს გუნდი კუნძულზე ორ კვირას დაჰყოფს, ოთხ ტესტ-მატჩსაც გამართავს და ქორთუამ თუ მწვრთნელს თავი მოაწონა, ვინძლო, „დინამოს“ სრულუფლებიან წევრად იქცეს.

საქართველოს მოქალაქე ირაკლი ქორთუა ამპლუით მცველია, კიევის „დინამოს“ ვებ-გვერდზე მას ტალანტად მოიხსენიებენ. ის კი აღარ ვიცით, საქართველოს რომელი საფეხბურთო სკოლის აღზრდილია ირაკლი.

სხვათა შორის, კვიპროსულ შეკრებაზეა ალექსანდრე ამისულაშვილიც, რომლის სხვა კლუბში შესაძლო გადასვლაზე ახალი არაფერი ისმის.

**ილია ნანობაშვილი**

# თბილისს თვალები დაუწვრილდა

## ცაკარიასს შარშანდელი მინ ჩოი ჩამოუვიდა

**ლუის ცაკარიასის** „თბილისმა“ შაბათს „ოლიმპის“ სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე პირველლიგელ თბილისის „სპარტაკს“ 2:0 მოუგო, გოლები გოგი ფიფიამ და გიორგი მიქელაძემ მეორე ტაიმში გაიტანეს.

ეს „თბილისის“ ბოლო ტესტ-მატჩი იყო საქართველოს ჩემპიონატის განახლებამდე და, როგორც ხდება ხოლმე, პერუელმა მწვრთნელმა ორი შემადგენლობა ათამაშა — მხოლოდ გიორგი ლოლაძე გასარჯა შეუცვლელად.

„სპარტაკთან“ ითამაშეს გოგიტა გოგუამ და სანდრო იაშვილმაც. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ორივე „თბილისის“ ფეხბურთელი იქნება, თუმც იაშვილი თვენახევარში ალბათ ისევ წავა „გლაზგო რეინჯერსში“. რაც შეეხება ფიფიას, მისი გუნდში დარჩენა გადაწყვეტილია.



თბილისელთა საშუასეზონო ცვლილებებს ერთიც მიემატა — გუშინ ჩამოვიდა კორეელი თავდამსხმელი მინ ჩოი, რომელიც „თბილისში“ გასინჯვაზე შარშანაც იყო. აზიელი ბოლოს პერუში ბურთაობდა. „თბილისში“ მისი დარჩენა ჯერ გადაწყვეტილი არ არის — კორეელს ამ დღეებში დააკვირდებიან ვარჯიშებზე. როგორც შევიტყვეთ, მინ ჩოიმ სულ ახლახან ყურის ოპერაცია გაიკეთა.

დღეს კი „თბილისი“ აფრიკელითაც გაფერადდება. 19 წლის განელ ფორვარდ დუგლას ადომაკოზე უკვე ვწერდით და მინ ჩოის მსგავსად, მისი გათბილისელებაც მარიფათის ამბავი იქნება — ჯერ გასინჯვა, მერე თამაში...

**ილია ნანობაშვილი**

# კალაძე ჩელსის ისევ დაუკავშირეს

„მილანელები ახალ 5-წლიან კონტრაქტს მთავაზობენ. მათ ჩემი გაშვება არანაირად არ სურთ და არც მე მინდა სადმე წასვლა. კარიერასაც, ალბათ, „მილანში“ დავასრულებ“ — ეს სიტყვები კახა კალაძემ ორიოდ კვირის წინ გვითხრა და ახლაც მონაჭორს უწოდებს მის „ჩელსიში“ ან „მანჩესტერში“ შესაძლო გადასვლას.



და მაინც, გუშინ ბევრი საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებულ ცნობაში შავით თეთრზე ეწერა — „მილანი“ „ჩელსის“ 15 მილიონ გირვანქას სთავაზობს ერნან კრესპოს გამოსასყიდად და ზედ კალაძესაც უმატებსო. მოგეხსენებათ, კრესპო „როსონერიში“ იჯარით თამაშობს და საკმაოდ შედეგიანადაც, რაც იმის მანიშნებელია, რომ იტალიელები მას საბოლოოდ გამოისყიდიან „არისტოკრატებისგან“, მაგრამ ეს ქართველი მცველის გამოყენებით მოხდება თუ არა, ჯერ ძნელი სათქმელია.

**ილია ნანობაშვილი**




# ბრბოები

გასულ ოთხშაბათს კიდევ ერთხელ შეირცხვინეს თავი ქართველმა საფეხბურთო გულშემატკივრებმა.

ყველას ეწყინება, ფეხბურთის არმცოდნე და უზრდელ ბრბოებთან ერთად რატომ მოგვიხსენიებთ ჩვენ, ნამდვილ გულშემატკივრებსო და მართალიც იქნება.

მაგრამ სტადიონი ისეთი ადგილია, სადაც ყველანი ერთად ვართ და თანაც ყველას კლავინდებურად შავი და რუხი გვაცვია და გვახურავს. ამიტომ უცხო თვალისთვის გამორჩევა ძნელია — ვინ ნამდვილია და ვინ ველური.

ყმაწვილ ბრბოებში წესადაა შემოსული მოწინაალმდეგის და მსაჯის უმიზნო და უაზრო გინება, რაც ხელში მოგხვდება, იმის სროლა და საკუთარი ქვეყნის და გუნდის სიყვარულის ასე წარმოჩენა. ყმაწვილ გულშემატკივართა შორის სამნაირი ხალხი შეინიშნება: ჩვეულებრივნი, ფანები და ბრბოები. ჩვეულებრივნი ჩვეულებრივნი არიან, ფანები დროშადოლებით, გამუდმებული სიმღერითა და მსუბუქი (სიტუაციის მიხედვით) გინებით გამოირჩევიან, ბრბოებისთვის სულერთია. ისინი თითქოს იმიტომ მოდიან სტადიონზე, რომ საკუთარი გუნდის ერთგულებასთან ერთად საკუთარი უშიშარობა, სხვისი უპატივცემულობა და მსგავსი გრძელი სიის ამბები წარმოაჩინონ.

სხვანაირად ამას ჰქვია საფეხბურთო ხულიგნობა.

მაგრამ ჩვენ უფრო სერიოზული და ნამდვილი საფეხბურთო ხულიგნებიც გვინახავს, რომელებთან ჭიდილიც ჩვენს ბრბოებს გაუჭირდებათ. საერთოდ, თუ ხულიგნურ საფეხბურთო სულზეა ლაპარაკი და თუ მართლა ამ გიჟურ ცხოვრებას აწვები, შენი თავი გასვლით თამაშზე უნდა გამოსცადო. მაგრამ რა გასვლითი თამაში, როცა ამგვარ ბრბოთა უმრავლესობა თამაშებზე უბილეთოდ ხვდება — დაწყების წინ შემოუშვებენ ხოლმე.

საწყენია, რომ ისინი ძალიან სქემატურად ერკვევიან ფეხბურთში და სტადიონზე თავიანთი მაგარი ბიჭობა უყვართ და არა თავიანთი გუნდი.

საერთოდ კიდევ, ის უნდა გესმოდეს, რომ ლიტველებს არ ეკუთვნით ჩვენგან ასეთი მოპყრობა. არც ფეხბურთში და არც ისე.

უხსენი ახლა ბრბოებს, რა და როგორ.

# ამერის აზიური უქმეები

**ბრიტოლეთური** შეკრების მოლევის მერე პირველლიგელმა „ამერმა“ სამეორეწრეო სამზადისი თურქულ პელეკში განაგრძო. ხმელთაშუაზღვისპირა კურორტზე ხუთშაბათს ჩასულმა ამერელებმა ამ უქმეებზე ორი ამხანაგური მატჩი გამართეს. შაბათს „ამერი“ სათადარიგო შემადგენლობით სამხრეთკორეულ „ბუჩონს“ შეხვდა და 0:4 წააგო, გუშინ კი ძირითადი შემადგენლობით ყაზახური „ჟეტისუ“ 2:0 დაამარცხა.

„ამერის“ რეზერვისტთა მეტოქე კორეის ჩემპიონატის მე-10 ადგილოსანი და თასის ფინალისტი იყო. მთელი თამაში კორეელებს გვარიანი უპირატესობა ჰქონდათ და რამდენიც გაიტანეს, ერთი იმდენი ნაღდი მომენტი კიდევ შექმნეს. უფრო დიდი ანგარიშით დამარცხებისგან ჩვენიანები რევაზ ნაჭყეპიას ბრწყინვალე თამაშმა იხსნა. ამერელთა მეკარეს ვერც გაშვებულ გოლებში დავადანაშაულებთ, ცუდი თამაში კი უპირველესად ნახევარდაცვაში დაშვებული უხეში შეცდომების ბრალი იყო.

*ამერი B: ნაჭყეპია, გვაძაბია, ბერიანიძე, ა. აბაშიძე, ელბაქიძე, ბუალავა, კაიდარაშვილი, ნიკოლაიშვილი, სილაგავა (მჭედლიშვილი 46), ნადირაძე, წინამძღვრიშვილი.*

„ამერის“ საკვირაო მეტოქე ტალდი-კურგანის „ჟეტისუ“ კი ყაზახეთის ჩემპიონატის ბოლო სეზონში მე-8 ადგილზე გავიდა. პირველ ტაიმში ყაზახები ამერელთა ნახევარზე, ფაქტობრივად, არც გადასულან, მათ კართან კი ბლომად მომენტები შეიქმნა, თუმცა „ამერმა“ მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა — დავით სევასტოპულოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გიორგი დეკანოსიძემ გოლად აქცია. დეკანოსიძემ მოგვიანებით ბურთი ხარიხასაც გაარტყა.

მეორე ტაიმში თამაში გათანაბრდა, თუმც ყაზახებმა ვერც შესვენების მერე გააკეთეს რაიმე ღირებული, ამერელთა იერიშებს კი სიმწვავე აკლდა. თამაშის მიწურულს, 83-ე წუთზე, „ამერმა“ მაინც გაიტანა. მოედანზე ნახევარი წუთის შესული რატი წინამძღვრიშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მოატყუა და მახვილი კუთხიდან საგოლედ დაარტყა.

„ამერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ნადირაშვილი, კეღელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი (გვაძაბია 85), ზ. ჯელაძე, დეკანოსიძე, გარუჩავა (ბუალავა 88), ჩხეტიანი (მჭედლიშვილი 87), გ. ჯელაძე (სილაგავა 74), დავითაშვილი, სევასტოპულო (წინამძღვრიშვილი 83).*

**გიორგი დარჯანია ბელეკიდან**

# დავით ყიფიანის თასი

**მერვედფინალი. საპასუხო მატჩი**

ზესტაფონი. 14 თებერვალი. 13.30 საათი. ცენტრალური

## ზესტაფონი — დინამო (1:2)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; ა. კრიჟაშვილი (ორივე თბილისი);
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

დღეს ზესტაფონში ქართული საფეხბურთო სეზონი განახლდება და საინტერესო ამბის მოლოდინში ვართ — გაძლიერებული „ზესტაფონი“ გაძლიერებული „დინამოს“ წინააღმდეგ

# ზესტაფონი: პირველი გოლი, სტადიონი და ორიანი

## დინამო: გია გეგუჩაძის არჩევანი და არადანი



თბილისური მატჩი საპასუხო ზესტაფონურს დიდხანს ელოდა

**მოლოდინიერებულთა** ბრძოლას უეჭველი ფავორიტი არ ჰყავს, რადგან „ზესტაფონი“ შინ თამაშობს და თანაც სათასო მატჩებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ისიც ვთქვათ, რომ „ზესტაფონმა“ ეროვნულ ჩემპიონატში ბევრი ქულა დაკარგა, მე-7 ადგილზეა, ჩემპიონატში დიდი მიზნებისთვის ალბათ ვერ იბრძოლებს და მიმდინარე სეზონში აქცენტს თასზე აკეთებს.

შეტევაში „ზესტაფონის“ მთავარ ძალას 32 წლის ზურაბ იონანიძე და 29 წლის ზაზა ზირაქიშვილი წარმოადგენენ, რომელთაც გუშინ ვესაუბრეთ.

მერვედფინალის პირველ შეხვედრაში ზესტაფონელთაგან ზირაქიშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მისი თქმით, „დინამო“ ახლა მაშინდელზე უფრო ძლიერია, რადგან რამდენიმე კარგი ფეხბურთელი დაიმატა და გუნდში კონკურენცია გაიზარდა.

„მაგრამ „ზესტაფონიც“ გაძლიერდა და მიმაჩნია, რომ „დინამოს“ ჩვენთან ძალიან დიდი უპირატესობა არ აქვს, შანსებს 60/40-ზე ვაფასებ „დინამოს“ სასარგებლოდ“ — გვითხრა ზირაქიშვილმა.

მისგან შევიტყვეთ, რომ „ზესტაფონის“ მთავარ მწვრთნელ თემურ მახარაძეს ფეხბურთელებისთვის ჯერ არ უთქვამს, რა ტაქტიკით ითამაშებენ „დინამოსთან“.

„ჩვენ გოლი აუცილებლად უნდა გავიტანოთ, თუმცა ვერ გეტყვით, დაცვით ტაქტიკას ავირჩევთ თუ პირიქით“ — დასძენს ზირაქიშვილი.

ზირაქიშვილს თუ ვერწმუნებით, თბილისის „დინამოს“ სინდრომით „ზესტაფონი“ დათრგუნული არ არის, გუნდში კარგი განწყობაა და მეოთხედფინალში გასვლისთვის ფეხბურთელები ბოლომდე იბრძოლებენ.

და რა იქნება მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი დღევანდელ მატჩში?

„პირველი გოლის ფაქტორი, ყოველ შემთხვევაში, პირველ ტაიმში გოლი არაფრით არ უნდა გავუშვათ და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება გულშემატკივრის ფაქტორიც — ამბობენ, ზესტაფონის სტადიონი გაივსებაო“ — გვიპასუხა ზირაქიშვილმა.

თუმცა, ვინძლო, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ზურაბ იონანიძეც იყოს, შემტევი, რომელსაც არაერთხელ დაუმწუხრებია „დინამო“, როცა ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა.

იონანიძე შარშან, ოქტომბერში დაბრუნდა სიმფეროპოლის „ტავრიადან“ საქართველოში და წლის ბოლოს „ზესტაფონში“ ჩაირიცხა, თუმც სეზონის პირველ ეტაპზე ფორმალური პრობლემების გამო „ზესტაფონში“ არ უთამაშია.

„უკრაინიდან რომ დავბრუნდი, ორი თვე მხოლოდ ვვარჯიშობდი, არ მითამაშია, მაგრამ რაც „ზესტაფონში“ შეკრება გავიარე, საუკეთესო ფორმაში შესაძლო არა, მაგრამ ნორმალურ მზადყოფნაში კი ვარ. შეკრებაზე 9 მატჩი ვითამაშე და 6 გოლი გავიტანე“ — ასეთი საშეკრებო მარაგით დაუხვდება დღეს იონანიძე დინამოელებს.

შემტევი იონანიძე ქუთაისის „ტორპედოში“ 2-ნომრიანი მაისურით თამაშობდა, „ტავრიაშიც“ 2 ნომერი იყო და, როგორც თვითონ გვითხრა, „ზესტაფონშიც“ ასე იქნება.

— „დინამო“ ახლა უფრო ძლიერი უნდა იყოს, ვიდრე შარშან, მაგრამ ძალიან გვინდა, რომ „დინამო“ თასზე გზიდან ჩამოვიცილოთ. ჩვენი მთავარი კოზირი ისაა, რომ სეზონს შინ, ზესტაფონში განვაახლებთ და თითოეულ ფეხბურთელს თავის გამოჩენა ერთიორად უნდა. თანაც შეკრებაზე კარგად მოვემზადეთ, შეთამაშებულები ვართ“ — ასე მსჯელობს იონანიძე, ვისაც „დინამოსთვის“ რამდენჯერმე გაუტანია გოლი, მაგრამ მიაჩნია, რომ: „მნიშვნელობა არა აქვს, ახლა ვინ გაუტანს გოლს „დინამოს“, თორემ თავდამსხმელი ვარ და ნებისმიერ შეხვედრაში მსურს გოლის შეგდება“.

**დავით თაგართქილაძე**

**ისევე,** როგორც დეკემბრის ზესტაფონური დიდთოვლობისას, თბილისის „დინამო“ საპასუხო მატჩისთვის იმერეთს წინა დღეს ანუ გუშინ საღამოს ესტუმრა.

გეხსომებათ, 12 დეკემბრის შეხვედრა ზესტაფონის სტადიონის დათოვლილი მინდვრის გამო პროფლიგამ მეტოქეების თხოვნით და უკეთესი ამინდის იმედით, სწორედ დღეისთვის გადმოიტანა, რითაც თავად გუნდებმაც იდროვეს, შემადგენლობები მნიშვნელოვნად გადაახალისეს და საფუძვლიანად მოემზადნენ.

„დინამო“ ჯერ კვიპროსზე გახლდათ 10-დღიან შეკრებაზე და ხუთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. თბილისელებმა ერთადერთი თამაში მასპინძლების აელ-თან მოიგეს, ერთიც, სერბულ „სარ[illegible]“ [illegible]დთან“ ფრედ დაამთავრეს, სამი კი წააგეს. „დინამოს“ კვიპროსულ შემადგენლობას დიდად სახეცვლილი არ ეთქმოდა: ლაშა ნოზაძე, ლაშა ჭელიძე, შოთა ბაბუნაშვილი და კობა შალამბერიძე იყვნენ ახალწვეულები. მოსახდენი „დინამოში“ მერე მოხდა: გუნდი დატოვეს დავით კვირკველიამ და ჯაბა კანკავამ, იქამდე ლადო ახალაიამ, ახალგამოჯანმრთელებული შოთა გრიგალაშვილი კი ისევ დაშავდა.

სანაცვლოდ „დინამომ“ ისეთი შევსება მიიღო, ამის ნახევარიც ბევრ გუნდს სანატრელი რომ აქვს. გია გეგუჩაძის გუნდმა „თბილისიდან“ ხუთი ფეხბურთელი გადაიბირა — ბექა შეყრილაძე, სერგო ორბელაძე, დავით ოდიკაძე, რევაზ გეწაძე და გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე. 33 წლის გოჩა ჯამარაული კი სეზონის ბოლომდე დაიტოვა და დღეს „ზესტაფონთან“ მის ხელმეორე დინამოურ დებიუტს უნდა ველოდოთ.

მოკლედ, დეკემბრის შემდეგ „დინამომ“, ფაქტობრივად, ერთი შემადგენლობა, ათი ფეხბურთელი დაიმატა და იმის თქმა, თბილისელები ზესტაფონში როგორი შემადგენლობით ითამაშებენ, ძალიან ძნელია. მხოლოდ ის ვიცით, რომ ზესტაფონში არ იქნება ლაშა ჭელიძე, მისი სატრანსფერო ფურცელი ზაპოროჟიედან „დინამოს“ ჯერ არ მიუღია და, შესაბამისად, ლაშაც ვერ ითამაშებს.

სხვა მხრივ კი, გია გეგუჩაძემ იმერეთში სადღეისოდ უძლიერესი შემადგენლობა წაიყვანა და თქვა, მეტოქეს სათანადოდ ვაფასებ, მით უმეტეს, რომ დეკემბრის მერე „ზესტაფონიც“ საგრძნობლად გაძლიერდაო.

— ორი შეკრება გავიარეთ და ვფიქრობთ, რომ ნაყოფიერად მოვემზადეთ. სეზონს, ფაქტობრივად, ზესტაფონში თამაშით ვიწყებთ და მიზნისკენ სვლაც იქიდან უნდა გავაგრძელოთ. „დინამოს“ მიზანი ყველამ იცის — თასი და საქართველოს ჩემპიონობა. ზესტაფონში კი დაძაბული მატჩის მოლოდინით მივემგზავრებით“.

შეგახსენებთ: მერვედფინალის პირველ მატჩში „დინამომ“ თბილისში 2:1 მოიგო, გოლები ლევან მელქაძემ და დავით ჭიჭვეიშვილმა, „ზესტაფონიდან“ კი დიმიტრი პარამონოვმა გაიტანეს.

ასე რომ, დღეს „ზესტაფონს“ მინიმალური, 1:0 გამარჯვებაც კი მეოთხედფინალში გაიყვანს.

**კობა ინასარიძე**

# თქვენი ინტერვიუ

# შოთა არველაძესთან

**«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია**

*რუბრიკის მეორე რესპონდენტ შოთა არველაძესთან კითხვები 25 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ და მასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მარტამდე გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ, მათ ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე უპასუხებს.*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

## მეორე ეტაპი: წარდგენა წარმოდგენამდე

# არ გავარდეს...

ფოთის „კოლხეთი“ ყოველთვის თავისებურ პეწს სძენდა საქართველოს ჩემპიონატს. 1990 წლიდან მოყოლებული, ზღვისპირელები მუდმივად ლიდერთა შორის ტრიალებდნენ, თუმცა ახლა კოლხები ამგვარ ფუფუნებას მოკლებულნი არიან — გუნდი ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზეა და ეს შედეგიც ციდან ჩამოვარდნილ ლად უნდა ჩათვალონ. რატომ? პირველ-მეორე წრეების მიჯნაზე ფოთელები ბოლო საფეხურს ტკეპნიდნენ და საშველიც თითქოს არსაიდან ჩანდა.

აღმასვლა კი სერგო გაბელაიას გათავკაცებით დაიწყო. გამოცდილმა მწვრთნელმა უცებ მოიყვანა გუნდი აზრზე და ექვსმატჩიანი წაუგებელი სერიაც გამოაცხო.

ქართული ფეხბურთის მეაკვნე ქალაქის გუნდმა ზამთრის შესვენებაზე სამი ლიდერი მოისაკლისა — მეკარე ზურაბ ქვაჩახიამ და მცველმა ლაშა ღონღაძემ „ზესტაფონს“ მიაშურეს, მეგოლე მერაბ ძოძუაშვილი კი აზერბაიჯანულ „ბაქოში“ გადაბარგდა. „კოლხეთს“ უცხოური შეკრება არ გაუვლია, 27 იანვრიდან 10 თებერვლამდე თბილისში ივარჯიშა და ტესტ-მატჩებიც გამართა.

„ამინდმა დაგვალალატა. თოვლის გამო 5 საკონტროლო მატჩი ჩაგვეშალა. მხოლოდ 3 თამაში გავმართეთ, რაც ძალიან ცოტაა. მოკლედ, სათამაშო პრაქტიკა გვაკლია, მაგრამ ჩემპიონატი რომ დაიწყება, ნელ-ნელა ავკრეფთ ტემპს და ფორმაში შევალთ. როგორც იცით, სამი ფეხბურთელი წავიდა გუნდიდან, თუმცა არ დავსუსტებულვართ: ქვაჩახიას ნაცვლად ზურაბ ბათიაშვილი მოვიყვანეთ, დაცვაში ზაზა ცქიფურიშვილი და ზურაბ მინდაძე დავიმატეთ, მერაბ ძოძუაშვილის ადგილზე კი ორი ფორვარდია — კოკა მიკუჩაძე „თბილისიდან“ და ახალგაზრდა ლევან მელიქია. ბევრ ფეხბურთელს ჩვენი ფარმ-კლუბიდანაც შევიყვანთ საჩემპიონატო განაცხადში. ტესტ-მატჩებში ნაჩვენები ცუდი შედეგები კი იმის ბრალია, რომ გვიან შევიკრიბეთ და შეთამაშება გვაკლია“ — ამბობს სერგო გაბელაია.



სერგო გაბელაიამ თავდამსხმელის პრობლემა კოკა მიკუჩაძის მიწვევით გადაჭრა

კოლხთა მწვრთნელს გული სწყდება, რომ მეორე ეტაპზე მისი გუნდი მაღალ ადგილებს ვერ შეეჭიდება, თუმცა იმედი აქვს, რომ მომავალ სეზონში ლიდერებში დამკვიდრდება — ფოთის პორტი გვაფინანსებს, პორტის უფროსს, ამავდროულად „კოლხეთის“ პრეზიდენტს თემურ მიმინოშვილს ეტყობა, რეგიონში ფეხბურთის აღორძინება სურს და თუ ყველაფერი კარგად იქნა, მომავალ სეზონში ევროტურნირზე გასვლისთვის ვიბრძოლებთო.

„ფოთში უფეხბურთოდ ცხოვრება წარმოუდგენელია. უბრალოდ, ამ სეზონში სხვა არაფერი დაგვრჩენია, მეშვიდე ადგილზე ზემოთ ასვლა ძალიან გაგვიძნელდება. ჩვენ, „ზესტაფონი“, „სიონი“ და „დილა“ საკმაოდ ჩამოვრჩებით დანარჩენ ექვსეულს.“

რაც შეეხება კოლხთა ახალწვეულ კოკა მიკუჩაძეს, იგი ალბათ ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩება ზღვისპირეთში. „კოლხეთს“ მასში სატრანსფერო თანხა არ გადაუხდია „თბილისისთვის“. უბრალოდ, მიკუჩაძე სათამაშო პრაქტიკის მიზნით ითამაშებს ფოთში.

„წინადადებები მქონდა, ერთ-ერთ ბერძნულ კლუბში მივდიოდი, ჩემი იქ ჩარიცხვა თითქმის გადაწყვეტილი იყო, თუმცა ვიზის აღება ვერ მოვასწარი და ამასობაში სატრანსფერო ფანჯარაც დაიხურა. რამდენიმე ვარიანტი კიდევ მაქვს. მაგალითად, შვედურ გუნდზეა სერიოზული საუბარი. ვნახოთ, ამ სეზონს „კოლხეთში“ ჩავამთავრებ და ფორმაში ჩავდგები. ალბათ მაისამდე გადაწყდება ჩემი ახალი კლუბის საკითხი“ — ეს კი მიკუჩაძის ნათქვამია.

*მეკარეები:* ზურაბ ბათიაშვილი, გიზო შენგელია, ბიძინა ჩემია;

*მცველები:* ზურაბ მინდაძე, კახა გოროზია, ზაზა ცქიფურიშვილი, ჯონი შალამბერიძე, ილია ქუტიძე, დავით ჭითანავა, ტარიელ ყურაშვილი, მალხაზ ძოძუაშვილი, ნოშრევან ნარსია;

*ნახევარმცველები:* მიხეილ ქობულაძე, მიხეილ თაყაძე, გია თოდუა, ზურაბ შველიძე, ვასილ კუნჭულია, ლევან ხიზანიშვილი, გიორგი კილასონია, ირაკლი კვარაცხელია, დავით ნარსია, ედიშერ მარგალიტაძე, ლევან აკობია;

*თავდამსხმელები:* კოკა მიკუჩაძე, ლევან მელიქია, პეტრე ლებანიძე, ზვიად ქუთათელაძე, გიგი ტყებუჩავა, ლევან ვართაგავა.

**ილია ნანობაშვილი**




# ბათუმმა გაჭრილი თითი გადაიხვია

მე-16 ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი „ბათუმისთვის“ კარგად დაიწყო და ცუდად დამთავრდა. პირველ წრეში ზღვისპირელთა თამაშზე ინტრიგანი თუ იტყოდა, ფეხბურთის გარდა ყველაფერიაო, თორემ სალად მოაზროვნე გულშემატკივარი კმაყოფილი იყო — „ბათუმი“ ტურიდან ტურამდე უმატებდა და თითქოს ძველ სახესაც იბრუნებდა, სარმა რომ გამოსდეს.

ფული დღევანდელ ფეხბურთში რასაც ნიშნავს, ყველამ იცის და ბათუმელებს სწორედ ასე მნიშვნელოვანი „ხელის ჭუჭყი“ შემოაკლდათ. ამ ყველაფერს გუნდის თავკაცმა ამირან გოგიტიძემ ორიგინალური და ამავე დროს საინტერესო შეფასება მისცა:

„ფინანსური პრობლემები გვქონდაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ მთლად ისეც არ იყო საქმე, როგორც ვისურვებდით. ამ თემაზე საუბარი მეტად აღარ მსურს. ისე კი, თითიც რომ გაგეჭრას, მთელი სხეული გრძნობს, რომ რაღაც გტკივა. დაახლოებით ამგვარ სიტუაციაში ვიყავით ჩვენც — საგანგაშო არაფერი ხდებოდა, მაგრამ მცირე პრობლემამ მთელი გუნდი არია“.

მოკლედ, „ბათუმმა“ ხეირიანი პირველი წრის შემდეგ უხიერო მეორე წრე ჩაატარა და არდადეგებზე მეექვსე ადგილით წავიდა.

„სიტუაციიდან გამომდინარე, კარგი შედეგი გვქონდა. მეორე წრე მიზეზთა გამო ჩავაგდეთ, თორემ ახლა უფრო მაღალ საფეხურზე ვიქნებოდით“ — გვითხრა გოგიტიძემ.

ზამთრის შესვენებამ „ბათუმი“ გარკვეულწილად მაინც შეცვალა: გუნდიდან სოსო გრიშიკაშვილის წასვლით გაჩენილი სიცარიელე გორის "დილას" მეკარე რამაზ სოლოლაშვილმა შეავსო. მის გარდა ახალწვეულები არიან ექსლოკომოტიველი გიორგი მანწკავა და ბოლნისელი პაატა ჩოხელი. „ლოკომოტივში“ გადავიდა ზურაბ ექონია, ხოლო „ტორპედომ“ თენგიზ ჩიკვილაძე გადაიბირა.

„გუნდი უკვე დაკომპლექტებულია. ბიჭების მონდომებით კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, მეორე ეტაპზე ჩვენს სათქმელს ვიტყვით“ — ამბობს ბათუმელთა თავკაცი.

ზღვისპირელებმა მოსამზადებელ ეტაპზე სამი ამხანაგური მატჩი ჩაატარეს: 23 და 29 იანვარს „ბათუმი“ თურქულ „ხოფასფორს“ გაეჯიბრა (0:1 და 0:0), 3 თებერვალს კი თანაქალაქელ „ლუკას“ 5:0 სძლია. დღეს ბათუმელები „ხოფასფორს“ ისტუმრებენ და ამით დაასრულებენ კიდეც მზადებას.

„ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ტესტ-მატჩების სიმცირეა. გუნდების უმეტესობა შეკრებებზე იყო და სპარინგ-პარტნიორის მოძებნა გაგვიჭირდა, თუმცა იმედი მაქვს, ეს დიდად არ დაგვეტყობა. ერთი სიტყვით, გუნდის მდგომარეობით მაინც კმაყოფილი ვარ“ — გვითხრა ამირან გოგიტიძემ და იქვე ბათუმელთა შემადგენლობაც გაგვაცნო.

მაშ ასე, მეორე ეტაპზე „ბათუმი“ ამ ფეხბურთელებით ითამაშებს:

*მეკარეები:* რამაზ სოლოლაშვილი, ირაკლი ბალაძე;

*მცველები:* ნიკა გუშარაშვილი, დავით გალოგრე, ბექლარ თედორაძე, შალვა ხუჯაძე, ვანო მახარაძე, დავით გოგიშვილი;

*ნახევარმცველები:* ბესიკ თედორაძე, გიორგი მანწკავა, პაატა ჩოხელი, ვიტალი დარჩიძე, ავთანდილ ღლონტი, ირაკლი ცანავა;

*თავდამსხმელები:* ავთანდილ ხარაზი, გიორგი ნოდარისძე ჭელიძე, ლევან ხომერიკი, დიმიტრი ფირცხალაიშვილი.




გიორგი ჭელიძის იმედი ამირან გოგიტიძეს მეორე ეტაპზეც ეჭნება




**კახა შალამბერიძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXVII ტური

**ევერტონი 0:1 ჩელსი**

0:1 გუდიონსენი (69)
ევერტონი: მარტინი, პისტონე, ვეირი, სტაბსი, ნეისმიტი (დ. ფერგიუსონი 73), იობო, მ. ბენტი, კარსლი (არტეტა 85), ჩედვიკი, კილბეინი, ბიტი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, გალასი, ტერი, ბრიჯი, ჯ. კოული (იაროშიკი 72), ტიაგუ (გ. ჯონსონი 90), მაკელელე, ლამპარდი, დაფი (რ. კარვალიუ 90), გუდიონსენი
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ჩედვიკი, ტერი, იაროშიკი
გაძევება: ბიტი (8)
მსაჯი: რაილი
40 270 მაყურებელი

**სიტი 0:2 მანჩესტერი**

0:1 რუნი (68), 0:2 დანი (75ს.კ.)
სიტი: ჯეიმსი, მილსი (ბ. რაიტ-ფილიპსი 83), რ. დანი, დისტინი, ტეტჩერი, შ. რაიტ-ფილიპსი, მუსამპა, ჯ. ბარტონი (მაკენი 68), მაკმანამანი, სიბიერსკი, ფაულერი
მწვრთნელი: კევინ კიგანი
მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ჰაინცე, ოში (კ. რონალდო 33), როი კინი, ფლეტჩერი (გიგზი 64), კ. ფორჩუნი, სქოულზი (ფ. ნევილი 84), რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: რუნი, სქოულზი, კინი, ფაულერი; სიბიერსკი
მსაჯი: ბენეტი
47 111 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:0 ლივერპული**

1:0 პანდიანი (38პ), 2:0 გრეი (45)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, მელხიოტი (ტებილი 18), კანინგემი, აპსონი, კლეპამი, პენანტი (ნაფტი 84), დ. ჯონსონი, კლემენსი, ჯ. გრეი, ჰესკი, პანდიანი (რ. ბლეიქი 89)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ლივერპული: დუდეკი, ფინანი (პელეგრინო 79), ჰიუპია, კარაგერი, ჯ. ტრაორე, ბაროში, ჰამანი, ჯერარდი, ბიშკანი (შმიცერი 46), რიისე (ა. ნუნიესი 63), მორიენტესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ტებილი, ჰესკი
მსაჯი: ვები
29 318 მაყურებელი

**ბოლტონი 0:0 მიდლსბრო**

ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნესი, ნგოტი, ბენ ჰაიმი, რ. გარდნერი, ნოლანი, კამპო (ვაზ ტე 81), ოკოჩა, სპიდი, იანაკოპულოსი (დიუფი 53), კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
მიდლსბრო: შვარცერი, რაიციგერი, რიგოტი, საუთგეიტი, კედრუ, ჯ. მორისონი, პარნაბი, დორივა, დაუნინგი, ჟობი (ნემეტი 67), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: მორისონი
მსაჯი: ვაილი
24 322 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:2 ასტონ ვილა**

0:1 დე ზეუვი (17ს.კ.), 1:1 აიეგბენი (24პ), 1:2 ჰიცლშპერგერი (73)
პორტსმუთი: ხალკიასი, ა. სისე, სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, მეთიუ ტეილორი, სტოუნი, სკოპელიტისი (ვულერი 77), ბ. ჰიუზი, ბერგერი, აიეგბენი (ლუა ლუა 66), დ. კამარა
მწვრთნელი: ველიმირ ზაიეცი
ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, რიდგუელი, ჯ. სამუელი, სოლანო (სტივენ დევისი 75), ჰენდრი (ჰიცლშპერგერი 53), ჯემბა-ჯემბა, ბერი, ჰ. ანხელი, ლ. მური (ბერსონი 90)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ჰიუზი, სტეფანოვიჩი, რიდგუელი
მსაჯი: გალაჰერი
20 160 მაყურებელი

**ბლექბერნი 3:0 ნორვიჩი**

1:0 პედერსენი (17), 2:0, 3:0 დიკოვი (39, 62)
ბლექბერნი: ფრიდელი, ნელსენი, ტოდი, მოკოენა (ნაილი 46), ნ. იოჰანსონი, ემერტონი (რიდი 70), თუგაი, სევიჯი (დ. ტომპსონი 76), მ. პედერსენი, დიკოვი, პ. გალაჰერი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ნორვიჩი: რ. გრინი, ჩარლტონი (საფრი 76), ფლემინგი, დოჰერტი, დრური, გ. სტიუარტი, ჰოლტი, ფრენსისი, ბრენანი (მაკკენზი 46), ეშტონი, ჰაკერბი
მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი
გაფრთხილება: თუგაი, ნაილი, ფრენსისი
მსაჯი: დანი
20 923 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი — საუთჰემპტონი**

*გადაიდო*

**ჩარლტონი — ტოტენჰემი**

*გადაიდო*

**ფულემი — ნიუკასლი**

*გადაიდო*

**არსენალი — კრ. პალასი**

*დღეს გაიმართება*

# აბა, დამაცადე!

## ფერგიუსონი მაურინიუს გაეკიდა



სიტი — მანჩესტერი. უეინ რუნიმ რიჩარდ დანს (№22) თავბედი აწყევლინა

„ჩელსიმ" მაინც მოახერხა და სამი ქულა გამოგლიჯა „ევერტონს" — ისლანდიელი ეიდურ გუდიონსენის მეორე ტაიმის შუაში გატანილმა გოლმა ლონდონელები კვლავ ერთი ნაბიჯით დააახლოვა ნახევარ საუკუნეში პირველ საჩემპიონო ტიტულთან.

ოღონდაც, თამაშის ბედის მოკარნახე ერთი უხეირო ამბავი იყო: დასაწყისშივე, ჯეიმს ბიტიმ უკნიდან თავი ჩასცხო თავში უილიამ გალასს და 72 წუთის განმავლობაში „ევერტონი" 10 კაცით იბრძოდა. მსაჯმა მაიკლ რაილიმ ულაპარაკოდ გააძევა ბიტი, რომელიც სულ მეორედ თამაშობდა „ევერტონის" შემადგენლობაში. ის წითელს იმსახურებდა.

ამ წამიდან თამაშის სადავეები „ჩელსის" ხელში მოექცა და მეკარე ნაიჯელ მარტინმა საათზე მეტ ხანს აწვალა პრემიერლიგის ლიდერი. ბოლო წუთებზე კი დევიდ მოიესმა დანკან ფერგიუსონი შეუშვა და ხიფათი „ჩელსის" კართანაც დატრიალდა, ოღონდ ეს უფრო განწირულის სულისკვეთება იყო.

თამაშის საუკეთესო კაცი კი „ჩელსის" მხრიდან ირლანდიელი დემიენ დაფი იყო, რომელმაც თქვა: „დიდი შემოწმება გავიარეთ. აქ თამაში ყოველთვის ძნელია, თანაც მინდორი არვარგოდა".

„ევერტონის" ფანობა უკმაყოფილო იყო რაილის მსაჯობით: ტიმ ჩეჰილსა და კევინ კილბეინს ყვითლები რაღად მისცაო. მენეჯერი მოიესი კი ბიტის გაგდებისას ჩიოდა: „ის წითელს არ იმსახურებდა, გალასი ძალიან გაკოტრიალდა. მეც მცველი ვიყავი ბიჭობაში, რაც ასეთი მომხვედრია... იგივე ჯონ ტერი არ იკადრებდა ასე გაკოტრიალებას. ბიტის ძალით არ ჩაურტყამს. ვიდეო არ მინახავს, მაგრამ თამაშისას ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. თან მირბიხარ და თან კეფაში ძალით ურტყამს შუბლს?"

ასეა თუ ისე, მაიკლ რაილი ლიგის ყველაზე წითელოსანი მსაჯია და „ჩელსიც" ლიდერია. წაგებას კი „ევერტონი" დიდად არ წაუხდენია, რადგან მისმა მთავარმა მდევარმა, „ლივერპულმაც" წააგო, ხოლო „ლივერპულის" მდევრებმა, „ბოლტონმა" და „მიდლსბრომ" კი უგოლოდ გაიყვეს ქულა ღია და საგოლე მომენტებით მდიდარ თამაშში.

„ლივერპულმა" წააგო ბირმინგემში იქაურ „სიტისთან", რომელმაც სეზონში საუკეთესო თამაში ითამაშა და თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანა სტუმრებს: ვალტერ პანდიანიმ (პენალტით) და ჯულიან გრეიმ ეს მშვენივრად მოახერხეს. რაც რაფაელ ბენიტესი „ლივერპულის" მწვრთნელია, „წითლებმა" სულ 4-ჯერ მოიგეს სტუმრად. მათი საგაისო ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა კვლავ სათუოა, რადგან მეოთხე ადგილზე მყოფი უპირველესი მტერი, „ევერტონი" მთელი ხუთი ქულით უსწრებს „ენფილდის" გუნდს.

მანჩესტერში კი დერბის დღე იყო: 132-ე საქალაქო-სალიგო თამაშის მასპინძელი „სიტი" გახლდათ.

ამ არცთუ თვალსასეირო თამაშის მთავარი გმირები გამოდგნენ უეინ რუნი და რიჩარდ დანი. პირველის ორ მოქნეულს მეორემ ორჯერ შეუშვირა ფეხი და ორჯერვე საკუთარ კარში შეაგდო. თუმცა, კარგა ხანს უგოლო თამაშს სხვა გმირებიც ჰყავდა: მაგალითად, რობი ფაულერი, რომელმაც ორი ნაღდი ბურთი ააცილა კარს. საბოლოოდ, „იუნაიტედმა" მოიგო სწორედ 2:0 და თუ პირველი გოლი რუნის ჩაეთვალა, მეორე აშკარად დანის ავტოგოლია, რადგან „იუნაიტედის" ყმაწვილის არა დარტყმული, არამედ მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული გადაგზავნა დევიდ ჯეიმსის კარში.

ასე, რომ სერ ალექს ფერგიუსონი ისევ მისდევს ჟოზე მაურინიუს და სხვაობა ლიდერსა და მდევარს შორის კვლავ 9 ქულაა.

**ირაკლი ბამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 27 | 21 | 5 | 1 | 50:8 | 42 | 68 | 13 | 10 | 3 | 0 | 25:3 | 22 | 33 | 14 | 11 | 2 | 1 | 25:5 | 20 | 35 |
| 2 მანჩესტერი | 27 | 17 | 8 | 2 | 45:16 | 29 | 59 | 13 | 9 | 4 | 0 | 24:6 | 18 | 31 | 14 | 8 | 4 | 2 | 21:10 | 11 | 28 |
| 3 არსენალი | 26 | 16 | 6 | 4 | 58:30 | 28 | 54 | 13 | 7 | 5 | 1 | 31:16 | 15 | 26 | 13 | 9 | 1 | 3 | 27:14 | 13 | 28 |
| 4 ევერტონი | 27 | 14 | 6 | 7 | 31:28 | 3 | 48 | 14 | 9 | 1 | 4 | 16:13 | 3 | 28 | 13 | 5 | 5 | 3 | 15:15 | 0 | 20 |
| 5 ლივერპული | 27 | 13 | 4 | 10 | 41:29 | 12 | 43 | 13 | 9 | 1 | 3 | 23:10 | 13 | 28 | 14 | 4 | 3 | 7 | 18:19 | -1 | 15 |
| 6 მიდლსბრო | 27 | 11 | 8 | 8 | 41:35 | 6 | 41 | 13 | 7 | 4 | 2 | 20:12 | 8 | 25 | 14 | 4 | 4 | 6 | 21:23 | -2 | 16 |
| 7 ბოლტონი | 27 | 11 | 7 | 9 | 35:32 | 3 | 40 | 14 | 6 | 4 | 4 | 17:12 | 5 | 22 | 13 | 5 | 3 | 5 | 18:20 | -2 | 18 |
| 8 ჩარლტონი | 26 | 11 | 5 | 10 | 30:36 | -6 | 38 | 13 | 7 | 2 | 4 | 21:15 | 6 | 23 | 13 | 4 | 3 | 6 | 9:21 | -12 | 15 |
| 9 ტოტენჰემი | 26 | 10 | 6 | 10 | 33:30 | 3 | 36 | 13 | 5 | 3 | 5 | 25:19 | 6 | 18 | 13 | 5 | 3 | 5 | 8:11 | -3 | 18 |
| 10 ასტონ ვილა | 27 | 9 | 8 | 10 | 31:34 | -3 | 35 | 13 | 7 | 3 | 3 | 20:10 | 10 | 24 | 14 | 2 | 5 | 7 | 11:24 | -13 | 11 |
| 11 სიტი | 27 | 8 | 9 | 10 | 31:29 | 2 | 33 | 14 | 5 | 5 | 4 | 17:12 | 5 | 20 | 13 | 3 | 4 | 6 | 14:17 | -3 | 13 |
| 12 ბირმინგემი | 27 | 8 | 8 | 11 | 31:33 | -2 | 32 | 14 | 5 | 4 | 5 | 17:12 | 5 | 19 | 13 | 3 | 4 | 6 | 14:21 | -7 | 13 |
| 13 ნიუკასლი | 26 | 7 | 10 | 9 | 37:43 | -6 | 31 | 13 | 5 | 4 | 4 | 21:20 | 1 | 19 | 13 | 2 | 6 | 5 | 16:23 | -7 | 12 |
| 14 პორტსმუთი | 27 | 8 | 6 | 13 | 30:40 | -10 | 30 | 14 | 6 | 2 | 6 | 19:19 | 0 | 20 | 13 | 2 | 4 | 7 | 11:21 | -10 | 10 |
| 15 ფულემი | 26 | 8 | 5 | 13 | 33:44 | -11 | 29 | 13 | 5 | 2 | 6 | 16:21 | -5 | 17 | 13 | 3 | 3 | 7 | 17:23 | -6 | 12 |
| 16 ბლექბერნი | 27 | 6 | 10 | 11 | 24:36 | -12 | 28 | 14 | 3 | 7 | 4 | 16:18 | -2 | 16 | 13 | 3 | 3 | 7 | 8:18 | -10 | 12 |
| 17 კრ. პალასი | 26 | 5 | 7 | 14 | 29:40 | -11 | 22 | 13 | 4 | 2 | 7 | 13:13 | 0 | 14 | 13 | 1 | 5 | 7 | 16:27 | -11 | 8 |
| 18 ნორვიჩი | 27 | 3 | 11 | 13 | 26:52 | -26 | 20 | 13 | 3 | 5 | 5 | 20:25 | -5 | 14 | 14 | 0 | 6 | 8 | 6:27 | -21 | 6 |
| 19 საუთჰემპტონი | 26 | 3 | 10 | 13 | 28:43 | -15 | 19 | 13 | 3 | 8 | 2 | 20:18 | 2 | 17 | 13 | 0 | 2 | 11 | 8:25 | -17 | 2 |
| 20 ვესტ ბრომვიჩი | 26 | 2 | 11 | 13 | 23:49 | -26 | 17 | 13 | 2 | 6 | 5 | 11:21 | -10 | 12 | 13 | 0 | 5 | 8 | 12:28 | -16 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 17 |
| ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი) | 15 |
| დეფო (ტოტენჰემი) | 11 |
| პირესი (არსენალი) | 10 |
| ჰასელბაინკი (მიდლსბრო) | 10 |
| აიეგბენი (პორტსმუთი) | 10 |

### XXVIII ტური

26-27 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | : | ევერტონი |
| ტოტენჰემი | : | ფულემი |
| ჩელსი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| კრ. პალასი | : | ბირმინგემი |
| ლივერპული | : | ბლექბერნი |
| მანჩესტერი | : | პორტსმუთი |
| მიდლსბრო | : | ჩარლტონი |
| ნიუკასლი | : | ბოლტონი |
| ნორვიჩი | : | სიტი |
| საუთჰემპტონი | : | არსენალი |

### ჩემპიონატი

XXXIV ტური

**კარდიფი 2:0 ბრაიტონი**
1:0 ტორნი (16პ), 2:0 კოლინზი (19)
**ქოვენთრი 0:2 ბარნლი**
0:1 ოსტერი (64), 0:2 მური (69)
**ქრიუ 1:3 უიგანი**
0:1 რობერტსი (3), 1:1 უაიტი (45), 1:2 ელინგტონი (68პ), 1:3 რობერტსი (76)
**ჯილინგემი 0:0 მილუოლი**
**იფსვიჩი 2:1 ლესტერი**
1:0 კუქი (2), 2:0 დე ვრიზი (24ს.კ.), 2:1 მ. სტიუარტი (82)
**ლიდსი 3:1 რედინგი**
1:0 ჰილი (36), 2:0, 3:0 ჰალსი (56, 63), 3:1 ოვუსუ (89)
**პლიმუთი 1:1 როტერჰემი**
0:1 მონხუზი (26), 1:1 უოტონი (51პ)
**ქუინზ პარკი 1:2 პრესტონი**
1:0 ფურლონგი (26), 1:1 ნაგენტი (67), 1:2 ლაკეტი (75)
**სანდერლენდი 4:2 უოტფორდი**
1:0, 2:0, 3:0 დ. სტიუარტი (18, 33პ, 51), 4:0 ბრაუნი (73), 4:1, 4:2 დაიერი (76, 90)
**ნოტინგემი — შეფილდ იუნ.**
*გადაიდო*
**სტოკი — ვესტ ჰემი**
*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 32 | 19 | 8 | 5 | 60:38 | 65 |
| უიგანი | 32 | 17 | 9 | 6 | 56:24 | 60 |
| სანდერლენდი | 32 | 18 | 6 | 8 | 48:29 | 60 |
| პრესტონი | 32 | 15 | 7 | 10 | 46:43 | 52 |
| რედინგი | 32 | 14 | 9 | 9 | 38:30 | 51 |
| დერბი ქაუნთი | 32 | 15 | 6 | 11 | 46:40 | 51 |
| ვესტ ჰემი | 31 | 14 | 6 | 11 | 41:39 | 48 |
| შეფილდი | 31 | 13 | 9 | 9 | 39:39 | 48 |
| მილუოლი | 32 | 13 | 8 | 11 | 35:29 | 47 |
| ლიდსი | 34 | 12 | 11 | 11 | 40:36 | 47 |
| ქუინზ პარკი | 32 | 13 | 5 | 14 | 40:44 | 44 |
| ბარნლი | 30 | 11 | 10 | 9 | 25:24 | 43 |
| ქრიუ | 31 | 11 | 8 | 12 | 52:54 | 41 |
| სტოკი | 31 | 11 | 8 | 12 | 19:22 | 41 |
| ლესტერი | 31 | 9 | 13 | 9 | 33:30 | 40 |
| უოტფორდი | 32 | 9 | 13 | 10 | 40:38 | 40 |
| ვულვზი | 31 | 9 | 12 | 10 | 43:42 | 39 |
| ბრაიტონი | 33 | 10 | 8 | 15 | 27:42 | 38 |
| კარდიფი | 32 | 9 | 10 | 13 | 35:36 | 37 |
| პლიმუთი | 32 | 9 | 8 | 15 | 34:43 | 35 |
| ქოვენთრი | 32 | 8 | 8 | 16 | 39:54 | 32 |
| ჯილინგემი | 32 | 8 | 6 | 18 | 28:51 | 30 |
| ნოტინგემი | 31 | 5 | 11 | 15 | 28:45 | 26 |
| როტერჰემი | 32 | 3 | 13 | 16 | 24:44 | 22 |

### პირველი ლიგა

XXXII ტური

ბრისტოლი — უოლსოლი 0:1; ბორნმუთი — ოლდემი 4:0; დონკასტერი — ჩესტერფილდი 0:1; ლუტონი — ჰალი 1:0; დონსი — ჰადერსფილდი 2:1; შეფილდ უენსდი — ბრედფორდი 1:2; სტოკპორტი — პორტ ვეილი 1:2; სუინდონი — ბარნსლი 2:1; ტრანმერი — კოლჩესტერი 1:1; რექსემი — ტორკი 1:1

### მეორე ლიგა

XXXII ტური

საუთენდი — სკანთორპი 0:0; ბოსტონი — ბერი 2:2; კემბრიჯი — მაკლსფილდი 0:1; დარლინგტონი — ნოტსი 1:2; გრიმსბი — შრიუსბერი 0:1; კიდერმინსტერი — ჩესტერი 0:1; ლეიტონი — სუონსი 3:1; მენსფილდი — ჩელტენემი 1:2; ოქსფორდი — ნორთჰემპტონი 1:2; როჩდეილი — ლინკოლნი 3:1; რაშდენი — უიკომბი 1:2; იოვილი — როვერსი 4:2

### კონფერენსლიგა

XXX ტური

ბარნეტი — ჰერეფორდი 0:2; ქონვი — ნორსვიჩი 2:2; კარლაილი — გრეივსენდი 2:2; ექსეტერი — აკრინგტონი 1:2; ფარნბორო — ბარტონი 1:3; ფორესტ გრინი — იორკი 1:1; ჰალიფაქსი — სტივენეიჯი 2:1; სკარბორო — დაგენემი 2:0; უოქინგი — ქროული 2:0. *მორეკემბი — ალდერშოტი და ტემუორთი — ლეი გადაიდო*

### ასოციაციის თასი

1/16 ფინალი. გადათამაშება

***ფულემი*** 4:2დ.დ.(2:2) **დერბი ქაუნთი**
**ჰარტლპული** 0:1 ***ბრენტფორდი***
***ტოტენჰემი*** 3:1 **ვესტ ბრომვიჩი**
***შეფილდი*** 1:1დ.დ.(პენ.3:1) **ვესტ ჰემი**

**მერვედფინალის წილისყრა**

19 თებერვალი: ბოლტონი — ფულემი; ტოტენჰემი — ნოტინგემი; ევერტონი — მანჩესტერი; ჩარლტონი — ლესტერი; საუთჰემპტონი — ბრენტფორდი; არსენალი — შეფილდი
20 თებერვალი: ბარნლი — ბლექბერნი; ნიუკასლი — ჩელსი

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXI ტური

**შალკე 3:0 ვოლფსბურგი**

1:0 ასამოა (13), 2:0 სანდი (35), 3:0 ჰანკე (86)

*აილტონმა ვერ გაიტანა პენალტი (51, მეკარე)*

შალკე: ფ. როსტი, უდე კამპუსი, ვალდოხი, დ. როდრიგესი, პანდერი, ვერმანტი, კობიაშვილი, ლინკოლნი (კ. პოულსენი 82), ასამოა (ჰამიტ ალტინტოპი 61), სანდი, აილტონი (ჰანკე 84)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ვოლფსბურგი: იენჩი, შარპეი, ფრანცი, კიროგა, ვაიზერი, ტიამი, კარჰანი, ფიშერი (დალესანდრო 61), მენსეგეში (ბილიშკოვი 78), ბრდარიჩი, კლიმოვიჩი (ტოპიჩი 72)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: როდრიგესი, შარპეი, ვაიზერი, კიროგა, შარპეი
გაძევება: შარპეი (76)
მსაჯი: შტარკი
61 524 მაყურებელი

**ფრაიბურგი 0:0 ჰანოვერი**

*ცქიტიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (51, მეკარე)*

ფრაიბურგი: გოლცი, ს. რიტერი, შუმანი (ანტარი 79), მოჰამადი, იბერცბერგერი, ბაირამოვიჩი, კაირო (კრუპკე 90), ცქიტიშვილი, ს. კულიბალი, იაშვილი (სანუ 90), კუჟუ
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ზურავი, ჰალფარი, ლალა, დაბროვსკი, დე გუცმანი, კრუპნიკოვიჩი, შტენდელი (სტაინერი 70), პაუნოვიჩი (შრიოტერი 70)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: კუჟუ
მსაჯი: შიპელი
20 000 მაყურებელი

**არმინია 3:1 ბაიერნი**

1:0 პორკელიო (23), 2:0 ბაკლი (61), 2:1 ლუსიო (80), 3:1 ბარკლი (83)
არმინია: ჰაინი, ბოგუში, ბორგესი, გაბრიელი, ლენსე, დამაიერი (მ. ფინკი 73), კაუფი, ოვომოიელა, პორკელიო (ლეონი 90), ბაკლი, ფ. ვატა (კუნცელი 87)
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი (შოლი 50), ფრინგსი (დაისლერი 75), ბალაკი, სალიჰამიჯიჩი (კ. პიზარო 63), მაკაი, პ. გერერო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: დამაიერი, კოვაჩი, ლენსე, გერერო
მსაჯი: მეიერი
26 500 მაყურებელი

**ვერდერი 2:0 მიონხენგლადბახი**

1:0 ჰუნტი (29), 2:0 ზიდანი (88)
ვერდერი: რაინკე, სტალტერი, ისმაელი, პასანენი, მანინი, ფ. ბაუმანი, ბოროვსკი, ფ. ერნსტი, მიკუ (დ. იენსენი 53), კლოზე (შულცი 90), ჰუნტი (მ. ზიდანი 80)
მწვრთნელი: თომას შააფი
მიონხენგლადბახი: კ. კელერი, ფუკალი (ჰაუსვაილერი 61), კ. მური, შტრასერი, მ. იანსენი, ტიისი, კლუგე (პოლანსკი 81), ბიომე, ბროიხი (ვან ჰუტი 46), სვერკოში, ნოივილი
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
გაფრთხილება: კლუგე, ფუკალი, მური, პოლანსკი, შტრასერი
მსაჯი: ფლაიშერი
40 566 მაყურებელი

**ჰამბურგი 2:1 შტუტგარტი**

0:1 საბიჩი (15), 1:1 ბარბარესი (17), 2:1 ვან ბუიტენი (54)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, შლიკე, ვან ბუიტენი, ბულარუზი, კლინგბილი (ე. მპენზა 46), ბენჯამინი, მაჰდავიკია (ბრეჩკო 79), ბაინლიხი, იაროლიმი, ბარბარესი, ტაკაჰარა (ლაუტი 76)
მწვრთნელი: თომას დოლი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, შტრანცლი, მეირა, ჟივკოვიჩი, ჰინკელი, სოლდო, ჰ. გერბერი (გომესი 83), ტიფერტი, ა. გლები, მაისნერი, საბიჩი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ბარბარესი, მპენზა, ჟივკოვიჩი, ტიფერტი, ჟივკოვიჩი, მაისნერი, სოლდო
გაძევება: ჟივკოვიჩი (73)
მსაჯი: კემლინგი
48 214 მაყურებელი

**ლევერკუზენი 2:0 მაინცი**

1:0 ფრაიერი (64), 2:0 კრჟინოვეკი (69)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი, ნოვოტნი, პლასენტე, კრჟინოვეკი (ბიროფკა 87), რამელო, ბ. შნაიდერი, ბერბატოვი (ფრანცა 82), დონოვანი (ბაბიჩი 74), ფრაიერი, ვორონინი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
მაინცი: ვახე, აბელი, ნოვესკი, ვაიგელტი, ბაბაცი, ბალიტჩი, მ. ფრიდრიხი, კრამნი (იოვანოვიჩი 69), აუერი (კუისი 82), ტიურკი (ტინერტი 62), ნ. ვაილანდი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: ვაიგელტი, ჟუანი, ბალიტჩი, რამელო
მსაჯი: კინჰოფერი
22 500 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:0 ბოხუმი**

1:0 კოლერი (21)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, კ. მეცელდერი, ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, კელი, კრუშკა, კრინგე, შმოლარეკი, კოლერი, რიკენი (ბერგდოლმო 90)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
ბოხუმი: ვანდერი, კოლდინგი, კალა, მალტრიცი, პ. ბიონიგი (ედუ 83), პროისი, ცდებელი, მისიმოვიჩი (ჰ. მადსენი 80), ბეკმანი, ლოკვენცი, ტროიანი (გროტე 71)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ცდებელი, ედუ
მსაჯი: ალბრეხტი
76 500 მაყურებელი

**ჰერტა 2:1 ნიურნბერგი**

1:0 კოვაჩი (30პ), 1:1 მინტალი (79), 2:1 ვიშნიარეკი (90)
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი (მადლუნგი 48), ჟილბერტო, დარდაი, ნ. კოვაჩი, ჟ. რეინა (ფატი 66), ბაშთურქი, ნოინდორფი, რაფაელი (ვიშნიარეკი 71)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
ნიურნბერგი: კლევერი, ა. ვოლფი (კესლინგი 73), პაულუსი, ნიკლი, ლ. მიულერი, ლაგერბლომი (ვაგეფელდი 46), კანტალუპი, სლოვაკი (დაუნი 46), მინტალი, ს. მიულერი, ვიტეკი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ფრიდრიხი, ფატი, ვიშნიარეკი, ნოინდორფი, ლაგერბლომი, ნოინდორფი, ს. მიულერი, ვოლფი, დაუნი
გაძევება: ნოინდორფი (80)
მსაჯი: ვაინერი
38 518 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 2:1 ჰანზა**

1:0 ზაიცი (5), 2:0 ზანდი (51), 2:1 პრიკა (83)
კაიზერსლაუტერნი: თ. ერნსტი, ლემბი (ჩატო 67), ჰერჩი, ვენცელი, ბლანკი, გრამოცისი, სფორცა (ზანდი 46), ენგელარდტი, ჰალილ ალტინტოპი (კოსოვსკი 67), ამანატიდისი, ზაიცი
მწვრთნელი: კურტ იარა
ჰანზა: შობერი, ტიკუზუ, მიორლე, კ. მადსენი, ჰარტმანი, ლანცი, დ. რასმუსენი (ვორბეკი 60), რიდლევიჩი, თ. რასმუსენი (პრიკა 46), ლიტმანენი, დი სალვო
მწვრთნელი: იორგ ბერგერი
გაფრთხილება: დ. რასმუსენი, პრიკა, პრიკა
გაძევება: პრიკა (90)
მსაჯი: ვაკი
31 000 მაყურებელი

# გელზენკირხენი მიუნხენის ტოლია



შალკე — ვოლფსბურგი. ებე სანდმა სტუმრებს მძლავრი თავურით გაუტანა

„შალკემ" „ვოლფსბურგს" 3:0 მოუგო და მიუნხენის „ბაიერნს" წამოეწია. გუშინ ბავარიელებმა მოულოდნელად წააგეს ბილეფილდში „არმინიასთან". მიუნხენელებს წირვა დელრონ ბაკლიმ გამოუყვანა, მან ოლივერ კანს ორჯერ გაუტანა.

გელზენკირხენული გუნდი კი მე-13 წუთზე ჯერალდ ასამოამ დააწინაურა. მეორე გოლი კი შესვენებამდე ათი წუთით ადრე ნაკრებიდან წასულმა, მაგრამ საკლუბო ფეხბურთში დარჩენილმა დანიელმა ებე სანდმა შეაგდო, ხოლო 85-ეზე მაიკ ჰანკემ მესამე გაიტანა და შედეგად, „შალკემ" სამი მოუგებელი მატჩის შემდეგ, როგორც იქნა სამი ქულა მიიწერა.

მეტიც, გელზენკირხენელებმა თავის ბრაზილიელ აილტონს პენალტის აცილების უფლებაც კი მისცეს, თუმცა ამით მხოლოდ გატანილ-გაშვებულთა სხვაობა თუ შეიცვლებოდა, მეტი კი არაფერი.

გასული სეზონის დუბლის მომგებმა ბრემენის „ვერდერმა" შინ 2:0 აჯობა მიონხენგლადბახის „ბორუსიას" და 37 ქულით მესამე ადგილზე აბრძანდა. ხსენებული ორი გოლიდან პირველი ყმაწვილმა დებიუტანტმა აარონ ჰუნტმა შეაგდო, ხოლო მეორე ეგვიპტელმა თავდამსხმელმა მოჰამედ ზიდანმა გაიტანა. ზიდანმა ასე აღნიშნა თავისი დებიუტი ბრემენელთა გუნდში და, უნდა ითქვას, რომ სულზე მოასწრო, რადგან მან რომ მიზანს უწია, ორ წუთში დამთავრდა კიდეც თამაში.

ბერლინის „ჰერტამ" 2:1 მოუგო „ნიურნბერგს" და მეოთხეზე მოკალათდა, ხოლო მას ერთი ქულით და ერთი ადგილით ჩამორჩა „შტუტგარტი", რომელმაც ჰამბურგში იწვნია 1:2.

მაგრამ, დავუბრუნდეთ „შალკეს", რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, ჰაერივით სჭირდებოდა გამარჯვება, რადგან ბოლო ოთხ თამაშში მხოლოდ ხუთი ქულა მოეპოვებინა.

„დღეს მნიშვნელოვანი მხოლოდ შედეგი, ჩვენი მოგება გახლდათ, — თქვა მატჩის შემდეგ გელზენკირხენელთა მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა — ხოლო სხვა გუნდების შედეგები საერთოდ არ მაინტერესებს".

„ვოლფსბურგმაც" „გაამართლა" — ახალი წლიდან მოყოლებული, ზედიზედ სამ ტურში დამარცხებულმა მეოთხეშიაც დაამტკიცა, რომ მასთან მოგება ლამის ყველა მეტოქეს ტკბილად ერგება — „მგლები" დაცვაში უხეშ შეცდომებს უშვებენ და ნებისმიერი მეტოქე, თუ ოდნავ ყოჩაღია, უპრობლემოდ აღწევს წარმატებას.

ზემოთ ასამოას გოლი რომ ვახსენეთ — იგი გერმანიისა და არგენტინის ნაკრებთა ამხანაგურ შეხვედრაში დაშავდა, ასე რომ შეიძლება ითქვას, რომ ძალიან მალე გამოჯანმრთელდა — „ვოლფსბურგის" დაცვის უყურადღებობით გახლდათ გამოწვეული. ლინკოლნის ჩაწოდებულ ჯარიმას უმეთვალყურეოდ დარჩენილმა თავური უთავაზა.

სანდის გოლი იმავ ლინკოლნის ჩაწოდებულს, ოღონდ ამჯერად კუთხურიდან მოჰყვა, თუმცა ამის შემდეგ აილტონმა პენალტი ვერ გაიტანა — საიმონ იენჩმა აულო მეორე ტაიმის დაწყებიდან ექვს წუთში.

76-ე წუთზე „ვოლფსბურგს" მეორე ყვითლისთვის ჰანს შარპეი გაუგდეს, თუმცა სტუმრების უბედურება ამ შეხვედრაში, როგორც ზემოთ გითხარით, კიდევ გაგრძელდა და მოგვიანებით ჰანკემ მესამე შეაგდო.

ასე და ამგვარად, „ვოლფსბურგი", რომელიც ჩემპიონატის პირველ ნახევარში კარგახანს ლიდერობდა, ახლა ცხრილის ქვედა ნახევარშია.

**პაპუნა ძიძია**

| № | სულ |  |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 21 | 12 | 5 | 4 | 39:23 | 16 | 41 | 11 | 8 | 2 | 1 | 24:8 | 16 | 26 | 10 | 4 | 3 | 3 | 15:15 | 0 | 15 |
| 2 შალკე | 21 | 13 | 2 | 6 | 33:26 | 7 | 41 | 11 | 8 | 1 | 2 | 22:16 | 6 | 25 | 10 | 5 | 1 | 4 | 11:10 | 1 | 16 |
| 3 ვერდერი | 21 | 11 | 4 | 6 | 45:25 | 20 | 37 | 11 | 6 | 3 | 2 | 21:11 | 10 | 21 | 10 | 5 | 1 | 4 | 24:14 | 10 | 16 |
| 4 ჰერტა | 21 | 9 | 9 | 3 | 35:18 | 17 | 36 | 10 | 3 | 6 | 1 | 16:8 | 8 | 15 | 11 | 6 | 3 | 2 | 19:10 | 9 | 21 |
| 5 შტუტგარტი | 21 | 10 | 5 | 6 | 39:28 | 11 | 35 | 10 | 7 | 1 | 2 | 25:11 | 14 | 22 | 11 | 3 | 4 | 4 | 14:17 | -3 | 13 |
| 6 ლევერკუზენი | 21 | 10 | 5 | 6 | 37:27 | 10 | 35 | 10 | 8 | 1 | 1 | 26:11 | 15 | 25 | 11 | 2 | 4 | 5 | 11:16 | -5 | 10 |
| 7 ჰამბურგი | 21 | 11 | 1 | 9 | 37:31 | 6 | 34 | 10 | 6 | 0 | 4 | 18:15 | 3 | 18 | 11 | 5 | 1 | 5 | 19:16 | 3 | 16 |
| 8 ჰანოვერი | 21 | 9 | 5 | 7 | 26:22 | 4 | 32 | 11 | 5 | 2 | 4 | 15:11 | 4 | 17 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:11 | 0 | 15 |
| 9 ლაუტერნი | 21 | 9 | 4 | 8 | 30:29 | 1 | 31 | 11 | 7 | 1 | 3 | 17:11 | 6 | 22 | 10 | 2 | 3 | 5 | 13:18 | -5 | 9 |
| 10 ვოლფსბურგი | 21 | 10 | 0 | 11 | 35:35 | 0 | 30 | 11 | 7 | 0 | 4 | 27:14 | 13 | 21 | 10 | 3 | 0 | 7 | 8:21 | -13 | 9 |
| 11 დორტმუნდი | 21 | 7 | 7 | 7 | 24:25 | -1 | 28 | 10 | 3 | 4 | 3 | 11:11 | 0 | 13 | 11 | 4 | 3 | 4 | 13:14 | -1 | 15 |
| 12 არმინია | 21 | 8 | 4 | 9 | 23:27 | -4 | 28 | 10 | 4 | 3 | 3 | 10:9 | 1 | 15 | 11 | 4 | 1 | 6 | 13:18 | -5 | 13 |
| 13 ნიურნბერგი | 21 | 6 | 6 | 9 | 35:36 | -1 | 24 | 10 | 2 | 4 | 4 | 14:14 | 0 | 10 | 11 | 4 | 2 | 5 | 21:22 | -1 | 14 |
| 14 გლადბახი | 21 | 6 | 6 | 9 | 25:35 | -10 | 24 | 11 | 6 | 2 | 3 | 19:15 | 4 | 20 | 10 | 0 | 4 | 6 | 6:20 | -14 | 4 |
| 15 მაინცი | 21 | 6 | 4 | 11 | 27:37 | -10 | 22 | 10 | 5 | 2 | 3 | 14:12 | 2 | 17 | 11 | 1 | 2 | 8 | 13:25 | -12 | 5 |
| 16 ბოხუმი | 21 | 3 | 7 | 11 | 26:43 | -17 | 16 | 11 | 2 | 5 | 4 | 17:19 | -2 | 11 | 10 | 1 | 2 | 7 | 9:24 | -15 | 5 |
| 17 ფრაიბურგი | 21 | 3 | 7 | 11 | 17:41 | -24 | 16 | 10 | 2 | 4 | 4 | 9:16 | -7 | 10 | 11 | 1 | 3 | 7 | 8:25 | -17 | 6 |
| 18 ჰანზა | 21 | 2 | 7 | 12 | 18:43 | -25 | 13 | 11 | 0 | 3 | 8 | 7:27 | -20 | 3 | 10 | 2 | 4 | 4 | 11:16 | -5 | 10 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მინტალი (ნიურნბერგი) | 15 |
| ბაკლი (არმინია) | 13 |
| კლოზე (ვერდერი) | 12 |
| ვორონინი (ლევერკუზენი) | 10 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 10 |

**XXII ტური**

19-20 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| ჰამბურგი | : | ლაუტერნი |
| ბოხუმი | : | ფრაიბურგი |
| ბაიერნი | : | დორტმუნდი |
| მაინცი | : | არმინია |
| ნიურნბერგი | : | ლევერკუზენი |
| შტუტგარტი | : | ჰერტა |
| ვოლფსბურგი | : | ჰანზა |
| გლადბახი | : | შალკე |
| ჰანოვერი | : | ვერდერი |

## II ბუნდესლიგა

### XXI ტური

**ალემანია 2:3 უნტერჰახინგი**

0:1 ბარუტი (12), 0:2 კოპადო (33), 1:2 პინტო (42პ), 2:2 სიხონე (55), 2:3 კოპადო (90პ)

**დინამო 2:1 აინტრახტი**

1:0, 2:0 ლავრიჩი (17, 63), 2:1 შური (64)

**ობერჰაუზენი 0:1 კოტბუსი**

0:1 იუნგნიკელი (75)

**ალენი 1:2 აუე**

0:1 კოში (56), 1:1 ფელგენაუერი (75), 1:2 გლედსონი (88ს.კ.)

**ფიურტი 3:3 ტრირი**

1:0 აიგლერი (5), 2:0 რუმანი (12), 2:1 მამიჩი (55), 3:1 ჰილბერტი (70), 3:2 კლაინი (84ს.კ.), 3:3 პაჩინსკი (90)

**მიუნხენი 3:1 ერფურტი**

1:0 მ. ლემანი (5), 1:1 კუმანტარაკისი (49), 2:1 აგოსტინო (80), 3:1 კოლომაჟნიკი (90)

**ესენი 1:0 დუისბურგი**

1:0 ლინტენსი (77)

**ზაარბრიუკენი 2:4 ბურგჰაუზენი**

1:0 თ. როიტერი (20), 1:1 დრეშერი (53), 1:2 კრეიჩი (54), 1:3 რაიზინგერი (69), 2:3 ტიბოტი (88), 2:4 ო. ფინკი (89)

**კიოლნი — კარლსრუე**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუისბურგი | 21 | 13 | 3 | 5 | 34:21 | 42 |
| კიოლნი | 20 | 12 | 4 | 4 | 40:22 | 40 |
| ფიურტი | 21 | 12 | 4 | 5 | 35:23 | 40 |
| ალემანია | 21 | 10 | 4 | 7 | 41:23 | 34 |
| ზაარბრიუკენი | 21 | 9 | 4 | 8 | 32:26 | 31 |
| აინტრახტი | 21 | 9 | 4 | 8 | 35:33 | 31 |
| მიუნხენი | 21 | 8 | 7 | 6 | 30:30 | 31 |
| აუე | 21 | 9 | 3 | 9 | 30:24 | 30 |
| ბურგჰაუზენი | 21 | 8 | 5 | 8 | 29:34 | 29 |
| უნტერჰახინგი | 21 | 8 | 2 | 11 | 32:34 | 26 |
| ტრირი | 21 | 5 | 11 | 5 | 29:33 | 26 |
| კოტბუსი | 21 | 7 | 5 | 9 | 24:28 | 26 |
| ალენი | 21 | 6 | 7 | 8 | 21:24 | 25 |
| ესენი | 21 | 4 | 10 | 7 | 27:36 | 22 |
| ობერჰაუზენი | 21 | 6 | 4 | 11 | 25:40 | 22 |
| კარლსრუე | 20 | 5 | 6 | 9 | 23:31 | 21 |
| დინამო | 21 | 6 | 3 | 12 | 27:39 | 21 |
| ერფურტი | 21 | 4 | 8 | 9 | 18:31 | 20 |

## იტალია

### სერია A. XXIV ტური

**რეჯინა 0:1 მილანი**

0:1 ძამბონი (39ს.კ.)
**რეჯინა:** პავარინი, ძამბონი, დე როზა, ი. ფრანჩესკინი, მესტო (ნაკამურა 59), პარედესი, მოცარტი (ბორიელო 77), ბალესტრი, ჯ. კოლუჩი (ესტევესი 84), ტედესკო, ბონაცოლი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
**მილანი:** დიდა, კაფუ (სტამი 62), ნესტა, მალდინი, პალაძე, გატუზო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა (რუი კოშტა 82), შევჩენკო, კრესპო (სერჟინიო 77)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ნესტა, პარედესი, კაკა, ამბროზინი
მსაჯი: რაკალბუტო
20 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:1 უდინეზე**

1:0 იბრაჰიმოვიჩი (1), 2:0 კამორანეზი (49), 2:1 დი მიკელე (90)
**იუვენტუსი:** ბუფონი, ტურამი, ფ. კანავარო (ბლაზი 46), მონტერო, ძებინა, კამორანეზი, ემერსონი, ძამბროტა, დელ პიერო (ზალაიეტა 83), იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე (პესოტო 66)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
**უდინეზე:** დე სანკტისი, ბერტოტო, სენსინი (ბელერი 88), ფელიპე, დ. ძენონი, დ. პიზარო, მუნტარი (პინცი 69), იანკულოვსკი, მაური (დი მიკელე 46), დი ნატალე, ფავა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: კანავარო, მუნტანი
მსაჯი: როდომონტი
20 632 მაყურებელი

**ინტერი 2:0 რომა**

1:0, 2:0 მიხაილოვიჩი (23, 90)
**ინტერი:** ტოლდო, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი (ბურდისო 84), ხ. ვერონი (ზე მარია 70), კამბიასო, კ. ძანეტი, კილი გონსალესი (დ. სტანკოვიჩი 60), ადრიანო, ო. მარტინსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
**რომა:** პელიცოლი, პანუჩი, მ. ფერარი, დელასი (მანსინი 59), მექსეში, კუფრე, პეროტა, დე როსი (აკილანი 71), ტოტი, მონტელა, ა. კასანო (ჩერჩი 85)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: პეროტა, მექსეში, კამბიასო, კორდობა, კ. ძანეტი, კასანო, მექსეში
გაძევება: მექსეში (90)
მსაჯი: ტრეფოლონი
61 116 მაყურებელი

**ლაციო 2:1 ატალანტა**

0:1 მაკინვა (45), 1:1 ბაცანი (45), 2:1 ლივერანი (89)
**ლაციო:** პერუცი (სერენი 27), სივილია, ჯანიკედა, ტალამონტი, ოდო, დაბო, ლივერანი, ე. ფილიპინი, სერიჩი (მუცი 65), ბაცანი, როკი (პანდევი 89)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
**ატალანტა:** ტაიბი (კალდერონი 46), რივალტა, სალა, კაპელი, ბელინი, მოტა, მინგაცინი, ბერნარდინი (მონტოლივო 65), მარკოლინი, ლაცარი, მაკინვა (სინიგალია 78)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: ბაცანი, დაბო, მოტა, მონტოლივო
მსაჯი: ბრიგი
40 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 2:1 პარმა**

1:0 კიელინი (46), 2:0 მიკოლი (81), 2:1 ჯილარდინო (84)
**ფიორენტინა:** ლუპატელი, მაჯო, ვიალი, დაინელი, არიატი, ჰ. ნაკატა, დონადელი, ობოდო, კიელინი, მიკოლი (იორგენსენი 83), რიგანო (პაცინი 56)
მწვრთნელი: დინო ძოფი

# დახმარება არა... სამი თავდამსხმელი!



ინტერი — რომა. სინიშა მიხაილოვიჩმა დეიან სტანკოვიჩი, ადრიანო და „ინტერი" ორი ბრწყინვალე საჯარიმოთი გაახარა

**პარმა:** ს. ფრეი, პ. კანავარო, კონტინი, ბოვო (კარდონე 46), ბეტარინი, მარკიონი, სიმპლისიო (სორენტინო 74), ბოლანო (ვინიაროლი 56), ბრეშიანო, მორფეო, ჯილარდინო
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
გაფრთხილება: სიმპლისიო, მაჯო
მსაჯი: პაპარესტა
29 490 მაყურებელი

**ლივორნო 1:0 სამპდორია**

1:0 ლუკარელი (81)
**ლივორნო:** ამელია, მელარა, გრანდონი, გალანტე, პფერცელი (ბალერი 71), ვიჯანი (ვიდიგალი 56), პასონი, გრაუზო, დოგა, პროტი (კოლომბო 90), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
**სამპდორია:** ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კასტელინი, პავანი, მ. პიზანო, კუტუზოვი (დონი 61), ვოლპი, პალომბო, ტონეტო (ედუსეი 75), ფლაკი, როსინი (ს. ინძაგი 64)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: გრაუზო
მსაჯი: ტალიავენტო
16 000 მაყურებელი

**ბრეშა 2:0 კალიარი**

1:0 ძობოლი (5), 2:0 კარაჩოლო (90)
**ბრეშა:** კასტელაცი, ძობოლი, ადანი, დომიცი, სტანკევიჩიუსი, დი ბიაჯო, მილანეტო (ბერეტა 78), სკული (დალამანო 78), ვომე, კარაჩოლო, მ. დელვეკიო (მანინი 70)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
**კალიარი:** იეცო, დ. ლოპესი (ხ. ალვარესი 64), მალტალიატი, ლორია, აგოსტინი, აბეიხონი (კონტი 70), ბუდელი, გობი, მ. ესპოზიტო, ძოლა, სუაცო (ბიანკი 52)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: ლორია, ბუდელი, ბუდელი, მილანეტო, აბეიხონი, დომიცი
გაძევება: ბუდელი (54)
მსაჯი: დე მარკო
9 000 მაყურებელი

**ბოლონია 1:1 პალერმო**

0:1 ტონი (34), 1:1 ტარე (75)
**ბოლონია:** პალიუკა, ლეგროტალიე, პეტრუცი, გამბერინი, დაინო (ნერვო 71), კ. ამორუზო (ტარე 22), ლ. კოლუჩი, ჯუნტი, სუსი, ლოკატელი (დელა როკა 74), ბელუჩი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
**პალერმო:** გუარდალბენი, ძაკარდო, ბარძალი, ბიავა, სანტანა, კორინი (მორონე 46), ბარონე, გროსო, ბრიენძა (რაიმონდი 69), ძაული (ტერლიცი 87), ტონი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: კორინი, სუსი, სუსი, ძაკარდო, ჯუნტი, მორონე, რაიმონდი, მორონე, ბელუჩი, გამბერინი
გაძევება: სუსი (27), მორონე (67)
მსაჯი: მესინა
18 000 მაყურებელი

**სიენა 2:2 მესინა**

0:1 დი ნაპოლი (5), 1:1 კიეზა (47), 1:2 პარიზი (67პ), 2:2 კიუმიენტო (83)
**სიენა:** მანინგერი, ჩირილო, ტუდორი, პორტანოვა, პასკუალე (კოლონეზე 35), ალბერტო (კიუმიენტო 74), დავერსა, ვერგასოლა, ფალზინი, მაკარონე (ტ. ფლო 46), კიეზა
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
**მესინა:** სტორარი, ზორო კპოლო, რეზაეი, არონიკა, პარიზი, ჯამპა, კოპოლა, ძანკი, სულო (ილიევი 61), ძამპანა, დი ნაპოლი (რაფაელი 90)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: პარიზი, კოპოლა, ტუდორი, დავერსა, ძანკი, ფლო, არონიკა
გაძევება: პორტანოვა (25)
მსაჯი: ბერტინი
7 000 მაყურებელი

**ლეჩე 3:0 კიევო**

1:0 კონანი (26), 2:0 ვალდესი (74), 3:0 ვუჩინიჩი (76)
**ლეჩე:** როზატი, კასეტი, დიამუტენე, სტოვინი, რული, ჯაკომაცი, ლედესმა, დალა ბონა, კონანი (ანჯელო 79), ვუჩინიჩი, პინარდი (ხ. ვალდესი 68)
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
**კიევო:** მარკეჯანი, ფ. მორო, მანდელი, დანა, მალაგო, ბრიგი, ბარონიო (ფუზანი 57), ლანა, ლუსიანო (პელისიერი 62), დ. ფრანჩესკინი, ტირიბოკი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: ლედესმა, დალა ბონა, დანა, მალაგო, მორო
მსაჯი: მორგანტი
11 348 მაყურებელი

**დავიწყოთ** იმით, რითაც თავად იტალიელებმა დაიწყეს — სინიშა მიხაილოვიჩმა „რომასთან" შეხვედრაში ორი ისეთი ჯარიმა დაარტყა, რომ მაყურებელი მაყურებლად აღაფრთოვანა და „ინტერი" ფაქტობრივად, სკუდეტოსთვის მებრძოლთა რიგებს დაუბრუნა.

„ახლა საგაზაფხულო მოგებათა უწყვეტ ჯაჭვს ველით. საკუთარი ძალებისა კვლავაც უნდა გვწამდეს და უნდა გავიმარჯვოთ, რადგან გამარჯვებებს ქულები მოაქვს — განაცხადა „შავ-ლურჯების" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ და იქვე მხიარულად დასძინა — ოღონდ, ბუნებრივია, იმისათვის, რომ ჩემპიონები გავხდეთ, საჭიროა „იუვენტუსმა" და „მილანმაც" შეგვიწყონ ხელი. ერთი სიტყვით, ჩვენგან მხოლოდ ინტენსიური და სტაბილური ფეხბურთის თამაში მოითხოვება".

თუმცა, ხელშეწყობისა რა მოგახსენოთ... მაგალითად „იუვენტუსს" განრიგით პირველს მოუწია მანჩინისთვის იმის ჩვენება, რომ „შავ-ლურჯთათვის" საჩუქრების მირთმევას არ ფიქრობს. მერედა, „ბებერ ქალბატონს" „უდინეზე" სტუმრობდა, გუნდი, რომელიც ამ ტურამდე მესამე ადგილზე იყო. თან შეგახსენებთ, რომ ტურინელებმა წინა ორ ტურში წააგეს, რის გამოც „მილანთან" რვაქულიანი უპირატესობა ორამდე ჰქონდათ დასული. და, ამ მნიშვნელოვან შეხვედრაში ფაბიო კაპელომ ტაქტიკურ ექსპერიმენტს მიმართა — სამკაციანი თავდასხმა შეუშვა მოედანზე: ალესანდრო დელ პიერო, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და დავიდ ტრეზეგე.

ერთი სიტყვით, ტურინელთა განლაგება მოედანზე საკმაოდ უჩვეულო გახლდათ 3-4-3. ამ ტაქტიკის შესაბამისად, ჯანლუკა ძამბროტა უფრო მეტად იყო შეტევაზე ორიენტირებული, ხოლო მაურო კამორანეზი რატომღაც ნახევარდაცვის ცენტრში მოქმედებდა.

ანგარიში 38-ე წამზე გაიხსნა — იბრაჰიმოვიჩი პასს დაეწია და ფეხის წვერი ისე წაჰკრა, რომ ბურთი მორგან დე სანკტისის კარში შევარდა. მეორე გოლი მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე გავიდა, როდესაც დელ პიერომ კამორანეზის ლამაზ გოლში ასისტენტობა გაუწია — ბურთი აღმავალი ტრაექტორიით გაფრინდა და კარის ზედა კუთხეში შეფრინდა.

თამაშის ბოლოს დავიდე დი მიკელემ სხვაობა შეამცირა და მატჩიც ასე, 2:1 დასრულდა, თუმცა... 69-ე წუთზე დინო ფავას თავური „იუვეს" კარში შევარდა, მსაჯებმა კი საიდანღაც მოიგონეს, ოფსაიდი იყოო...

...„სამპდორიამ", რომელიც 23-ე ტურის შემდეგ ხუთეულში იყო, ლივორნოში წააგო 0:1, და თან შეხვედრის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე გაუშვა ის ერთადერთი გოლი. სხვათა შორის, [illegible] დე გენუელებს მთელი ხუთი თამაშის განმავლობაში არ ჰქონდათ წაგებული, ხოლო სტუმრად ნათამაშევი შედეგით სერია A-ში ერთ-ერთი საუკეთესონიც იყვნენ: ექვსი მოგება, ორი ფრე და სამი წაგება.

მეორეს მხრივ გენუელთათვის არასასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ ლივორნოში ვერ ათამაშა იტალიის ნაკრების წევრი აიმო დიანა.

დაშავებული ფეხბურთელი ჰყავდა „ლივორნოსაც" — ხორხე ვარგასი.

ერთადერთი გოლი კი საკმაოდ მოულოდნელად გავიდა: კრისტიანო ლუკარელიმ ჯარიმა დაბლა დაარტყა, ბურთი კედელს მოხვდა, მიმართულება იცვალა და სამი ქულაც ასე, არათანაბრად განაწილდა.

**პაატა ძიძია**

### სერია B

**XXVI ტური**

**ალბინოლეფე 0:1 ბარი**

0:1 გაცი (69)

**კატანია 1:0 ტორინო**

1:0 მანფრედინი (54)

**კროტონე 3:0 კატანძარო**

1:0 კონკო (3), 2:0 რუსო (49), 3:0 კონკო (89)

**ჯენოა 0:1 პერუჯა**

0:1 დელ ვეკიო (39)

**პესკარა 0:0 ვენეცია**

**პიაჩენცა 0:0 ვიჩენცა**

**სალერნიტანა 1:1 ემპოლი**

1:0 პრატალი (21ს.კ.), 1:1 ტავანო (35)

**ტერნანა 2:1 მოდენა**

0:1 აზამოა (50), 1:1 ფატორი (56), 2:1 დი დეო (84)

**ტრიესტინა 2:1 არეცო**

1:0 ბაუ (30), 1:1 დე ძერბი (49), 2:1 რიგონი (87)

**ვერონა 2:1 ჩეზენა**

1:0 როზინა (38), 2:0 ბოგდანი (69), 2:1 კავალი (90პ)

**ტრევიზო — ასკოლი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 26 | 13 | 10 | 3 | 46:25 | 49 |
| ემპოლი | 26 | 12 | 9 | 5 | 37:22 | 45 |
| ვერონა | 26 | 13 | 5 | 8 | 47:32 | 44 |
| პერუჯა | 26 | 12 | 8 | 6 | 33:22 | 44 |
| ტორინო | 26 | 13 | 5 | 8 | 31:23 | 44 |
| ტრევიზო | 25 | 12 | 5 | 8 | 29:26 | 41 |
| ასკოლი | 25 | 11 | 7 | 7 | 35:32 | 40 |
| ჩეზენა | 26 | 10 | 7 | 9 | 32:34 | 37 |
| პიაჩენცა | 26 | 11 | 3 | 12 | 29:32 | 36 |
| ვიჩენცა | 26 | 10 | 5 | 11 | 40:40 | 35 |
| კატანია | 26 | 8 | 11 | 7 | 27:29 | 35 |
| ალბინოლეფე | 26 | 9 | 7 | 10 | 36:32 | 34 |
| ტერნანა | 26 | 8 | 10 | 8 | 30:31 | 34 |
| არეცო | 26 | 6 | 13 | 7 | 36:33 | 31 |
| მოდენა | 26 | 10 | 5 | 11 | 28:29 | 31 |
| ბარი | 26 | 7 | 11 | 8 | 25:26 | 31 |
| პესკარა | 26 | 7 | 10 | 9 | 25:36 | 31 |
| ტრიესტინა | 26 | 8 | 6 | 12 | 27:36 | 30 |
| სალერნიტანა | 26 | 7 | 7 | 12 | 33:40 | 28 |
| კროტონე | 26 | 6 | 8 | 12 | 26:33 | 23 |
| კატანძარო | 26 | 5 | 6 | 15 | 24:48 | 21 |
| ვენეცია | 26 | 4 | 8 | 14 | 19:34 | 20 |

*„მოდენას" დაკლებული აქვს 4, „კროტონეს" — 3 და „ბარის" — 1 ქულა*

### სერია C1/A

**XXIII ტური**

სანჯოვანეზე — მანტოვა 1:0; კომო — ლუმეცანე 1:2; კრემონეზე — ვიტორია 1:0; ფ. ანდრია — ს. ტორესი 1:1; ფროზინონე — სპეცია 2:1; ნოვარა — პავია 1:1; პიზა — გროსეტო 1:0; პისტოიეზე — პრო პატრია 1:0; პრატო — ლუკეზე 1:1

### სერია C1/B

**XXIII ტური**

აველინო — ნაპოლი 2:0; კიეტი — ბენევენტო 0:0; ჯულიანოვა — ფოჯა 0:1; მარტინა — სორა 1:1; პადოვა — პეზარო 3:0; რეჯანა — ტერამო 3:2; რიმინი — ლანჩანო 1:1; სამბენედეტეზე — ჩიტადელა 0:1; სპალ — ფერმანა 1:0

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | იუვენტუსი | 24 | 16 | 5 | 3 | 40:15 | 25 | 53 | 12 | 9 | 2 | 1 | 21:7 | 14 | 29 | 12 | 7 | 3 | 2 | 19:8 | 11 | 24 |
| 2 | მილანი | 24 | 15 | 6 | 3 | 42:16 | 26 | 51 | 12 | 7 | 3 | 2 | 28:12 | 16 | 24 | 12 | 8 | 3 | 1 | 14:4 | 10 | 27 |
| 3 | ინტერი | 24 | 9 | 15 | 0 | 46:29 | 17 | 42 | 12 | 6 | 6 | 0 | 24:12 | 12 | 24 | 12 | 3 | 9 | 0 | 22:17 | 5 | 18 |
| 4 | უდინეზე | 24 | 12 | 4 | 8 | 33:23 | 10 | 40 | 11 | 6 | 2 | 3 | 18:8 | 10 | 20 | 13 | 6 | 2 | 5 | 15:15 | 0 | 20 |
| 5 | სამპდორია | 24 | 11 | 5 | 8 | 26:18 | 8 | 38 | 12 | 5 | 3 | 4 | 10:7 | 3 | 18 | 12 | 6 | 2 | 4 | 16:11 | 5 | 20 |
| 6 | პალერმო | 24 | 9 | 9 | 6 | 23:17 | 6 | 36 | 11 | 6 | 3 | 2 | 11:5 | 6 | 21 | 13 | 3 | 6 | 4 | 12:12 | 0 | 15 |
| 7 | რომა | 24 | 9 | 8 | 7 | 42:36 | 6 | 35 | 11 | 5 | 5 | 1 | 24:16 | 8 | 20 | 13 | 4 | 3 | 6 | 18:20 | -2 | 15 |
| 8 | კალიარი | 24 | 9 | 6 | 9 | 33:38 | -5 | 33 | 12 | 8 | 3 | 1 | 21:11 | 10 | 27 | 12 | 1 | 3 | 8 | 12:27 | -15 | 6 |
| 9 | ბოლონია | 24 | 8 | 8 | 8 | 26:23 | 3 | 32 | 12 | 6 | 3 | 3 | 17:11 | 6 | 21 | 12 | 2 | 5 | 5 | 9:12 | -3 | 11 |
| 10 | ლეჩე | 24 | 8 | 8 | 8 | 42:42 | 0 | 32 | 12 | 6 | 3 | 3 | 24:17 | 7 | 21 | 12 | 2 | 5 | 5 | 18:25 | -7 | 11 |
| 11 | რეჯინა | 24 | 8 | 8 | 8 | 24:26 | -2 | 32 | 13 | 6 | 3 | 4 | 16:15 | 1 | 21 | 11 | 2 | 5 | 4 | 8:11 | -3 | 11 |
| 12 | ლივორნო | 24 | 8 | 6 | 10 | 26:30 | -4 | 30 | 13 | 7 | 2 | 4 | 15:12 | 3 | 23 | 11 | 1 | 4 | 6 | 11:18 | -7 | 7 |
| 13 | მესინა | 24 | 7 | 7 | 10 | 29:39 | -10 | 28 | 11 | 6 | 3 | 2 | 17:14 | 3 | 21 | 13 | 1 | 4 | 8 | 12:25 | -13 | 7 |
| 14 | კიევო | 24 | 7 | 7 | 10 | 21:35 | -14 | 28 | 12 | 5 | 4 | 3 | 12:12 | 0 | 19 | 12 | 2 | 3 | 7 | 9:23 | -14 | 9 |
| 15 | ლაციო | 24 | 7 | 6 | 11 | 31:36 | -5 | 27 | 13 | 4 | 4 | 5 | 19:19 | 0 | 16 | 11 | 3 | 2 | 6 | 12:17 | -5 | 11 |
| 16 | ფიორენტინა | 24 | 6 | 8 | 10 | 23:31 | -8 | 26 | 12 | 5 | 3 | 4 | 17:13 | 4 | 18 | 12 | 1 | 5 | 6 | 6:18 | -12 | 8 |
| 17 | ბრეშა | 24 | 6 | 5 | 13 | 17:29 | -12 | 23 | 13 | 3 | 3 | 7 | 8:14 | -6 | 12 | 11 | 3 | 2 | 6 | 9:15 | -6 | 11 |
| 18 | პარმა | 24 | 5 | 8 | 11 | 25:39 | -14 | 23 | 12 | 4 | 6 | 2 | 16:13 | 3 | 18 | 12 | 1 | 2 | 9 | 9:26 | -17 | 5 |
| 19 | სიენა | 24 | 3 | 13 | 8 | 23:35 | -12 | 22 | 12 | 1 | 8 | 3 | 11:18 | -7 | 11 | 12 | 2 | 5 | 5 | 12:17 | -5 | 11 |
| 20 | ატალანტა | 24 | 2 | 8 | 14 | 17:32 | -15 | 14 | 12 | 2 | 6 | 4 | 11:13 | -2 | 12 | 12 | 0 | 2 | 10 | 6:19 | -13 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მონტელა (რომა) | 18 |
| შევჩენკო (მილანი) | 14 |
| ადრიანო (ინტერი) | 14 |
| ჯილარდინო (პარმა) | 12 |
| ესპოზიტო (კალიარი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 11 |
| ბოჟინოვი (ლეჩე/ფიორენტინა) | 11 |

### XXV ტური

19-20 თებერვალი

| | |
|---|---|
| ატალანტა | ბოლონია |
| პარმა | ბრეშა |
| მილანი | კალიარი |
| სიენა | ფიორენტინა |
| უდინეზე | ინტერი |
| მესინა | იუვენტუსი |
| კიევო | ლაციო |
| პალერმო | ლეჩე |
| რომა | ლივორნო |
| სამპდორია | რეჯინა |

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### XXIII ტური

**სარაგოსა 1:4 ბარსელონა**

0:1 ტოლედო (1), 0:2 ჟიული (30), 0:3 ეტოო (39), 1:3 გალეტი (63), 1:4 მარკესი (71)
სარაგოსა: რუბენი, ალვარო, გ. მილიტო, ტოლედო, გალეტი, ჩანი (სორიანო 81), სავიო, პონციო, მოვილია (დრულიჩი 81), ხენერელო (ხავი მორენო 28), საპატერი
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი (სილვინიო 74), ხავი, მარკესი (ხერარდი 80), ჟიული (ინიესტა 60), დეკო, რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ბელეტი, სავიო, ტოლედო, მოვილია, დეკო, ალვარო
მსაჯი: კარმონა მენდესი
34 500 მაყურებელი

**ოსასუნა 1:2 რეალი**

1:0 ვებო (36), 1:1 ოუენი (77), 1:2 ელგერა (80)
ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო, კლავერო, კრუჩაგა, ხოსეჩო, პაბლო გარსია, პუნიალი, მოა (დელპორტი 82), ვალდო, ვებო (ალოიზი 53), ჩენგე მორალესი (მილოშევიჩი 77)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
რეალი: კასილიასი, სალგადო, ი. ელგერა, ვ. სამუელი, რობერტო კარლოსი, ბექემი, გრავესენი (სოლარი 60), გუტი (ოუენი 73), ზიდანი, რაული, რონალდო (ბორხა 90)
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
გაფრთხილება: ხოსეჩო, პუნიალი, სალგადო, პაბლო გარსია, დელპორტი
მსაჯი: მედინა კანტალეხო
19 000 მაყურებელი

**ვალენსია 1:2 დეპორტივო**

0:1 სკალონი (44), 1:1 დი ვაიო (48), 1:2 ვიქტორი (71)
ვალენსია: პალოპი, ფ. აურელიო, მარჩენა, მ. კანეირა, კარბონი, მორეტი (ხისკო 79), ალბელდა, ბარახა, რუფეტე (აიმარი 69), კორადი (მისტა 46), დი ვაიო
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
დეპორტივო: მუნუა, მანუელ პაბლო, კოლოჩინი, ჟორჟე ანდრადე, რომერო, დუშერი, სერხიო, სკალონი (ვიქტორი 68), ვალერონი, ტრისტანი (კაპდევილა 86), ლუკე (მუნიტისი 60)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: მარჩენა, მუნიტისი, კაპდევილა, რომერო
მსაჯი: უნდიანო მალენკო
40 000 მაყურებელი

**ბილბაო 4:4 ბეტისი**

0:1 ოლივეირა (5), 0:2 ხოაკინი (12), 0:3 ოლივეირა (24), 1:3, 2:3 ურსაისი (32, 33), 3:3 გურპეგი (46), 4:3 იესტე (70), 4:4 ოლივეირა (79)
ბილბაო: არანსუბია, ლ. პრიეტო, მურილიო, დელ ორნო, იესტე (იულენ გერერო 86), ირაოლა, გურპეგი, ტიკო, სოლაბარიეტა (არიაგა 63), ესკერო, ურსაისი
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
ბეტისი: დობლასი, ლუის ფერნანდესი, ლემბო, ხუანიტო, არზუ, ფერნანდო (ბენხამინი 20), კანიასი, ხოაკინი, მ. ასუნსაო, რ. ოლივეირა, ედუ
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: ხუანიტო, დელ ორნო, ოლივეირა, პრიეტო, ტიკო, ლემბო, ლემბო, ურსაისი, ედუ
გაძევება: ლემბო (74)
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
35 000 მაყურებელი

**სევილია 2:1 ვილიარეალი**

1:0, 2:0 ბაპტისტა (35, 81პ), 2:1 რიკელმე (86პ)

# აჩრდილთა ბრძოლა და ლიდერთა გამარჯვება



სარაგოსა — ბარსელონა. რონალდინიო და კატალონიელები მასპინძლებს გადააფრინდნენ

სევილია: ესტებანი, დავიდი, აიტორ ოსიო, პაბლო ალფარო, დანიელ ალვესი, ფერნანდო სალესი (ხესუს ნავასი 68, ხ. რედონდო 84), ბაპტისტა, რენატო, ადრიანო, მარტი, ანტონიტო
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ვილიარეალი: რეინა, გონსალო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, სორინი (ექტორ ფონტი 63), ხავი ვენტა, მარკოს სენა, ბატალია, რიკელმე, ფორლანი (ფიგეროა 69), გიარე (ხოსე მარი 46)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: ფორლანი, რენატო, გონსალო, არუაბარენა, ბატალია
გაძევება: აიტორ ოსიო (86)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
35 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 0:0 ლევანტე**

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ანტონიო ლოპესი, პერეა, პაბლო, მოლინერო, კოლსა (რ. ნუნიესი 34), ხორხე (სალვა 54), გრონკიაერი, იბაგასა, ლუქსენი, ფ. ტორესი
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
ლევანტე: მორა, ალექსისი, პინილიოსი, ხესულე, კულებრასი, კამაჩო, ეტიენი, რივერა, ნაჩო (ხუანმა 37), ტიტო (სელესტინი 81), კონგო (მანჩევი 69)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: კულებრასი, კულებრასი, პერეა, მოლინერო, კონგო, მანჩევი, რივერა
გაძევება: კულებრასი (17)
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
48 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:0 ხეტაფე**

1:0 სოლდევილა (89), 2:0 ტამუდო (90პ)
ესპანიოლი: კამენი, დავიდ გარსია, ლოპო, სოლდევილა, ხარკე, დე ლა პენია, იტო, მაქსი როდრიგესი (მორალესი 90), დანი, ტამუდო, ოსკარ სერანო (ველამასანი 68, ხონათანი 78)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ხეტაფე: სანჩეს ბროტო, მ. პერნია, ნანო, რ. პულიდო, ბელენგერი, გაბი, რ. ალბიოლი (არაგონესესი 90), ვივარ დორადო, მარიო კოტელო, კრაიოვიანუ (კომე 56), იორდი (მიჩელი 75)
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
გაფრთხილება: ვივარ დორადო, მარიო კოტელო, ველამასანი, ლოპო, მაქსი როდრიგესი, სოლდევილა
გაძევება: სანჩეს ბროტო (90)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
23 000 მაყურებელი

**რასინგი 1:3 სოსიედადი**

0:1 არანბურუ (7), 0:2, 0:3 ნიჰათი (10, 35), 1:3 ანდერსონი (57)
რასინგი: აუატე, ორიოლი (პედრო ლოპესი 52), კასარი, მორატიონი, ხუანმა (ხ. ვალე 58), მ. რეგუერო, ტორადო (მორანი 54), დ. ანდერსონი, ხავი გერერო, ბენაიუნი
მწვრთნელი: ნანდო იოსუ
სოსიედადი: რიეხგო, ლუის ალბერტო, ლაბაკა, ზუბიაურე, კარპინი, არანბურუ, გარიდო (ბრეშე 89), მიკელ ალონსო, ხ. პრიეტო (მლადენოვიჩი 65), კოვაჩევიჩი, ნიჰათი (ბარკერო 86)
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
გაფრთხილება: ტორადო, ლაბაკა, ხავი გერერო
მსაჯი: ესკინას ტორესი
15 000 მაყურებელი

**მალიორკა 2:1 ალბასეტე**

0:1 მარკ გონსალესი (25), 1:1 ტუნი (52), 2:1 ლუის გარსია (72პ)
მალიორკა: მოია, იულიანო, დავიდ კორტესი (ხორხე ლოპესი 46), პოლი, ბალესტეროსი, დე ლოს სანტოსი, კამპანო, არანგო, ლუის გარსია (პერეირა 86), ტუნი, ოკუბო (კორეა 67)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ალბასეტე: ვალბუენა, ოსკარ მონტიელი, რუბენი, პაკო პენია, ბუადესი, ხაიმე, გ. რედონდო (პერალტა 78), ალვარო, ფრანსისკო (მიკელი 66), მარკ გონსალესი (მომო 61), პაჩეკო
მწვრთნელი: ხოსე გონსალესი
გაფრთხილება: რუბენი, პაჩეკო, დე ლოს სანტოსი, ბუადესი, მარკ გონსალესი, რედონდო, ვალბუენა, პოლი, მოია
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
18 000 მაყურებელი

**ნუმანსია 0:1 მალაგა**

0:1 ხუან როდრიგესი (42)
ნუმანსია: ხუანმა, გრაფი, პინიოლი, ანტონიო, ველასკო (მერინო 39), ხაიმე მოლინა, ტარანტინო, პაბლო სანსი (პალასიოსი 57), ხუანლუ, ტევენეტი, პინედა (რაფა 56)
მწვრთნელი: მაქსიმო ერნანდესი
მალაგა: არნაუ, ხუანიტო, ვალკარსე, ფერნანდო სანხი, კ. ნავასი, ხერარდო, მ. რომერო, დუდა (ისნატა 89), მიგელ ანხელი, ხუან როდრიგესი, ფერნანდო (ტოტე 65)
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
გაფრთხილება: ხუანლუ, პაბლო სანსი, მიგელ ანხელი, პინიოლი, ხუანიტო, ისნატა, ტარანტინო, ისნატა
გაძევება: ტევენეტი (32), ისნატა (90)
მსაჯი: პუენტეს ლეირა
8 000 მაყურებელი

**„ბარსელონამ“** კერკეტ „სარაგოსასთან“ სტუმრად გამარჯვებით დაამტკიცა, რომ ხმები კატალონიური გრანდის დასუსტების შესახებ გაზვიადებულია. ფრანკ რაიკარდის ბიჭებმა მეტოქე უკვე პირველივე ტაიმში გააკრეს ბეჭებზე, რასაც მასპინძლებმა ოთხ გაშვებულს ოდენ ერთი, არგენტინელი გალეტის გატანილით უპასუხეს.

ლიდერმა ჩვეული სილაღით ითამაშა და უკვე დებიუტშივე დაწინაურდა — მცველმა დელიო ტოლედომ საუბედუროდ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. მერე თამაში ოდნავ გათანაბრდა, 30-ე წუთზე კი ფაქტობრივად, დამთავრდა: „ბარსას“ ფრანგმა გარემარბმა ლუდოვიკ ჟიულიმ შეაგდო. ცხრა წუთში კატალონიელთა და პრიმერას საუკეთესო ბომბარდირმა სამუელ ეტოომ მიაყოლა მესამე.

მეორე ტაიმში „ბარსელონა“ შედარებით დამშვიდებული იყო და მხოლოდ მაშინ შეახსენა „რომარედას“ პუბლიკას თავი, როცა ლუჩანო გალეტიმ გაუტანა — გაიტანა გალეტიმ და მექსიკელმა რაფაელ მარკესმა რვა წუთში სტატუს-ქვო აღადგინა.

ტურის ცენტრალური მატჩი კი „მესტალიაზე“ ჩატარდა, შარშანდელი სეზონის აჩრდილები, ჩემპიონი „ვალენსია“ და „დეპორტივო“ შეერკინენ ერთმანეთს.

ჩემპიონმა იწვალა, იჯახირა და რომ წააგო, ქომაგისგან ლანძღვაგინება, გამაყრუებელი სტვენა და თეთრი ცხვირსახოცების ფრიალი მერე დაიმსახურა.

მასპინძლებმა მთელი 90 წუთის განმავლობაში ვერაფერი მოუხერხეს შესანიშნავად მოთამაშე სტუმართა ურუგვაელ მეკარე მუნუას, გალისიელი მცველებიც ყოჩაღობდნენ, შემტევები კი დროდადრო მწვავე კონტრიერიშებით აწუხებდნენ მასპინძლებს, რამაც პირველი ტაიმის ბოლოს შედეგიც გამოიღო — ლიონელ სკალონის დარტყმული ალბელდამ აისხლიტა და კანისარესის შემცვლელმა პალოპმა გეზნაცვალი ბურთი ვეღარ დაიჭირა.

დაიწყო მეორე ტაიმი და „ვალენსიამაც“ თითქმის მაშინვე გაათანაბრა — მარკო დი ვაიომ შეტევა ლამაზი გოლით დაასრულა.

„მესტალიაც“ ახმაურდა, არანორმალური ყიჟინითა თუ სიგიჟით ამხნევებდა საყვარელ გუნდს, მაგრამ მოულოდნელად დიეგო ტრისტანის გატანილმა მეორე გოლმა დამხვდურები შოკში ჩააგდო.

გუშინ კი „რეალმაც“ მოიგო თავისი მატჩი — დანავსულ პამპლონაში — სადაც მადრიდელებს აგერ უკვე ხუთი სეზონია არ ემარჯვათ — შეცვლაზე შესულმა მაიკლ ოუენმა და ივან ელგერამ გამოუდნეს სამი ქულა „სამეფო კლუბს“. თუმცალა „რეალი“ აგებდა — პირველ ტაიმში, „ოსასუნას“ კამერუნელმა ვებომ 36-ე წუთზე გაახარა იქაური ინჩასობა, მაგრამ...

„ბარსელონას“ „რეალი“ ისევ კვალში უდგას და მათ შორის სხვაობა ისევ ოთხი ქულაა.

**ლადო ხომერიკი**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 23 | 17 | 3 | 3 | 47:17 | 30 | 54 | 12 | 10 | 1 | 1 | 26:6 | 20 | 31 | 11 | 7 | 2 | 2 | 21:11 | 10 | 23 |
| 2 | რეალი | 23 | 16 | 2 | 5 | 43:17 | 26 | 50 | 12 | 10 | 0 | 2 | 28:6 | 22 | 30 | 11 | 6 | 2 | 3 | 15:11 | 4 | 20 |
| 3 | სევილია | 23 | 12 | 5 | 6 | 28:24 | 4 | 41 | 11 | 8 | 2 | 1 | 16:9 | 7 | 26 | 12 | 4 | 3 | 5 | 12:15 | -3 | 15 |
| 4 | ვალენსია | 23 | 10 | 8 | 5 | 36:23 | 13 | 38 | 12 | 7 | 3 | 2 | 20:10 | 10 | 24 | 11 | 3 | 5 | 3 | 16:13 | 3 | 14 |
| 5 | ბეტისი | 23 | 10 | 8 | 5 | 37:28 | 9 | 38 | 12 | 8 | 3 | 1 | 22:12 | 10 | 27 | 11 | 2 | 5 | 4 | 15:16 | -1 | 11 |
| 6 | ესპანიოლი | 23 | 11 | 5 | 7 | 28:24 | 4 | 38 | 11 | 7 | 3 | 1 | 17:8 | 9 | 24 | 12 | 4 | 2 | 6 | 11:16 | -5 | 14 |
| 7 | ვილიარეალი | 23 | 10 | 7 | 6 | 38:20 | 18 | 37 | 11 | 7 | 3 | 1 | 20:4 | 16 | 24 | 12 | 3 | 4 | 5 | 18:16 | 2 | 13 |
| 8 | ატლეტიკო | 23 | 9 | 6 | 8 | 24:20 | 4 | 33 | 11 | 7 | 3 | 1 | 15:8 | 7 | 24 | 12 | 2 | 3 | 7 | 9:12 | -3 | 9 |
| 9 | ბილბაო | 23 | 8 | 8 | 7 | 37:32 | 5 | 32 | 12 | 7 | 4 | 1 | 26:15 | 11 | 25 | 11 | 1 | 4 | 6 | 11:17 | -6 | 7 |
| 10 | დეპორტივო | 23 | 7 | 11 | 5 | 33:32 | 1 | 32 | 12 | 3 | 6 | 3 | 18:20 | -2 | 15 | 11 | 4 | 5 | 2 | 15:12 | 3 | 17 |
| 11 | ოსასუნა | 23 | 8 | 5 | 10 | 34:39 | -5 | 29 | 12 | 6 | 4 | 2 | 21:13 | 8 | 22 | 11 | 2 | 1 | 8 | 13:26 | -13 | 7 |
| 12 | სარაგოსა | 23 | 8 | 4 | 11 | 29:38 | -9 | 28 | 11 | 7 | 0 | 4 | 19:16 | 3 | 21 | 12 | 1 | 4 | 7 | 10:22 | -12 | 7 |
| 13 | სოსიედადი | 23 | 7 | 5 | 11 | 29:34 | -5 | 26 | 11 | 4 | 3 | 4 | 12:17 | -5 | 15 | 12 | 3 | 2 | 7 | 17:17 | 0 | 11 |
| 14 | ხეტაფე | 23 | 7 | 5 | 11 | 22:27 | -5 | 26 | 12 | 7 | 1 | 4 | 16:10 | 6 | 22 | 11 | 0 | 4 | 7 | 6:17 | -11 | 4 |
| 15 | ლევანტე | 23 | 7 | 5 | 11 | 25:36 | -11 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:14 | -1 | 17 | 12 | 2 | 3 | 7 | 12:22 | -10 | 9 |
| 16 | მალაგა | 23 | 7 | 4 | 12 | 16:30 | -14 | 25 | 12 | 5 | 3 | 4 | 11:13 | -2 | 18 | 11 | 2 | 1 | 8 | 5:17 | -12 | 7 |
| 17 | ალბასეტე | 23 | 5 | 8 | 10 | 21:32 | -11 | 23 | 12 | 3 | 5 | 4 | 8:11 | -3 | 14 | 11 | 2 | 3 | 6 | 13:21 | -8 | 9 |
| 18 | მალიორკა | 23 | 5 | 6 | 12 | 23:37 | -14 | 21 | 11 | 3 | 3 | 5 | 16:18 | -2 | 12 | 12 | 2 | 3 | 7 | 7:19 | -12 | 9 |
| 19 | რასინგი | 23 | 5 | 6 | 12 | 21:36 | -15 | 21 | 11 | 3 | 5 | 3 | 14:15 | -1 | 14 | 12 | 2 | 1 | 9 | 7:21 | -14 | 7 |
| 20 | ნუმანსია | 23 | 3 | 5 | 15 | 13:38 | -25 | 14 | 11 | 3 | 4 | 4 | 9:12 | -3 | 13 | 12 | 0 | 1 | 11 | 4:26 | -22 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 17 |
| რ. ოლივეირა (ბეტისი) | 15 |
| ფორლანი (ვილიარეალი) | 14 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 13 |
| რონალდო (რეალი) | 11 |
| ბაპტისტა (სევილია) | 11 |
| რიკელმე (ვილიარეალი) | 11 |

### XXIV ტური
19-20 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| რეალი | : | ბილბაო |
| ვილიარეალი | : | ატლეტიკო |
| ბეტისი | : | დეპორტივო |
| მალაგა | : | ესპანიოლი |
| სოსიედადი | : | სევილია |
| რასინგი | : | ვალენსია |
| ლევანტე | : | სარაგოსა |
| ხეტაფე | : | ოსასუნა |
| ბარსელონა | : | მალიორკა |
| ალბასეტე | : | ნუმანსია |

### სეგუნდადივიზიონი
### XXIV ტური

**კადისი 2:1 ალმერია**
0:1 სანუნი (19), 1:1 პასი (52), 2:1 ოლი (55)

**ტენერიფე 1:0 ალავესი**
1:0 ოსკარ ალვარესი (48)

**მალაგა B 1:0 ლეიდა**
1:0 აბელი (24)

**სალამანკა 1:2 ეიბარი**
0:1 ლორენტე (21), 0:2 სილვა (50), 1:2 ზე ტო (88)

**მურსია 1:3 უელვა**
1:0 ივან ალონსო (25), 1:1 უჩე (51), 1:2 ბენიტესი (54), 1:3 უჩე (70)

**სელტა 1:0 სპორტინგი**
1:0 კანობიო (89)

**ფეროლი 1:4 ხიმნასტიკი**
1:0 ფრანჩი (26), 1:1 ივან ანია (59), 1:2 პინილია (68), 1:3 სერანო (80), 1:4 ბოლო (84)

**პოლი ეხიდო 0:0 ხერესი**

**კორდობა 2:1 ტერასა**
0:1 კაზარინე (37), 1:1 ბილიჩი (77), 2:1 ჩიკი (90)

**ელჩე 2:0 პონტევედრა**
1:0 ნინო (7), 2:0 მოიზესი (9)

**ვალიადოლიდი 2:1 სიუდად მურსია**
1:0, 2:0 დავიდ მატეო (32, 39), 2:1 ლუსიანუ (40)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კადისი | 24 | 14 | 4 | 6 | 40:18 | 46 |
| ეიბარი | 24 | 13 | 5 | 6 | 31:23 | 44 |
| სელტა | 24 | 11 | 10 | 3 | 31:20 | 43 |
| ალავესი | 24 | 12 | 6 | 6 | 36:26 | 42 |
| ვალიადოლიდი | 24 | 12 | 6 | 6 | 36:26 | 42 |
| ელჩე | 24 | 12 | 6 | 6 | 33:23 | 42 |
| უელვა | 24 | 11 | 7 | 6 | 25:15 | 40 |
| ხერესი | 24 | 10 | 8 | 6 | 23:19 | 38 |
| ხიმნასტიკი | 24 | 10 | 5 | 9 | 24:23 | 35 |
| ფეროლი | 24 | 8 | 10 | 6 | 36:27 | 34 |
| ლეიდა | 24 | 9 | 5 | 10 | 28:29 | 32 |
| სპორტინგი | 24 | 8 | 7 | 9 | 23:22 | 31 |
| ტენერიფე | 24 | 7 | 10 | 7 | 24:29 | 31 |
| პოლი ეხიდო | 24 | 7 | 9 | 8 | 24:25 | 30 |
| მალაგა B | 24 | 7 | 8 | 9 | 20:28 | 29 |
| ალმერია | 24 | 7 | 7 | 10 | 20:25 | 28 |
| ტერასა | 24 | 8 | 4 | 12 | 28:34 | 28 |
| სალამანკა | 24 | 7 | 5 | 12 | 30:34 | 26 |
| სიუდად მურსია | 24 | 4 | 11 | 9 | 27:38 | 23 |
| მურსია | 24 | 6 | 5 | 13 | 17:35 | 23 |
| კორდობა | 24 | 4 | 4 | 16 | 13:29 | 16 |
| პონტევედრა | 24 | 2 | 8 | 14 | 19:40 | 14 |

# პრსოს ორი და მეთექვსმეტე

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXV ტური**

**რეინჯერსი 3:0 ჰიბერნიანი**

1:0, 2:0 პრსო (35, 50), 3:0 ბუფელი (61)

რეინჯერსი: ვატერეუსი, ჰატონი, ენდრიუსი, კირიაკოსი, ბოლი, ბუფელი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი (ა. რაე 83), ვინალი, ნოვო (ს. ტომპსონი 72), პრსო (არველაძე 71)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: რიკსენი

მსაჯი: ტომსონი

50 143 მაყურებელი

**დანდი 2:1 მოზერუელი**

0:1 მაკდონალდი (40), 1:1, 2:1 ლოველი (45, 55)

**დანფერმლაინი 2:1 აბერდინი**

1:0 მეჰმეთი (53), 1:1 დაიმონდი (73), 2:1 დონელი (83)

**ჰარტსი 3:0 კილმარნოკი**

1:0 მიკოლიუნასი (15), 2:0 ფაულერი (25ს.კ.), 3:0 მილერი (67)

**ლივინგსტონი 0:2 დანდი იუნ.**

0:1 კროუფორდი (14), 0:2 გრედი (41)

**ინვერნესი — სელტიკი**

გადაიდო



ფერნანდო რიკსენის (მარჯვნივ) „რეინჯერსი“ დროებით გალიდერდა

### „გლაზგო რეინჯერსმა“

მორიგი გამარჯვება მოიპოვა. „ჩაფრებმა“ ამჯერად მესამე ადგილოსანი „ჰიბერნიანი“ იმსხვერპლეს. ედინბურგელებს ცუდად არ დაუწყიათ და პირველი ნახევარი საათიც ღირსეულად გაუძლეს მასპინძელთა მასირებულ იერიშებს, თუმც 35-ე წუთზე მაინც გატყდნენ — ხორვატი დადო პრსო კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს სწორად დაუხვდა და მიმდინარე სეზონში თავისი მე-15 გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ „ჩაფრები“ უფრო გააქტიურდნენ და მთელი მატჩის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ. ტრადიციულად მოუსვენარი იყო ნაჩო ნოვო. პირველი ტაიმის მიწურულს, იგი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და აშკარად მოცელეს, მაგრამ მსაჯმა სხვაგვარად ჩათვალა.

შეხვედრის არბიტრს თერთმეტმეტრიანის დანიშვნა მაინც მოუხდა. „ჰიბერნიანის“ საჯარიმოში კვლავ ნოვომ გაინავარდა, ხოლო მერთიმ იგი წააქცია, მაგრამ რად გინდა — მასპინძლებმა ეს შანსი გაანიავეს — ედინბურგელთა მეკარე ბრაუნმა მიმართულება გამოიცნო.

„რეინჯერსმა“ საწადელს მეორე ტაიმის დებიუტში მიაღწია. კირიაკოს-ბუფელის კომბინაციის შემდეგ კვლავ „ჩაფართა“ ხორვარტმა ფორვარდმა იხეირა. სხვათა შორის, პრსომ თავის გოლებს შორის კიდევ ერთი შეაგდო, მაგრამ ლაინსმენმა ჩათვალა, რომ თამაშგარე მდგომარეობა იყო და ცხადია, გაუუქმა.

61-ე წუთზე თომას ბუფელმა მშვენიერი რეიდი ზუსტი დარტყმით დაასრულა და „აიბროქსზე“ თავისი პირველი გოლი ასე გაიტანა.

გლაზგოელთა ახალი გოლკიპერი როლანდ ვატერეუსი კი თამაშში სულ რამდენჯერმე ჩაერთო და კარი მშრალად შეინახა.

ჩვენებური შოთა არველაძე მინდორზე 71-ე წუთზე გამოჩნდა, როდესაც ალექს მაკლიშმა გადაწყვიტა პრსო დაესვენებინა. შოთას ცუდად არ უთამაშია და ერთი მომენტიც შექმნა, მაგრამ ბრაუნს ვერ აჯობა.

ამ გამარჯვებით „რეინჯერსი“ ცხრილს სათავეში მოექცა, რადგან „ინვერნესისა“ და „სელტიკის“ გუშინდელ მატჩამდე ძლიერი წვიმის გამო მოედანი ისე დაიტბორა, რომ იქ თამაში შეუძლებელი იყო.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 25 | 19 | 5 | 1 | 54:11 | 62 |
| სელტიკი | 24 | 20 | 2 | 2 | 53:19 | 62 |
| ჰიბერნიანი | 24 | 13 | 4 | 7 | 41:32 | 43 |
| ჰარტსი | 25 | 11 | 8 | 6 | 30:21 | 41 |
| აბერდინი | 25 | 10 | 6 | 9 | 25:25 | 36 |
| მოზერუელი | 24 | 9 | 3 | 12 | 29:33 | 30 |
| კილმარნოკი | 25 | 9 | 2 | 14 | 31:43 | 29 |
| ინვერნესი | 24 | 6 | 7 | 11 | 27:35 | 25 |
| დანფერმლაინი | 25 | 6 | 6 | 13 | 23:37 | 24 |
| დანდი | 25 | 6 | 6 | 13 | 28:46 | 24 |
| დანდი იუნ. | 25 | 4 | 9 | 12 | 27:40 | 21 |
| ლივინგსტონი | 25 | 4 | 4 | 17 | 19:45 | 16 |

**I დივიზიონი. XXV ტური**

ფოლკირკი — ჰამილტონი 1:1; პარტიკი — ერდრი 1:1; რეითი — კლაიდი 3:3; სენტ ჯონსტონი — ქუინი 0:0. *როსი — სენტ მირენი გადაიდო*

**II დივიზიონი. XXV ტური**

არბროთი — ალოა 2:1; ბრეჩინი — დამბარტონი 0:2; მორტონი — ფორფარი 4:0; სტირლინგი — ეარი 2:0; სტრანრარი — ბერვიკი 1:0

**III დივიზიონი. XXV ტური**

კოუდენბითი — ალბიონი 1:2; ისტ სტირლინგი — მონტროუზი 1:2; ელგინი — ისტ ფაიფი 2:1; ქუინზ პარკი — პიტერჰედი 1:1; სტენჰაუზმური — გრეტნა 1:4

## ჰოლანდია

**I დივიზიონი. XXI ტური**

**ალკმაარი 0:0 პსვ ეინდჰოვენი**

**როზენდალი 0:1 უტრეხტი**

0:1 ტინდალი (74)

**როდა 2:3 ჰერენვენი**

0:1, 0:2 ვაირინენი (15, 55), 1:2 სეკუ (62), 1:3 ლ. ნილსონი (78), 2:3 მოდუ-კა (87)

**ტვენტე 3:1 ვალვაიკი**

0:1 ფუხსი (7), 1:1 ტუმა (8), 2:1 ნკუფო (39), 3:1 მაისტოროვიჩი (69)

**გრონინგენი 0:0 ვიტესი**

**ბრედა 1:2 აიაქსი**

0:1 ბუხარი (3), 1:1 კორნელისე (54), 1:2 ბუხარი (88)

**ნაიმეგენი 1:1 დენ ჰააგი**

1:0 ნედზელანი (20), 1:1 სტროევე (65)

**დენ ბოსხი 0:2 გრააფსხაპი**

0:1 ვან ბოეკერინგი (70), 0:2 ბელენგამი (90)

**ფეიენოორდი 7:0 ტილბურგი**

1:0 გიბსი (22), 2:0 ჰოფსი (27), 3:0 კუიტი (40), 4:0 ჰოფსი (42), 5:0 კუიტი (52), 6:0 ჰოფსი (60), 7:0 ბასტო (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 21 | 16 | 4 | 1 | 54:12 | 52 |
| ალკმაარი | 21 | 15 | 5 | 1 | 49:14 | 50 |
| აიაქსი | 21 | 13 | 5 | 3 | 46:20 | 44 |
| ფეიენოორდი | 21 | 11 | 5 | 5 | 57:27 | 38 |
| უტრეხტი | 21 | 10 | 5 | 6 | 26:21 | 35 |
| ჰერენვენი | 21 | 10 | 5 | 6 | 37:35 | 35 |
| ვიტესი | 21 | 10 | 4 | 7 | 34:27 | 34 |
| როდა | 21 | 8 | 5 | 8 | 38:34 | 29 |
| ტვენტე | 21 | 8 | 4 | 9 | 27:27 | 28 |
| ვალვაიკი | 21 | 7 | 6 | 8 | 27:30 | 27 |
| ბრედა | 21 | 7 | 6 | 8 | 29:42 | 27 |
| გრონინგენი | 21 | 7 | 5 | 9 | 28:36 | 26 |
| ტილბურგი | 21 | 7 | 4 | 10 | 25:40 | 25 |
| ნაიმეგენი | 21 | 4 | 8 | 9 | 23:29 | 20 |
| დენ ჰააგი | 21 | 5 | 5 | 11 | 24:32 | 20 |
| გრააფსხაპი | 21 | 3 | 5 | 13 | 22:51 | 14 |
| როზენდალი | 21 | 3 | 2 | 16 | 21:52 | 11 |
| დენ ბოსხი | 21 | 2 | 3 | 16 | 11:49 | 9 |

**II დივიზიონი XXI ტური**

დორდრეხტი — კამბური 1:2; ეინდჰოვენი — ჰაარლემი 2:2; ზვოლე — ვოლენდამი 2:0; სიტარდი — ჰერაკლესი 0:3; მაასტრიხტი — ოსი 2:0; ტელსტარი — ჰელმონდი 0:0; ვენლო — ემენი 4:0; აპელდორნი — იგლსი 4:0; სპარტა — ექსელსიორი 1:1

## საფრანგეთი

**თასის მეთექვსმეტედფინალი**

ალბი — ანჟე 2:0დ.დ.(0:0); ლიბურნი — *მონაკო* 2:4; *ნიმი* — აიაჩო 1:1დ.დ.(პენ.4:2, 1:1); *კლერმონი* — ტულონი 1:0; *სედანი* — მონტანარდი 4:0; რონ-ვალე — *გრენობლი* 1:2; *ბულონი* — ბლუა 4:0; რომორანტინი — *კევილი* 0:1; ვანი — *ოსერი* 0:2; *რენი* — კაენი 2:0; საუმური — *ნანტი* 0:2; მეცი — *სოშო* 0:1; *ლილი* — ლანსი 3:2; *ნიცა* — რეიმსი 3:1დ.დ.(1:1); ტულუზი — *ლიონი* 1:2; *პსჟ* — ბორდო 3:1დ.დ.(1:1)

**მერვედფინალის წილისყრა**

ალბი — სოშო; ნიმი — ნიცა; სედანი — კევილი; რენი — მონაკო; ლილი — გრენობლი; ბულონი — ნანტი; ოსერი — პსჟ; კლერმონი — ლიონი

*მატჩები გაიმართება 1-2 მარტს*

**II დივიზიონი გადადებული მატჩი**

**ნანსი 2:0 დიჟონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 24 | 14 | 5 | 5 | 36:21 | 47 |
| ტრუა | 24 | 12 | 5 | 7 | 40:32 | 41 |
| ლე მანი | 25 | 12 | 5 | 8 | 27:22 | 41 |
| სედანი | 25 | 11 | 7 | 7 | 24:23 | 40 |
| გენიონი | 25 | 9 | 11 | 5 | 21:17 | 38 |
| შატორუ | 25 | 8 | 13 | 4 | 28:22 | 37 |
| მონპელიე | 25 | 10 | 6 | 9 | 26:23 | 36 |
| ბრესტი | 25 | 8 | 12 | 5 | 25:24 | 36 |
| ლავალი | 25 | 10 | 6 | 9 | 28:28 | 36 |
| გრენობლი | 24 | 8 | 9 | 7 | 29:27 | 33 |
| რეიმსი | 24 | 8 | 9 | 7 | 25:28 | 33 |
| გენგამი | 24 | 9 | 5 | 10 | 31:30 | 32 |
| დიჟონი | 24 | 7 | 10 | 7 | 23:23 | 31 |
| ამიენი | 25 | 7 | 9 | 9 | 22:24 | 30 |
| კლერმონი | 25 | 6 | 10 | 9 | 27:27 | 28 |
| ლორიანი | 25 | 8 | 4 | 13 | 29:36 | 28 |
| კრეტეი | 25 | 6 | 8 | 11 | 22:25 | 26 |
| ანჟე | 25 | 5 | 9 | 11 | 24:32 | 24 |
| ლე ავრი | 25 | 6 | 6 | 13 | 15:25 | 24 |
| ნიორი | 25 | 6 | 5 | 14 | 20:33 | 23 |

## ბელგია

**იუპილერლიგა. XXII ტური**

**ანდერლეხტი 0:1 ოსტენდე**

0:1 ნიისი (25)

**ბევერენი 2:2 მუსკრონი**

1:0 სანოგო (10), 1:1 დე ფლიმაუვერი (38), 1:2 ჟევლაკოვი (50), 2:2 რომარიჩი (80)

**ლუვიე 0:0 ლოკერენი**

**ვესტერლო 1:0 ბრიუსელი**

1:0 პაასი (75)

**ბეერსხოტი 2:3 სერკლ ბრიუგე**

1:0 ჰოფკენსი (12), 1:1 მასურილი (30), 2:1 კადუ (33), 2:2 დესმეტი (71), 2:3 ვანდენბუშე (88)

**მონსი 4:1 ლიერსი**

1:0 ნჯოკი (14), 1:1 მიტუ ([illegible]), 2:1 მლასი (53), 3:1 ნჯოკი (63), [illegible] გუსი (79)

**ბრიუგე 1:1 შარლერუა**

0:1 მასკე (36), 1:1 ლანგე ([illegible])

**სტანდარდი — გენკი**

გადაიდო

**სენტ ტრუიდენი — გენტი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 22 | 18 | 3 | 1 | 59:14 | 57 |
| ანდერლეხტი | 21 | 14 | 3 | 4 | 44:21 | 45 |
| გენკი | 21 | 12 | 6 | 3 | 32:20 | 42 |
| სტანდარდი | 21 | 12 | 4 | 5 | 37:21 | 40 |
| შარლერუა | 22 | 11 | 6 | 5 | 29:22 | 39 |
| ლუვიე | 22 | 10 | 5 | 7 | 31:20 | 35 |
| ვესტერლო | 22 | 10 | 3 | 9 | 22:31 | 33 |
| გენტი | 21 | 9 | 4 | 8 | 26:25 | 31 |
| ლოკერენი | 22 | 8 | 7 | 7 | 26:25 | 31 |
| ლიერსი | 22 | 8 | 4 | 10 | 37:40 | 28 |
| ბევერენი | 22 | 7 | 5 | 10 | 31:36 | 26 |
| სერკლი | 22 | 7 | 4 | 11 | 31:55 | 25 |
| მუსკრონი | 22 | 6 | 5 | 11 | 32:33 | 23 |
| ბეერსხოტი | 22 | 6 | 5 | 11 | 21:22 | 23 |
| სენტ ტრუიდენი | 21 | 5 | 5 | 11 | 24:38 | 20 |
| მონსი | 21 | 5 | 3 | 13 | 27:37 | 18 |
| ოსტენდე | 22 | 3 | 6 | 13 | 20:44 | 15 |
| ბრიუსელი | 22 | 4 | 2 | 16 | 19:43 | 14 |

**მეორე კლასი. XXIV ტური**

დესელი — კორტრონი 3:0; დაინცე — აალსტი 3:0; ეუპენი — პატრო 4:0; ჰეუსდენი — ანტვერპენი 2:0; ვიგორი — გეელი 1:1; კორტრაიკი — რუზელარე 2:2; რონსი — ვაასლანდი 0:5; ტუბიცე — ვარეგემი 0:1

## პორტუგალია

**სუპერლიგა XXI ტური**

**ბრაგა 0:0 ბენფიკა**

**ბელენენსეში 3:0 ეშტორილი**

1:0 ლოურენსუ (41), 2:0 პაულუ სერჟიუ (81), 3:0 რ. ლიმა (87)

**აკადემიკა 1:0 ნასიონალი**

1:0 მარსელი (77)

**მორეირენსე 1:0 ჟილ ვისენტე**

1:0 ორლანდუ (75)

**ბეირა მარი 1:1 სეტუბალი**

0:1 მეიონგი (18), 1:1 ბეტუ (51)

**ბოავიშტა 3:2 მარიტიმუ**

1:0, 2:0 დიეგო ვალენტე (11, 43), 3:0 უგო ალმეიდა (61), 3:1 სილასი (67), 3:2 ალანი (75)

**პენაფიელი 3:0 ლეირია**

1:0 რობერტუ (4), 2:0 ვესლი (11), 3:0 ნდოო (90)

**სპორტინგი 5:0 რიუ ავე**

1:0 ლიდსონი (10) 2:0 ზა პინტუ (35), 3:0 ლიდსონი (41), 4:0 ზა პინტუ (43), 5:0 უგო ვიანა (54)

**პორტუ 0:0 გიმარაეში**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 21 | 11 | 5 | 5 | 46:27 | 38 |
| ბენფიკა | 21 | 11 | 5 | 5 | 33:21 | 38 |
| პორტუ | 21 | 10 | 8 | 3 | 26:14 | 38 |
| ბოავიშტა | 21 | 11 | 5 | 5 | 27:25 | 38 |
| ბრაგა | 21 | 10 | 7 | 4 | 29:15 | 37 |
| მარიტიმუ | 21 | 8 | 9 | 4 | 25:19 | 33 |
| რიუ ავე | 21 | 7 | 10 | 4 | 27:27 | 31 |
| სეტუბალი | 21 | 8 | 6 | 7 | 28:23 | 30 |
| გიმარაეში | 21 | 8 | 6 | 7 | 20:18 | 30 |
| ბელენენსეში | 21 | 8 | 4 | 9 | 32:27 | 28 |
| ლეირია | 21 | 6 | 9 | 6 | 20:22 | 27 |
| ნასიონალი | 21 | 8 | 3 | 10 | 27:30 | 27 |
| ჟილ ვისენტე | 21 | 6 | 5 | 10 | 22:25 | 23 |
| პენაფიელი | 21 | 7 | 2 | 12 | 21:36 | 23 |
| მორეირენსე | 21 | 4 | 8 | 9 | 18:30 | 20 |
| ეშტორილი | 21 | 5 | 4 | 12 | 23:32 | 19 |
| ბეირა მარი | 21 | 4 | 6 | 11 | 22:40 | 18 |
| აკადემიკა | 21 | 4 | 4 | 13 | 15:30 | 16 |

**მეორე ლიგა. XXI ტური**

ავეში — სანტა კლარა 4:0; შავეში — ლეიშოეში 2:0; ესპინიუ — ამადორა 2:2; ფელგეირაში — მაია 2:2; ოლიანენსე — ფეირენსე 0:1; ოვაირენსე — ფერეირა 1:1; ალვერკა — პორტიმონენსე 2:0; გონდომარი — ნავალი 1:1; ვარზიმი — მარკუ 1:1

## საბერძნეთი

**ეროვნული ლიგა. XVIII ტური**

არისი — ერგოტელისი 1:1; ოლიმპიაკოსი — ქსანთი 0:0; პანათინაიკოსი — კალამარია 5:1; ოფი — კერკირა 3:1; კალითეა — ხალკიდონა 3:1; ირაკლისი — პაოკ 1:0; იონიკოსი — ეგალეო 1:1; პანიონიოსი — აეკ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 18 | 12 | 5 | 1 | 33:9 | 41 |
| პანათინაიკოსი | 18 | 11 | 3 | 4 | 33:12 | 36 |
| აეკ | 18 | 9 | 8 | 1 | 26:14 | 35 |
| ქსანთი | 18 | 8 | 6 | 4 | 26:20 | 30 |
| ეგალეო | 18 | 5 | 10 | 3 | 17:14 | 25 |
| პაოკ | 18 | 7 | 4 | 7 | 23:24 | 25 |
| ოფი | 18 | 6 | 5 | 7 | 25:26 | 23 |
| კალითეა | 18 | 5 | 7 | 6 | 27:27 | 22 |
| ხალკიდონა | 18 | 5 | 7 | 6 | 17:18 | 22 |
| ირაკლისი | 18 | 6 | 4 | 8 | 16:19 | 22 |
| პანიონიოსი | 18 | 5 | 6 | 7 | 12:16 | 21 |
| არისი | 18 | 3 | 10 | 5 | 16:20 | 19 |
| იონიკოსი | 18 | 4 | 6 | 8 | 12:23 | 18 |
| ერგოტელისი | 18 | 4 | 4 | 10 | 15:30 | 16 |
| კალამარია | 18 | 3 | 6 | 9 | 14:29 | 15 |
| კერკირა | 18 | 3 | 5 | 10 | 13:24 | 14 |

## მექსიკა

**კლაუსურა V ტური**

ტეკოსი — პაჩუა 1:0; ტოლუკა — ატლანტე 1:0; კრუზ ასული — მორელია 1:0; დორადოსი — მონტერეი 1:0; ტიგრესი — გვადალახარა 2:2; ვერაკრუსი — უნამი 1:0; ატლასი — ნეკაქსა 2:0; ამერიკა — ხაგუარესი 2:1. *სანტოსი — პუებლა წუხელ გვიან დამთავრდა*

## შვეიცარია

**თასის მეოთხედფინალი**

**ბელინცონა 0:2 *ციურიხი***

**კიასო 0:4 *ლუცერნი***

**სენტ გალენი 3:3დ.დ.(პენ.3:4, 2:2) *აარაუ***

***იანგ ბოისი* 2:0 თუნი**

## თურქეთი

**სუპერლიგა. XX ტური**

ანკარაგიუჯიუ — ქაისერი 2:2; კონია — სამსუნი 3:0; რიზე — გალათასარაი 0:3; ბეშიქთაში — დენიზლი 2:0; დიარბაქირი — სებათი 1:0; საქარია — გაზიანთეფი 2:2; ტრაბზონი — მალათია 3:0; ანკარა — გენჩლერი 2:1; ფენერბაჰჩე — ისთანბული 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 20 | 16 | 2 | 2 | 49:10 | 50 |
| გალათასარაი | 20 | 15 | 3 | 2 | 40:12 | 48 |
| ტრაბზონი | 20 | 14 | 4 | 2 | 40:13 | 46 |
| ბეშიქთაში | 19 | 10 | 5 | 4 | 43:25 | 35 |
| დენიზლი | 20 | 10 | 3 | 7 | 30:24 | 33 |
| რიზე | 20 | 8 | 6 | 6 | 23:17 | 30 |
| მალათია | 20 | 8 | 4 | 8 | 27:27 | 28 |
| გაზიანთეფი | 20 | 8 | 4 | 8 | 31:32 | 28 |
| ანკარა | 20 | 7 | 4 | 9 | 28:29 | 25 |
| დიარბაქირი | 20 | 7 | 4 | 9 | 20:31 | 25 |
| კონია | 20 | 5 | 9 | 6 | 35:39 | 24 |
| გენჩლერი | 19 | 6 | 5 | 8 | 24:27 | 23 |
| სამსუნი | 20 | 6 | 4 | 10 | 26:39 | 22 |
| ანკარაგიუჯიუ | 19 | 5 | 5 | 9 | 16:29 | 20 |
| საქარია | 20 | 5 | 3 | 12 | 25:45 | 18 |
| ისთანბული | 19 | 3 | 6 | 10 | 16:30 | 15 |
| ქაისერი | 20 | 4 | 3 | 13 | 26:43 | 15 |
| სებათი | 20 | 1 | 6 | 13 | 21:48 | 9 |

## როიალ ლიგა 2005

**A ჯგუფი. III ტური**

იურგორდენი (შვედეთი) 0:1 ვოლერენგა (ნორვეგია)

რუსენბორგი (ნორვეგია) 1:0 ესბიერგი (დანია)

**B ჯგუფი. III ტური**

გიოტებორგი (შვედეთი) 3:0 ბრონდბიუ (დანია)

კოპენჰაგენი (დანია) 2:2 ტრომსიო (ნორვეგია)

**C ჯგუფი. III ტური**

მალმიო (შვედეთი) 2:0 ბრანი (ნორვეგია)

ჰალმსტადი (შვედეთი) 2:1 ოდენსე (დანია)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ჰოი, სეირი!
## რობერტ ჰოიზერი ჩააყუდეს

*გერმანელი მსაჯი რობერტ ჰოიზერი შაბათს დააპატიმრეს და არ არის გამორიცხული, საკმაოდ ხანგრძლივი პატიმრობაც მიუსაჯონ. მიზეზი უკვე მთელი მსოფლიოსთვის კარგად ნაცნობია — ბრალმდებელი მხარე ამბობს, რომ ჰოიზერი ანგარებიანი მსაჯია და ის, რომ სულ მცირე, 2004 წლამდე თამაშებს „აკეთებდა" უკვე ახალი სამხილებით არის განმტკიცებული*

**გერმანია,** მოგეხსენებათ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს და, ბუნებრივია, ასეთი მასშტაბური და პრესტიჟული შეჯიბრების წინ სკანდალში გახვევა არაფრით აწყობდა, მაგრამ ვინაიდან და რადგანაც სკანდალი უკვე აგორებულია, ახლა ქვეყნის სახელისთვის ყოველმხრივ უმჯობესია ყველაფერი ბოლო წვრილმანამდე გამოიძიოს და დედამიწას მექრთამეობასა და კანონდარღვევებთან უკომპრომისო ბრძოლის მაგალითი აჩვენოს.

პოლიციამ 25 წლის მსაჯი, როგორც უკვე გითხარით, შაბათს დააპატიმრა, როდესაც გამოძიებამ ახალი სამხილები მოიძია და ამ სამხილთა ხარისხიცა და რაოდენობაც დაპატიმრებისთვის სრულიად საკმარისად მიიჩნია.

ცნობილი გახდა, რომ რობერტ ჰოიზერი და „მისი ტიპის პიროვნებები" ნამდვილად ჩადიოდნენ დანაშაულს" -- ეს გახლავთ ბერლინის პროკურორის, მიხაელ გრუნკალდის განცხადებაზე დაყრდნობილი ცნობა. განცხადებაში აგრეთვე წერია რომ ჰოიზერი ხანგრძლივ პატიმრობას უნდა ელოდოს.

საბოლოოდ, პროკურორის თქმით, იყო რეალური საფრთხე იმისა, რომ მსაჯი შეიძლებოდა მიმალულიყო და ამიტომაც აჩქარეს სამართალდამცველებმა მისი დაკავება.

ამასობაში, ჰოიზერის ვექილმა, თომას ჰერმესმა თავის მხრივ განაცხადა, რომ იმ თამაშებამდე, რომელთა ამბავიც უკვე ძიებაშია, მისმა კლიენტმა კიდევ ერთი თამაშის „ჩაწყობის" წინადადება მიიღო, მაგრამ მოხდა უცნაური რამ: მიუხედავად უარისა (შესაბამისად, შეხვედრა დასრულდა ალალი ანგარიშით 1:1), ჰოიზერმა თავის საბანკო ანგარიშზე მაინც იპოვნა ზედმეტი 500 ევრო. სხვა ინტერვიუში, რომელიც ჰერმესმა „როიტერის" სატელევიზიო არხს მისცა, ის ამბობს, რომ მისი კლიენტის გამომძიებლებთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობა იმედია, მას პატიმრობის ვადის შემცირებაში ან სულაც გათავისუფლებაში დაეხმარება.

„ბატონი ჰოიზერი ამჟამად გამომძიებლებთან მარტოა და მას ვექილის შუამავლობა არ სჭირდება, რადგან იგი მათ სიმართლეს უამბობს. იმედი მაქვს, შინ გაუშვებენ" — ბრძანა ვექილმა.

ის, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა დისკვალიფიკაცია მიუსაჯა კიდევ ერთ მსაჯს, ტორსტენ კოოპს, ბადებს ეჭვს, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთში გარიგებული თამაშები მხოლოდ ჰოიზერის სახელს არ უკავშირდება. კოოპი ბუნდესლიგის გამოცდილი მსაჯია, რომელმაც განაცხადა, რომ ჰოიზერს მასთან თამაშების ჩაწყობაზე რაღაც კი ჰქონდა ნათქვამი, მაგრამ მან ამის შესახებ არავის აცნობა, რადგან ეგონა, რომ კოლეგა რაღაც სისულელეს ჩმახავდა. აქვე დავძენთ, რომ კოოპი ბოლო დროს დაშავებულიც იყო და მატჩებს ისედაც ველარ სჯიდა.

„მწამს, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირი და ბერლინელი გამომძიებლები ყველა ღონეს იხმარენ, რათა მთელს ამ ისტორიას ნათელი მოეფინოს" — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა.



გერმანიის საფეხბურთო კავშირმა კი ჰოიზერის დაპატიმრების შესახებ კომენტარს თავი აარიდა.

„ეს პროკურატურის გადაწყვეტილება იყო — განაცხადა კავშირის პრეს-მდივანმა ჰარალდ შტენგერმა — ბოლოს გავრცელებული ცნობების თანახმად, საფეხბურთო მაქინაციებში მონაწილეობაში ეჭვმიტანილია კიდევ სამი ადამიანი, ხოლო სავარაუდოდ, გარიგებული თამაშების რაოდენობა დაახლოებით ათს უდრის".

**პაატა ძიძია**

---

# ლონდონი–ბაქო
## იპოვეთ მსგავსება

*ფეხბურთს აქვს ასეთი თვისება: იგი წარმოშობს მორწმუნეებს და ცინიკოსებს, ხოლო ეს რომ მართლა ასეა, ბოლო ორიოდ კვირის განმავლობაში ევროპის დასავლეთ და აღმოსავლეთ ბოლოებში ძალიან ნათლად გამოჩნდა. იშვიათად თუ ნახავ ადამიანის ისეთ თვალსაჩინო განსხვავებას, როგორც ბაქოელ მორწმუნეებს და ლონდონელ სკეპტიკოსებს შორისაა, კერძოდ კი აი, რას ვგულისხმობთ*



ჟოზე მაურინიუ და რომან აბრამოვიჩი „ჩელსის" მსოფლიოში ბატონობისთვის აშენებენ

### იღბალი

ეჭვი არ არის, 24 წლის ეშლი კოული დიდებული ფეხბურთელია და მას მერე, რაც 16 წლისა ლონდონის „არსენალში" მივიდა, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ჩამოყალიბდა.

კოულს „არსენალთან" 2007 წლამდე აქვს ხელშეკრულება და ეს მისთვის ძალიან კარგია, რადგან ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბის წევრია, ახლოსაა მნიშვნელოვანი ჯილდოების მოგებასთან და კვირაში ერთხელ იღებს იმხელა ჯამაგირს, რამხელასაც აზერბაიჯანელი ხალხის უმრავლესობა მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ ეღირსება.

ის, რომ ეშლი კოულის „არსენალიდან" წაყვანა „ჩელსის" უნდა, ესეც ფეხბურთელის კარგ იღბალზე მიუთითებს. „ჩელსის" მეპატრონეა რუსი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი, რომელიც დღეში იმდენ ფულს შოულობს, რამდენის საშოვნელადაც აზერბაიჯანელი ხალხის უმრავლესობას რამდენიმე ცხოვრება არ ეყოფა. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, რომან აბრამოვიჩის იღბლიანობასაც ნიშნავს და მანაც გადაწყვიტა, 13,02 მილიარდი დოლარი „ჩელსის" ისეთ კლუბად გადაქცევაში დახარჯოს, რომელიც მხოლოდ ინგლისში კი არა, მსოფლიოში იბატონებს.

აბრამოვიჩს ასეთ ამბიციას ვერავინ უსაყვედურებს და სანამ „ჩელსი" კანონების სრული დაცვით მოქმედებს, მას შეუძლია სრული წარმატებით გაიაროს მთელი დასახული გზა.

### ცინიზმი

და „ჩელსი" თავისი სამომავლო, დიადი გეგმების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს ეშლი კოულს. ამის მტკიცება შეგვიძლია „მოწმეთა ჩვენებებიდან", რომელთანაც ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში ერთად იხილეს კლუბის აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კინიონი, მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ, აგენტი პინი ზაჰავი და თავად კოული.

კოულმა და მაურინიომ ასეთ შეხვედრაში მონაწილეობა შემდეგ უარყვეს. ხოლო ამბის მთელი ცინიზმი ის კი არ არის, მართლა შეხვდნენ ეს ადამიანები ერთმანეთს თუ არა, არამედ ის, რომ ხალხი მათ ასეთ შეხვედრაზე ლაპარაკობს ანუ ეს სრულიად შესაძლებელ ამბად მიაჩნიათ.

მერე, თუ ისინი მართლა შეიკრიბნენ და ვთქვათ, ამინდზე ისაუბრეს, ძალიან კარგი, მაგრამ თუ მათი საუბრის მიზანი ეშლი კოულის მოთაფვლა იყო და ამისთვის ფეხბურთელს „არსენალზე" სამჯერ მეტი ხელფასი შესთავაზეს, მაშინ მათ უკვე პრემიერლიგის ერთ-ერთი კანონი სრულიად ცინიკურად დაურღვევიათ.

საინტერესოა, რომ ეს ადამიანები ერთმანეთს ღამით, სადმე შორს, ხალხთა თვალისგან უხილავ სასტუმროში რომ შეხვედროდნენ, საჯარო ეჭვსა და ბრალდებებს ასცდებოდნენ, მაგრამ ისინი ასე არ მოქცეულან. ისინი მოიქცნენ ისე, რომ კანონის დარღვევის სრული სურათიც დახატეს და სურათის დამალვას მორიდებიან. სხვანაირად, მათ გამოაცხადეს, რომ ფული აქვთ და რასაც უნდათ იმას გააკეთებენ, ამას კი დედამიწის ყველა ენაზე ცინიზმი ჰქვია.

### ბაქოელი მორწმუნეები

აი, ბაქოში კი ცინიკურ განწყობილებათა ნატამალსაც ვერ იპოვნიდით. იქ ნახავდით მხოლოდ რწმენას და ოცნებას, რომ აზერბაიჯანს 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა შეუძლია.

აზერბაიჯანი ფიფას რეიტინგში 115-ეა და გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის მინიმალური შანსიც კი არ აქვს, მაგრამ იგი გახლავთ იმ ათ ქვეყანას შორის, რომელთაც 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის სამასპინძლოდ განაცხადი შეიტანეს. სხვათა გარდა, ისინი არიან საბერძნეთის, იტალიის, რუსეთის და თურქეთის კონკურენტები და როგორც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რამიზ მირზაევი ამბობს, აზერბაიჯანის შანსი სხვა ქვეყნებისაზე ნაკლებ რეალური სულაც არ არის.

„ჩვენ ფეხბურთზე გადარეული ხალხი ვართ — ამბობს იგი — ჩვენი ნაკრების მწვრთნელი კი გახლავთ 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ბრაზილიელი კარლოს ალბერტო. აზერბაიჯანში არის სტადიონები, ჩვენ გვწამს საკუთარი ძალისა და მომავლის. ჩვენ რვა მილიონი ვართ, გვიყვარს ფეხბურთი და ვხედავთ, რომ აზერბაიჯანის ნაკრები სულ უფრო და უფრო ძლიერდება. შვიდი წლის წინ ეს შეუძლებელი იქნებოდა, შვიდი წლის შემდეგ კი ვერავინ იტყვის, რომ ევროპის ჩემპიონატი აზერბაიჯანში არ უნდა ჩატარდეს. 2012 წლისთვის უკლებლივ ყველა სტადიონი მზად გვექნება და თუ ამ ჯერზე არ მოგვცემენ პირველობის ჩატარების უფლებას, 2016 წლისთვის თავიდან შევიტანთ განაცხადს".

### ველური ფანტაზია?

ადამიანი, რომელიც შეუძლებელს ესწრაფვის, იდეალისტია, მაგრამ ერთადერთი, რაც მას შეიძლება ბრალად წაუყენონ, საკუთარი ქვეყნის მსოფლიო საფეხბურთო რუკაზე დამჩნევის სურვილია. 51 წლის რამიზ მირზაევი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად 2003 წლის დეკემბერში ხუთი წლით აირჩიეს. მან თანამდებობაზე შეცვალა ფუად მუსაევი, რომელიც აზერბაიჯანულ ფეხბურთს 1992 წლიდან თავკაცობდა.

ფედერაციაში მისვლამდე რამიზ მირზაევი ბაქოს „ნეფთჩის" პრეზიდენტი იყო 2001-03 წლებში, მანამდე კი ფეხბურთთან საერთოდ არ ჰქონია შეხება — „აზერნეფტის" ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი გახლდათ.

ისტორია ხომ არ გეცნობათ? აბრამოვიჩის ფულსაც ნავთობის გემო აქვს. ასე, რომ ამ ორ ადამიანს თანხის რაოდენობა არა, მაგრამ რაღაც ნამდვილად აქვთ საერთო. უბრალოდ, გარედან რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ოცნებების ასახდენად სხვადასხვა გზით მიიწევენ.

**მაიკლ ქოლეტი „როიტერი"**



ზაზა თურმანიძე



ბეგი დარჩია

ჟუჟა ფიროსმანაშვილის ფოტოები

# მოჭიდავეებმა გეგმები შეცვალეს

## დარჩია ბაკურიანშია, თურმანიძე თბილისში იცდის

**ბერძნულ-რომაული** სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაბრუნებული ბეგი დარჩია გუშინ ბაკურიანის გზას დაადგა. დღეს იქ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პირველ შეკრებას იწყებს. ჭიდაობის ფედერაციის მიერ წლის დასაწყისში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, „ბერძენრომაელები" და „თავისუფლები" ბაკურიანში ახალი მწვრთნელების — კობა ჭიჭეიშვილისა და ზაზა ტყეშელაშვილის თავკაცობით ჯერ კიდევ 6 თებერვალს უნდა გამგზავრებულიყვნენ. თავისუფლები ასეც მოიქცნენ, ხოლო ბერძენ-რომაელებმა ნაკრებში ბეგი დარჩიას დაბრუნებამდე შეკრებაზე წასვლა იუარეს.

11 თებერვალს საგანგებოდ შეკრებილმა პრეზიდიუმმა ფედერაციის პრეზიდენტი ბაკურ გოგიტიძე თანამდებობიდან გადააყენა, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეცვალა და გაფიცვაც დასრულდა. ორივე სტილის ნაკრებს ძველი თავკაცები დაუბრუნეს და იქვე გადაწყდა, რომ ევროპის ჩემპიონატამდე გუნდებს კვლავ დარჩია და თურმანიძე მოამზადებენ, მერე კი ნაკრებთა თავკაცებს რიგგარეშე ყრილობა შეარჩევს.

„გუნდის გაფართოებული შემადგენლობა უკვე ბაკურიანის გზას ადგას — გვითხრა გუშინ შუადღისას ბეგი დარჩიამ — საღამოს უკვე მეც მათ გვერდით ვიქნები და ხვალიდან სერიოზულ ორკვირიან შეკრებას დავიწყებთ. თვის ბოლომდე ძირითად ყურადღებას ფიზიკურ მომზადებაზე გავამახვილებ, მერე კი თბილისში დავბრუნდებით და ერთი კვირა „ფალავანთა კლუბში" ტაქტიკას მივხედავთ. წინასწარი გეგმის მიხედვით, 26-27 თებერვალს ანკარაში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე უნდა წავსულიყავით, მაგრამ მიზეზთა გამო იგი ირანული ტურნირით შევცვალეთ, რომელიც 5-6 მარტს გაიმართება. ირანში ალბათ ორ შემადგენლობას გამოვცდი. მინდა, საერთაშორისო შეჯიბრებს ახალგაზრდებიც აქედანვე შეეჩვიონ."

მწვრთნელს დაკარგულ ერთ კვირაზეც ვკითხეთ. გვითხრა, საგანგაშო არაფერია, თუ დარჩენილ დროში ხელი არაფერმა შეგვიშალა, ბიჭები ევროპის ჩემპიონატამდე სასურველ ფორმაში ჩადგომას მაინც მოასწრებენო.

დარჩიასგან განსხვავებით, თურმანიძე სამუშაოს ჯერ არ დაბრუნებია. ბაკურიანში შეკრებილ ნაკრებს ჯერაც გოგიტიძისგან დანიშნული ზაზა ტყეშელაშვილი ავარჯიშებს და სავარაუდოდ 24-25 თებერვლამდე არაფერი შეიცვლება. სწორედ თბილისში ჩამოსულ გუნდს ჩაიბარებს პრეზიდიუმისგან დაბრუნებული მწვრთნელი და ევროპის ჩემპიონატამდე ორჯერ უკვე თავად მოასწრებს სამწუხს მთაში შეკრებას. მანამდე კი ერთი საერთაშორისო ტურნირიც გველოდება — გვაუწყა გუშინ თურმანიძემ. ბერძენ-რომაელთა დარად, ანკარის ტურნირს თავისუფლებმაც უგანეს და მის ნაცვლად მარტის პირველ კვირაში ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჭიდაობა არჩიეს.

ევროპის ჩემპიონატიც ბულგარეთში, ოღონდ ვარნაში გაიმართება 12-17 აპრილს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



საქართველოს ბერძნულ-რომაულ მოჭიდავეთა ნაკრები

ჟუჟა ფიროსმანაშვილის ფოტო





ფრედერიკ დემონფოკოს ოქრო სანატრელი უხდება

# უქართველებო ტატამზე ქართველი მაინც გამოჩნდა

World Cup Men 2005 HUN Budapest

**დიდი** ძიუდოს საგაზაფხულო სეზონის ბუდაპეშტურმა უიქენდმა უქართველებოდ ჩაიარა. თბილისის საერთაშორისო ტურნირის მსგავსად, „მსოფლიოს თასად" მონათლულ უნგრულ პირველობაზე 23 ქვეყნის 167 კიმონოსანი შეიყარა. მონაწილეთა აბსოლუტურ უმრავლესობას იქაც ნაკრების ძირითად შემადგენლობაზე მეოცნებეები შეადგენდნენ, თუმცა იყო რამდენიმე ცნობილი სახეც, რომლებიც თავიდანვე ფავორიტებად მიიჩნეოდნენ.

66 კილოგრამში ათენის ოლიმპიადისა და 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი კუბელი იორდანის არენსიბია უკეთესი სინჯის მედალს, მისდა სამწუხაროდ, ვერც ამჯერად შესწვდა. „ოქროს გზა" მასპინძელთა ჯილამ მიკლოშ უნგვარიმ გადაუკეტა და მერე თავადვე იჩემპიონა.

ვერცხლის მედალს დასჯერდა 2001 წლის მსოფლიოს ფრანგი ჩემპიონი ფრედერიკ დემონფოკო. ერთი კვირის წინანდელ პარიზის სუპერთასზე უმედლოდ დარჩენილი დემონფოკოსთვის უნგრული ვერცხლი ვერაფერი ნუგეშია. მომავალ ტურნირებში თუ ჩვეულად არ იჭიდავა, ალბათ ნაკრებიც სათუო გაუხდება. მის წონაში (90კგ) ბუდაპეშტური ფინალი სამხრეთკორეელმა სუნ-ჰო ჩოიმ იპონით მოიგო, ისევე როგორც მანამდე ჩატარებული ოთხივე შეხვედრა. ჩოის ოქრომდე კორეულ ყულაბაში ნამ-სუკ ჩოს (60კგ) ოქროც ეგდო, რამაც აზიელებს გუნდური ვერცხლი გაუნაღდა.

პირველობისთვის გადამწყვეტი ორი უმძიმესი წონის ფინალი გამოდგა. 100 და +100 კილოგრამებში ფინალს უნგრელმა და იაპონელმა უწიეს. სამივე ორივე ბრძოლაში მასპინძლებმა იმარჯვეს.

ოთხი ჩემპიონი დაბრუნდა შინ ესპანელები და ესტონელები თუ ხესუს პარდოსგან (73კგ) ჩემპიონობას ბევრი არ ელოდა, ალექსეი ბუდოლინი (81კგ) თავისი წონის ერთ-ერთი უძლიერესი ფავორიტი იყო და დემონფოკოსგან განსხვავებით, გულშემატკივრების იმედები არ გაუცრუებია.

უქართველებო პირველობაზე პრიზიორებში ერთი ქართველი გვარი მაინც გამოერია. 66 კილოგრამიანებში ბრინჯაო რუსეთის სახელით მოჭიდავემ სერგეი ბადრიაშვილმა მოიგო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

60 კგ
1 ნამ-სუკ ჩო (სამხრეთ კორეა)
2 იოჰან კოლიაო (საფრანგეთი)
3 ლასლო ბურიანი (უნგრეთი)
3 როკ დრაკშიჩი (სლოვენია)

66 კგ
1 მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი)
2 ალიმ გადანოვი (რუსეთი)
3 იორდანის არენსიბია (კუბა)
3 სერგეი ბადრიაშვილი (რუსეთი)

73 კგ
1 ხესუს პარდო (ესპანეთი)
2 ელნურ მამადლი (აზერბაიჯანი)
3 აკოშ ბრაუნი (უნგრეთი)
3 ანდრეა კორბი (გერმანია)

81კგ
1 ალექსეი ბუდოლინი (ესტონეთი)
2 ჟირი პოკორნი (ჩეხეთი)
3 ტომისლავ მარიანოვიჩი (ხორვატია)
3 ლუკას ბალანდა (პოლონეთი)

90 კგ
1 სუნ-ჰო ჩოი (სამხრეთ კორეა)
2 ფრედერიკ დემონფოკო (საფრანგეთი)
3 ტიერი ფაბრე (საფრანგეთი)
3 მიხაელ პინსკე (გერმანია)

100კგ
1 დანიელ ჰადფი (უნგრეთი)
2 სატოში იში (იაპონია)
3 კვანგ-სუნ იო (სამხრეთ კორეა)
3 ორეიდის დესპაინი (კუბა)

+100კგ
1 ბარნა ბორი (უნგრეთი)
2 დაისუკე მორი (იაპონია)
3 პიერ რობენი (საფრანგეთი)
3 ოსკარ ბრისონი (კუბა)



# ნოკაუტი სასაფლაოზე

**გერმანიის** ყოფილმა ჩემპიონმა, მოკრივე გერჰარდ ბრიკმანმა, რომელიც 88 წლისაა მოყრილა, მეგობრის საფლავის მოსანახულებლად გასწია. მისი თქმით, სასაფლაოზე ასულს ვიღაც გრძელთმიანი ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა და უთხრა, თუ რამ ფული გაქვს, აზლავე დაყაჭეო. ბერიკაცმაც მოიდო ჯიბიდან ფული და მოდი, წაიღეო, მიუგო გრძელთმიანს. გრძელთმიანიც მიუახლოვდა, ბრიკმანმა კი არც აცია, არც აცხელა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მარჯვენა ჰუკი ყბაში გაუქანა.

„ის უმალ ნოკაუტში ჩავარდა, გაიშხლართა და გაითიშა. მე პოლიციაში დავრეკე, მაგრამ მათ მოსვლამდე მომხედური გონს მოვიდა, წამოდგა და გაიქცა" — თქვა ბრიკმანმა.

ახლა როგორც ALLBOXING-ი იუწყება, ქალაქ ჰალბერშტადტის პოლიცია, სადაც ეს ამბავი მოხდა, იმ გრძელთმიანს ეძებს.

**ავთანდილ ტყეშელი**

# შოუ აღარ იქნება

## ფედერაცია მარტში ნაკრების მწვრთნელს წარმოგვიდგენს

თებერვლის ბოლოს საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობა გაცხადდება, თუმც ფედერაცია თადარიგს იჭერს და მის დანიშვნას მარტის დასაწყისში აპირებს. ქართული კალათბურთის მესაჭის ბესიკ ლიპარტელიანის თქმით, ნაკრების საკითხი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და მწვრთნელის შესარჩევადაც დიდი დაკვირვებაა საჭირო. ფედერაციას აღარ აქვს შეცდომის უფლება და ისეთი სპეციალისტი უნდა იპოვოს, რომელიც ნაკრებს სექტემბრის გადამწყვეტ მატჩებს წარმატებით გადაალახვინებს. ხვალ-ზეგ ის 2-3 კანდიდატი შეირჩევა, რომელთაგანაც ერთს ნაკრებს ჩააბარებენ, მანამდე კი ბესიკ ლიპარტელიანი შერჩევის პრინციპებსა და თავისებურებებზე გვესაუბრება...



ბესიკ ლიპარტელიანი დრაჟენ ბრაიკოვიჩის შემცვლელს ეძებს

**— როდის ეყოლება საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი?**

— ჩვენ თადარიგი დავიჭირეთ და გამოვაცხადეთ, რომ ნაკრებს მარტის დასაწყისში ახალი თავკაცი ეყოლებოდა, თუმც მისი ვინაობა უკვე ამ თვის ბოლოს გვეცოდინება.

**— ჯერ არ გადაგიწყვეტიათ?**

— ჯერ ნამდვილად არ შეგვირჩევია და ვერაფერს გეტყვით. ვერც იმათ ვინაობას გავამხელთ, ვისთანაც მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ.

**— რამდენია ასეთი? ორიოდ კვირის წინ გამოაცხადეთ, რომ 15 კანდიდატი გყავდათ...**

— ნამდვილად ასე იყო, თუმც სადღეისოდ 5 შემოგვრჩა და ორიოდ დღეში კანდიდატთა სია ალბათ კიდევ შეიკვეცება.

**— ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი კანდიდატი ცნობილი იტალიელი სპეციალისტი ეტორე მესინაა...**

— მესინასთან მართლაც გვქონდა მოლაპარაკება, რომელმაც, სხვათა შორის, მადლობა გვითხრა იმისთვის, რომ მისი მოწვევა მოვისურვეთ. ის კარგად იცნობს ქართულ კალათბურთს და მინდა გითხრათ, თითქმის ყველა მწვრთნელი, ვისაც ველაპარაკეთ, კმაყოფილი იყო ჩვენთან ურთიერთობით. ზოგს კასეტების გაგზავნაც კი არ დასჭირდა, მინახავს თქვენი ნაკრების თამაში, შემოთვალეს. რაც შეეხება მესინას, მან ისეთი არგუმენტი დაგვისახელა, რომ ურთიერთობა გავწყვიტეთ...

**— თქვით, მესინა კონტრაქტის გამო დაინტერესდაო და ალბათ ეს იყო მიზეზი...**

— ესეც იყო, რა თქმა უნდა, თუმც მესინამ გვითხრა, შვილი შემეძინა და მინდა ოჯახს მივხედოო. მას ხანგრძლივი კონტრაქტი აქვს „ბენეტონთან" და მისი თქმით, ნაკრებს ვეღარ გაწვდება.

**— რა პირობებით გსურთ მწვრთნელის მოწვევა?**

— ფულზე ლაპარაკი არ არის. მთავარია, ისეთი შევარჩიოთ, რომელიც ნათლად დაგვანახვებს, თუ როგორ და რა საშუალებით აპირებს ნაკრების A დივიზიონში გაყვანას.

**— თქვენი მთავარი მოთხოვნაც, ცხადია, საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვაა...**

— ეს თავისთავად და თუ მოახერხა, ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს შევთავაზებთ. ახლა კი გვსურს, 2-3-თვიანი ხელშეკრულება გავუფორმოთ, რათა ხელი რომ მოეცაროს, მასთან ურთიერთობა არ გაგვირთულდეს. თუმც ამაზე ფიქრიც არ გვინდა. საქართველოს ნაკრები, მიუხედავად საკვალიფიკაციო ეტაპზე არცთუ სახარბიელო გამოსვლისა, ვფიქრობ, საკმაოდ ძლიერია და კვლავ ვისახავთ მიზნად ოლიმპიადაზე მოხვედრას.

**— რა გარანტია გაქვთ, რომ ზუსტად ისეთ მწვრთნელს იპოვით, საქართველოს ნაკრებს რომ გამოადგება?**

— ჩვენ ახლა გაცილებით დაკვირვებულები ვართ, ვიდრე ნაკრების წინა მწვრთნელის დანიშვნისას. მაშინ აგენტს მივენდეთ, სათანადოდ არ ჩავეძიეთ დრაჟენ ბრაიკოვიჩის კვალიფიკაციას. საქართველოს ეყოლება საკმაოდ კვალიფიცირებული მწვრთნელი, რომელიც ამ მართლაც ძლიერი მოთამაშეებიდან დიდ გუნდს გააკეთებს.

**— აგენტს აღარ ენდობით?**

— ახლა აგენტი საერთოდ არ გვყავს, გვირჩევნია, პირადად, ოფიციალურ დონეზე ვაწარმოოთ მოლაპარაკება და მწვრთნელის კომპეტენტურობაში ბოლომდე დავრწმუნდეთ.

**— მერე ამის გამოცდილება გაქვთ?**

— არავითარი ზედმეტი და ფარული მოქმედება, ვისაც შევარჩევთ, მისი ქვეყნის კალათბურთის ფედერაციას ვუკავშირდებით და მისი შუამდგომლობით გადავდივართ მწვრთნელზე.

**— თუ მწვრთნელი კლუბშია დაკავებული?**

— იმ ქვეყნის ფედერცია, სადაც ჩვენგან შერჩეული კანდიდატი საქმიანობს, კლუბს უკავშირდება და ეუბნება, თქვენი მწვრთნელით საქართველოს ნაკრები დაინტერესდაო. თუ კლუბი არაა წინააღმდეგი, სამმხრივი მოლაპარაკება იწყება.

**— კარგ მწვრთნელს კარგი ფულიც უნდა, თუმც, როგორც თქვით, ამის პრობლემა არ გაწუხებთ...**

— სწორედ ამ დღეებში შევუთანხმდი ერთ-ერთ სოლიდურ კომპანიას, რომელმაც ნაკრები უნდა დააფინანსოს. დაახლოებით ერთ კვირაში მის ვინაობასაც შეიტყობთ. მე ვუთხარი მათ, რომ ახლავე გამოვაცხადოთ სპონსორის სახელი და ლოგოების აფიშირება დავიწყოთ მეტი პოპულარობის მოსახვეჭად, მაგრამ მათ იუარეს. პრეზენტაციას მოვაწყობთ და საზოგადოება იქ შეიტყობს ნაკრების სპონსორის ვინაობას, რომელიც 99 პროცენტით უკვე ჩვენი პარტნიორია.

**— მაშ „ნუკოილი", „სიმპათია", „სარო" და ავსტრიის ავიახაზები ვინ არიან?**

— ეგენი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს სპონსორობენ, სადაც კლუბებს ძალიან უჭირთ და ამ კომპანიების დაუხმარებლად ერთობ გაგვიძნელდებოდა. მოგეხსენებათ, რა დღეში არიან დღეს ქართული კლუბები. რა ხდება თსუ-ში, „თუჯში" და „დინამოშიც" კი, სხვა სუსტ გუნდებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ჩვენ გულით გვინდოდა, ბავშვთა კალათბურთის აღორძინება და მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც გადავდგით ამ მიმართულებით, მაგრამ დღეს სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ნაკრები და აქცენტსაც მასზე ვაკეთებთ. თუ ეროვნული გუნდი წარმატებას მიაღწევს, სხვა სფეროებსაც მივხედავთ, რადგან დაინტერესება გაიზრდება როგორც სახელმწიფოსგან, ისე კერძო კომპანიებისგან. ახლა კი ეროვნულ ჩემპიონატში ფულის ჩადება არავის უნდა, რადგან ხეირს ვერ ხედავენ. დღეს, სამწუხაროდ, ისევ მეგობრობა-ნაცნობობის ხარჯზე გავდივართ ფონს.

**— კანდიდატთა ვინაობას არ გვიმხელთ და ეგებ ის მაინც გვითხრათ, რომელი ქვეყნების წარმომადგენლებთან გაქვთ საქმე...**

— ექსიუგოსლაველთან, რუსთან, ბალტიისპირელთან, იტალიელთან და თურქთან. ისინი საკმაოდ მაღალკვალიფიციური მწვრთნელები არიან...

**— თქვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, მაინც რა უნდა ახასიათებდეს საქართველოს ნაკრების მთავარ თავკაცს?**

— პირველ რიგში უნდა იყოს დისციპლინირებული, გუნდის დაჭერა უნდა შეეძლოს.

**— ბრაიკოვიჩი საკმაოდ დისციპლინირებული და მკაცრი მწვრთნელი გახლდათ...**

— ეს მხოლოდ სამწვრთნელო პროცესში, მოედანს გარეთ კი არ შეეძლო გუნდის დამორჩილება. ამასთან ერთად უნდა იცოდეს მატჩის წაყვანა, თამაშში მთლიანად უნდა იყოს ჩართული. თუ დაინახავს, რომ კალათბურთელს თამაში არ მისდის, თამამად უნდა გაიყვანოს მოედნიდან. შემონდ უილიამსი ამბობდა, თუ ვერ ვთამაშობ, გამიყვანეთ მოედნიდან, არავითარი პრეტენზია არ მექნებაო. ბრაიკოვიჩის ყველაზე დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ მაკედონიაში 40-40 წუთი ათამაშა ახალგაზრდები. მოკლედ, მწვრთნელი თავდაჯერებული უნდა იყოს. ვფიქრობ, ღირსეულს შევარჩევთ.

**— როდის გაგვიმხელთ კანდიდატთა ვინაობას?**

— სწორედ გამიგეთ, სანამ მოლაპარაკება მიმდინარეობს, ჩემგან ამას ვერ შეიტყობთ, რადგან, რომ ვთქვა, კანდიდატებისთვის მიცემულ სიტყვას გავტეხ. როცა ერთს შევარჩევთ და ხელშეკრულებას გავუფორმებთ, მერე ყველა იმ მწვრთნელს დავისახელებთ, ვისთანაც ურთიერთობა გვქონდა.

**— თავიდან 15 კანდიდატი გყავდაო, თქვით და საინტერესოა, თუ იყო ამ გაფართოებულ სიაში ქართველი მწვრთნელი.**

— ჩვენ ქართველი მწვრთნელის დანიშვნის წინააღმდეგნი არ ვყოფილვართ, მსურველებიც იყვნენ, მაგრამ მათ ბოლომდე არ ჰქონდათ გაცნობიერებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ეროვნული ნაკრების ჩაბარების შემთხვევაში ეკისრებოდათ. ამიტომაც იმთავითვე უარი ვთქვით ქართველზე.

**— ახლაც ისე ხომ არ დანიშნავთ ნაკრების თავკაცს, როგორც მაშინ, ბრაიკოვიჩი პრესკონფერენციაზე რომ წარმოგვიდგინეთ?**

— არა, შოუ არ გვინდა, შეთანხმებას რომ მივაღწევთ, თავად გავაგებინებთ საინფორმაციო საშუალებებს.

**ირაკლი პერტაია**

### საქართველოს ჩემპიონატი

13 თებერვალი. ვერის ბაღი

**სტუ 110:51 სსუ**

**დინამო 84:52 თუჯი**

**თსუ 131:89 მაკაბი**



ამ ბიჭებს კარგი მწვრთნელი სჭირდებათ


ფრანგულ-ქართული კომპანია
"ლეონსიო"
(ელექტრონული დაცვის სისტემები)
**გთავაზობთ**
დისტანციური მართვის უკაბელო სიგნალიზაციის მონტაჟს ოფისებსა და ბინებში საგანგაშო (SOS) ღილაკით
მონტაჟი უფასოა
უპროცენტო განვადებით
მისამართი: ბოდბეს შეს. №6, ქ. თბილისი
ტელ: (995 32) 26 80 80, (995 32) 27 30 99
ფაქსი: (995 32) 27 30 99

ისეთივე საიმედო, როგორც მოედანზე!

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



# აივერსონი 60

**ფილადელფია 112:99 ორლანდო**
ფილადელფია: აივერსონი (60 ქულა, 6 პასი, 5 ჩაჭრა, 4 მოხსნა, 1 დაფარება)
ორლანდო: ფრენსისი (32 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი), ჰილი (16)

„ფილადელფია სიქსერზი" ეგებ ამ სეზონში შიშის ზარს ვერ სცემს მეტოქეებს, მაგრამ მის ჭინკა ლიდერ ალენ აივერსონს ზარმაცობას და ფუქსავატობას ვერავინ დასწამებს. აივერსონი საშუალოდ მატჩში 29 ქულაზე მეტს იხვეჭს და სადღეისოდ რომ ლიგაში საუკეთესო მექულეა, გუშინწინ კიდევ ერთხელ გვიჩვენა.

12 თებერვალს „ორლანდოსთან" შეხვედრაში 183-სანტიმეტრიანმა აივერსონმა თამაშიდან 36 სროლიდან 17 ჩააგდო, 27 საჯარიმოდან 24 გამოიყენა და სულ 60 ქულა მოუგროვდა. გარდა იმისა, რომ ეს მისი ფერადი კარიერის სარეკორდო მონაგარია, 60 ქულა ამ სეზონის საყოველთაო რეკორდიც გახლავთ და ხუთით აღემატება ინდიანელი ჯერმენ ონილის ერთი თვის წინანდელ მიღწევას. ეს შემთხვევითი რომ არ არის, ამას აივერსონის რამდენიმე კვირის წინანდელი 54 და 51-ქულიანი თამაშები ამტკიცებს.

აივერსონის 60 ქულა სარეკორდო იქნებოდა „ფილადელფია სიქსერზის" ისტორიაშიც, 60-იან წლებში ამ გუნდში ქულების მკეთებელ მანქანას უილტ ჩემბერლენს რომ არ ეთამაშა.

11 თებერვალი

**კლივლენდი 101:106 დენვერი**
კლივლენდი: ჯეიმსი (35), ილგაუსკასი (25)
დენვერი: ბოიკინსი (20), მარტინი (19)
*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**შარლოტი 87:97 მაიამი**
შარლოტი: ნაითი (17)
მაიამი: ონილი (32), დ. ჯონსი (22)

**ინდიანა 83:91 ჰიუსტონი**
ინდიანა: ჯექსონი (18), ონილი (18)
ჰიუსტონი: სურა (17), მაკგრეიდი (16)

**ტორონტო 91:106 ფილადელფია**
ტორონტო: როუზი (23), პიტერსონი (22)
ფილადელფია: აივერსონი (30)

**ვაშინგტონი 94:91 კლიპერსი**
ვაშინგტონი: არენასი (35)
კლიპერსი: საიმონსი (24), მეჯიტი (20)

**ბოსტონი 111:94 ნიუ იორკი**
ბოსტონი: დევისი (25), პირსი (17)
ნიუ იორკი: მარბერი (31 ქულა, 10 პასი)

**ნიუ ჯერსი 91:101 სან ანტონიო**
ნიუ ჯერსი: კარტერი (43), კრსტიჩი (17)
სან ანტონიო: პარკერი (27)

**მემფისი 88:82 პორტლენდი**
მემფისი: სვიფტი (23), მილერი (22)
პორტლენდი: რენდოლფი (26)

**ნიუ ორლეანი 111:108 გოლდენ სტეიტი**
ნიუ ორლეანი: როჯერსი (20)
გოლდენ სტეიტი: ფიშერი (23)

**ფინიქსი 105:113 სიეტლი**
ფინიქსი: სტუდემაიერი (33), ნეში (25 ქულა, 14 პასი, 7 მოხსნა), რიჩარდსონი (20)
სიეტლი: ლუისი (23), ალენი (21)

**იუტა 100:82 მინესოტა**
იუტა: ბუზერი (21), კირილენკო (20)
მინესოტა: სპრიუელი (16)

**საკრამენტო 113:115 დალასი**
საკრამენტო: ბიბი (25), ვებერი (23)
დალასი: ნოვიცკი (27), ფინლი (19)

12 თებერვალი

**მილუოკი 113:83 ატლანტა**
მილუოკი: უილიამსი (10), მეისონი (23), კუკოჩი (5), სმიტი (10), გაძურიჩი (3); ჯეიმსი (18), ფაჩულია (27 წუთი, 11 ქულა, 8 მოხსნა, 3 დაფარება, 3 ჩაჭრა, 1 პასი), ვან ჰორნი (11), სტრიკლენდი (11), სანტიაგო (6), ჰამილტონი (5)
ატლანტა: უოლკერი (21)

**დეტროიტი 107:86 ვაშინგტონი**
დეტროიტი: ბილაფსი (21)
ვაშინგტონი: არენასი (24)

# როცა გემი იძირება, მეგობარი გაგიწყდება



ამდენმა წაგებამ ფლიპ სანდერსი „მინესოტას" გაჰყარა

„**ნბა** მოთამაშეთა ლიგაა. ყველა დანარჩენები ვეხმარებით მათ, რათა მაღალ დონეზე ითამაშონ. შესაძლოა, ჩვენს გუნდს, მოთამაშეებს ახალი ხმის გაგონება სჭირდებათ და მე ყველანაირად ვეცდები, ისინი უკეთ ავათამაშო" — თქვა „მინესოტა ტიმბერვულვზის" ვიცე-პრეზიდენტმა კევინ მაკჰეილმა, ხოლო სანამ ამას იტყოდა, თანამდებობიდან გაუშვა მთავარი მწვრთნელი, ძველი თანამებრძოლი და მეგობარი ფლიპ სანდერსი.

„მინესოტას" სჭირდებოდა ცვლილებები და საქმემ მეგობრობა — ძმაკაცობა რომ არ იცის, ამას ამერიკელები სხვებზე ჯიუტად ამტკიცებენ. სანამ მაკჰეილი ნბა-ში, კერძოდ კი „ბოსტონ სელტიქსში" მივიდოდა და იქ ლეგენდარულ ლარი ბერდთან ერთად სამ საჩემპიონო ტიტულს მოიხვეჭდა, 70-იანი წლების ბოლოს ის და სანდერსი სტუდენტობაში ერთად თამაშობდნენ. შემდეგ, 1995 წელს, მაკჰეილი „მინესოტას" ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა და „მგლების" მწვრთნელად ძველი მეგობარი მიიყვანა. სანდერსი ურიგოდ არ უძღვებოდა საქმეს, 1997-2004 წლებში ზედიზედ რვაჯერ გაიყვანა გუნდი პლეი ოფში, შარშან კი „მგლებს" კლუბის ისტორიაში სარეკორდოდ ბევრი, 58 თამაში მოაგებინა და რეგულარული სეზონის შემდეგ, პლეი ოფშიც დასავლეთ კონფერენციის ფინალში ათამაშა, მაგრამ როცა გემი იძირება, კაპიტნის ძველი დამსახურებები ყველას ავიწყდება. „მინესოტამ" ნოემბრის აქეთ 51 თამაშიდან 26 წააგო (წინა სეზონში სულ მოუგროვდა 24 მარცხი). აქედან ბოლო რვა შეხვედრაში ერთადერთი გამარჯვება მოიპოვა და ადგილიც დაკარგა.

ნბა-ს გუნდებიდან ამ სეზონში დათხოვნილ თავკაცთაგან სანდერსი მეხუთეა.



## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
II ეტაპი. შვედეთი. 359,9 კმ

# სოლბერგის პირველი მეზობლური



ურთულესი თოვლყინულიანი პირობების მიუხედავად, შვედეთის რალი ერთ-ერთი ყველაზე ჩქაროსნულია სეზონის 16 ეტაპს შორის. შარშანდელმა გამარჯვებულმა ფრანგმა სებასტიენ ლოებმა სამდღიანი დისტანცია 115კმ/სთ საშუალო სისწრაფით გაიქროლა და ამ მეტად პრესტიჟული რბოლის 55-წლიან ისტორიაში პირველი არასკანდინაველი მომგები გახდა.

დასავლეთ შვედეთში, ქალაქ კარლსტადის შემოგარენში გამავალ გზაზე დღევანდელებიდან ლოების გარდა მხოლოდ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ფინელმა მარკუს გრონჰოლმმა მიაღწია წარმატებას, თანაც სამჯერ და ამჯერადაც ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტად ითვლებოდა. სიუბილეო, მეასე საკარიერო რბოლა კარგადაც დაიწყო — თავიდან დაწინაურებულ ნორვეგიელ ექსჩემპიონ პეტერ სოლბერგს პირველი დღის მიწურულს ლიდერობა ჩამოართვა და შანსიც მიეცა, თუ არა, მეორე ადგილის მიღწევისთვის შანსს ინარჩუნებდა. მაგრამ კვირას შინ მანქანა ამოუყირავდა და ბრძოლას გამოეთიშა.

ლოები ძრავის პრობლემებმა დააწვალა. გამაცივებელი სისტემის დიატორიდან ცვლილებით გადაირჩინდა, „სიტროენმა" სიჩქარე დაკარგა და ბოლოც გაუჩნდა. ქანქალობებმა ხარვეზის აღმოფხვრა ვერ შეძლეს და მოქმედმა ჩემპიონმა მოლოსწინა ჩქაროსნულ უბანზე წინააღმდეგობა შეწყვიტა.

კიდევ ერთი კონკურენტი, ესტონელი მარკო მარტინი პეტერს ათი წუთით ჩამორჩა და მის ეკიპაჟისთვისაც ალარაფერი უზრუნველყოფა მთავარი იყო, ფინიშთან მისვლისკენ ბიანად მისულიყო.

სოლბერგისა და მისი ინგლისელი თანამძღოლის ფილ მილსის „სუბარუმ" პირველად იზეიმეს შვედეთში. 111,3 კმ/სთ ეს ინდივიდუალური ეკიპაჟის მე-7 ადგილი პრიზია 77 რბოლაში.

მეხუთე ადგილზე გავიდა პეტერის უფროსი ძმა ჰენინგ სოლბერგი, ხოლო მეექვსე პოდიუმით სათავეში ნაცვლად ფინელი ტონი გარდმაისტერი და მისი ახალი თანამემამულე შტურმანი იაკე ჰონკანენი.

მესამე ეტაპი ერთი თვის შემდეგ მექსიკაში გაიმართება.

**გია ახალაძე**



პეტერ სოლბერგმა მეზობელ შვედეთში პირველად იფრინა

### რბოლის შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 3სთ; 00.52,1 |
| 2 | მარკო მარტინი (ესტონეთი, პეჟო) | ჩამორჩა 2.11,1 |
| 3 | ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, ფორდი) | 3.14,7 |
| 4 | ჰარი როვანპერა (ფინეთი, მიცუბისი) | 3.26,4 |
| 5 | ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, ფორდი) | 3.29,8 |
| 6 | დანიელ კარლსონი (შვედეთი, პეჟო) | 3.42,5 |
| 7 | ჯანლუიჯი გალი (იტალია, მიცუბისი) | 4.04,0 |
| 8 | რომან კრესტა (ჩეხეთი, ფორდი) | 4.39,6 |

### საერთო ჩათვლა

1 გარდმაისტერი — ჰონკანენი 14 ქულა; 2 მარტინი — პარკი 13; 3 ლოები — ელენა (სიტროენი) 10; 4 პ. სოლბერგი — მილსი 10; 5 როვანპერა — პიეტილაინენი 8; 6 პანიზი — პანიზი (მიცუბისი) 6; 7 გრონჰოლმი — რაუტიაინენი (პეჟო) 4; 8 ჰ. სოლბერგი — მენკერუდი 4; 9 კარლსონი — ანდერსონი 3; 10 შტოლი — მინორი (სიტროენი) 2; 11 გალი — დამორე 2

### კონსტრუქტორთა თასი

1 ფორდი 20 ქულა; 2 პეჟო 17; 3 მიცუბისი 17; 4 სიტროენი 11; 5 სუბარუ 10; 6 შკოდა 3



# მირზამ ჰინდუნი კრიკეტიდან ჩოგბურთისკენ გამოახედა

**ჰაიდარაბადის ღია პირველობა**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 140 ათასი $**
**ფინალი**

**სანია მირზა (ინდოეთი) — ალინა ბონდარენკო (9, უკრაინა) 6:4, 5:7, 6:3**

**ჰაიდარაბადის** ღია პირველობაზე სხვა დროს ვგებ საერთოდაც არაფერი გვეთქვა, მაგრამ რაკილა იქ ამ ჯერზე ისტორიული ამბავი მოხდა, ვალდებულნი ვართ, ორიოდ ბაიტ ინფორმაციას მაინც გამოვიდეთ.

მოხდენით კი ის მოხდა, რომ ტურნირზე ყველასათვის მოულოდნელად 18 წლის ჰინდუგოგო სანია მირზამ იჩემპიონა და დაბლტეის რაგინდარა საერთეული ტიტულის მომხვეჭი პირველი თავისქვეყნელი ქალი შეიქნა.

ეს საონო გოგონა მილეთის ყურადღების ცენტრში პირველად ამ ორიოდე კვირის წინ, ავსტრალიობის მესამე წრეში (მომავალ ჩემპიონ სერენა უილიამსთან) ბუქნაობისას მოექცა. სანიამ იმ მატჩში თავი ლაღი ჩოგნაობითა და კეთილი ზნით დაგვამახსოვრა.

იმ დღიდან მოყოლებულივე იქცა ის საზოგადოდ კრიკეტზე გადარეული ინდოეთის საამაყო შვილად და სწორედ ამიტომ იყო, გუშინდელი იქაური პრესის პირველგვერდებზე მისი ფოტოები რომ გამოებეჭდათ.

„შენ ჩვენ კრიკეტიდან ჩოგბურთისკენ მოგვახედე“— ასე ეწერა ჰაიდარაბადელ ქომაგთა მიერ გაშლილ ტრანსპარანტზე, ხოლო ქვეყნის ყველაზე სახელგანთქმული მეჩოგნე რამანათან კრიშნანი, ვისაც 1960-61 წლებში უიმბლდონურ ნახევარფინალშიც უთამაშია, სულაც ქათინაურებად დაიღვარა:

„ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რა სიმაღლეებს დაიპყრობს ის მომავალში, მაგრამ ჩვენი ჩოგბურთის ისტორიაში ის სამუდამოდ დარჩება, როგორც ქალთა ჩოგნაობის რევოლუციონერი.“ ინდოეთის ჩემპიონყოფილ საი ჯაიალაკშმის აზრით კი წინათობელ ჰინდუქალთაგან სანიას უცხო რამ თავდაჯერებულობა გამოარჩევს.

სრულად ვეთანხმებით რა ქალბატონ საის, ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ ეს ტურნირი სანია მირზამ რეიტინგსიის 134-ეადგილოსნად დაიწყო და სადღაც ზესეულთან მიახლოვებულმა გაასრულა. ზესეულში აღწევება კი — ვინძლო, თავადაც მიხვდებოდით — ამ ეტაპზე ჰინდუ ნინველას უმთავრესი ამოცანაა.

ჰო, მართლა — შარშანდელ ჰაიდარაბადობაზე სანიამ სამხრეთაფრიკელ ჰუბერთან ერთად საწყვილოსნო შეჯიბრი მოიგო და ამით რაგინდარა პროფესიული ტიტულის მომრეწი უმრწემესი ჰინდუ გახდა.

**OPEN GAZ DE FRANCE**
**პარიზი. აკრილი**
**საპრიზო 585 ათასი $**
**მეოთხედფინალი**

**დინარა საფინა** (რუსეთი) — სერენა უილიამსი (1, აშშ) სერენამ კუჭის სალმობის გამო ვერ ითამაშა; **ამელი მორეზმო** (2, საფრანგეთი) — მაგდალენა მალეევა (8, ბულგარეთი) 6:2, 7:6 (7:2); **ნადია პეტროვა** (4, რუსეთი) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 2:6, 6:1, 7:5; **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — სილვია ფარინა ელია (7, იტალია) 6:0 ფარინა ელიამ შეწყვიტა

**ნახევარფინალი**

**მორეზმო** — პეტროვა 7:5, 6:3; საფინა — გოლოვინი 6:1, 4:6, 7:6 (7:2)

**OPEN 13**
**მარსელი. მაგარსაფარი**
**საპრიზო 469 ათასი €**
**ნახევარფინალი**

**იოახიმ იოჰანსონი** (3, შვედეთი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:7 (1:7), 7:6 (8:6), 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (8, ხორვატია) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 7:5, 2:6, 6:4

**SAP OPEN**
**სან ხოსე. მაგარსაფარი**
**საპრიზო 355 ათასი $**
**ნახევარფინალი**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — ტომი ჰაასი (3, გერმანია) 7:6 (7:3), 6:3; **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — იურგენ მელცერი (7, ავსტრია) 6:7 (3:7), 6:3, 6:3

**ბუენოს აირესის ღია პირველობა**
**თიხნარი**
**საპრიზო 355 ათასი $**
**ნახევარფინალი**

**გასტონ გაუდიო** (2, არგენტინა) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 6:4; **მარიანო პუერტა** (არგენტინა) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4, 7:6 (7:5)



# ნიტლინგმა 52 წამიდან ამოცურა

**შაბათს** საღამოს ნიუ იორკში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშების მე-7 ეტაპზე სამხრეთაფრიკელმა რიკ ნიტლინგმა კვლავ გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. ეს მოხდა 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, რომელიც 51, 52 წამში დაფარა და ამგვარად გახდა პირველი ადამიანი, ვინც ამ დისციპლინაში დისტანცია 52 წამიდან „ამოცურა“.

შეგახსენებთ, რომ რიკ ნიტლინგმა ძველი რეკორდი დაამყარა მოსკოვში 22 იანვარს (52,01)



# მერმა ქალაქის პრესტიჟი იხსნა და მონრეალს ცურვა დაუბრუნდა



**ბოლოს** და ბოლოს, წერტილი დაესვა ამ ზაფხულს გასამართი მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის პრობლემას, რაც არა მხოლოდ აუზში, არამედ გაშლილ ზღვაში მოცურავეთა შეჯიბრებას, აგრეთვე წყალბურთელთა, წყალში მხტომელთა და სინქრონული ცურვის ოსტატთა ასპარეზობასაც ითვალისწინებს.

მას შემდეგ, რაც ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (ფინა) მონრეალს ფინანსური პრობლემების გამო ამ შეჯიბრების მასპინძლობის პატივი ჩამოართვა, მისი მიღება, როგორც ვიუწყებოდით, ნიუ იორკმა, ათენმა, ბერლინმა, პარიზმა და ბოლოს, მოსკოვმაც ისურვა, რისთვისაც ამ ქალაქებმა სათანადო ოფიციალური განაცხადებიც გააკეთეს. მერე მასპინძლობაზე ხელი აიღო ნიუ იორკმა და ბოლოს პარიზმაც უკან გაიტანა განაცხადი.

ამასობაში მონრეალის მერმა მასპინძლობის პატივის აყრა ქალაქის პრესტიჟზე ლახვარის ჩაცემად აღიქვა და თქვა, ნემსის ყუნწში გავძვრები და თანხას სპონსორთაგან პირადად მოვიძიებ, ან, ბოლოსდაბოლოს, ქალაქის საბჭო საკუთარ თავზე აიღებს შეჯიბრების ორგანიზატორთა ფინანსური დეფიციტის დაფარვასო.

მონრეალში ამ აჟიოტაჟს, როგორც ვიუწყებოდით, შეეწირა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის დირექტორი. მან საკუთარ ავტომობილში თავი მოიკლა მას მერე, რაც იმ უბედურს პრესამ ჩემპიონატის დაკარგვის გამო კრიტიკის უმოწყალო ქარცეცხლი დაატეხა თავს.

ასე იყო თუ ისე, ფინამ ჩემპიონატის მასპინძლობის გასარკვევად უკანასკნელ თარიღად შუა თებერვალი დათქვა. და აი, პრობლემას წერტილი დაესვა — ეს ჩემპიონატი მონრეალს დაუბრუნდა. ასე გადაწყვიტა ფინამ თავის გუშინწინდელ სხდომაზე, რომელიც ოთხ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მონრეალის მერმა ჟერალდ ტრემბლემ პირადად დადო პირობა, რომ შეჯიბრების ჩასატარებელ დეფიციტს ქალაქის საბჭო დაფარავსო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# წლის ქალ-კაცი

**ამერიკის** შეერთებული შტატების ოლიმპიურმა კომიტეტმა მაიკლ ფელპსი, რომელმაც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე 6 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, წლის სპორტსმენად დაასახელა. ქალთაგან ასეთივე პატივი წილად ხვდა კარლი პატერსონს, რომელიც აშშ-ს სოფთბოლელთა ნაკრების წევრია



# პატიმარს ვიცე პრეზიდენტის სავარძელს უყანყალებენ

**არაერთხელ** ვიუწყებოდით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კორეელი ვიცე-პრეზიდენტის კიმ უნ იონის ფინანსურ მაქინაციებზე, რაშიც ის თავის სამშობლოს პოლიციამ ამხილა. ბოლოს კი მას ორწელნახევრიანი პატიმრობაც მიუსაჯეს.

შეგახსენებთ, რომ კიმ უნ იონის დანაშაულთაგან უმთავრესი იყო ქრთამის აღება.

გამოძიებით დადგინდა, რომ ამ კორეელის დაჟინებით ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს ტაეკვანდო, რისთვისაც მან მის მიერვე კონტროლირებადი ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციისაგან და სხვა სპორტული ორგანიზაციებისაგან ქრთამად 3 მილიონი დოლარი აიღო.

მიუხედავად იმისა, რომ კიმ უნ იონი ახლა ციხეშია, იგი მაინც რჩება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად.

და აი, ამ ორგანიზაციის აღმსრულებელმა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა ამ ორგანიზაციის წევრებს, რათა კიმ უნ იონი ვიცე-პრეზიდენტის პოსტიდან გადააყენონ. აღმასკომის რვა წევრი დაეთანხმა ეთიკის კომისიის წინადადებას, რომელმაც 74 წლის პატიმარი კორეელი, იმავდროულად ფუნქციონერი მიიჩნია „ოლიმპიური მოძრაობის რეპუტაციის სერიოზულ დისკრიმინატორად.“

ახლა კიმ უნ იონის ვიცე-პრეზიდენტობის საკითხს ივლისში სინგაპურში გასამართი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე მისი 120 წევრი გადაწყვეტს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ექვსი ერი 2005

# ენაგადმოგდებული იტალიელები და ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი

12 თებერვალი. რომი

**იტალია 8:38 უელსი**

იტალია: როლანდ დე მარინი (მატეო ბარბინი), მირკო ბერგამასკო, უოლტერ პოცებონი (პოლ კეინ რობერტსონი), ანდრეა მასი, ლუდოვიკო ნიტოლია; ლუჩანო ორკერა, ალესანდრო ტრონკონი (პოლ გრიფენი); სერჯიო პარიზე, მაურო ბერგამასკო (დავიდ დალ მასო), აარონ პერსიკო, მარკო ბორტოლამი (კაპ), სანტიაგო დელაპე (კარლო ანტონიო დალ ფავა), მარტინ კასტროჯოვანი (სალვატორე პერუჯინი), ფაბიან ონგარო, ანდრეა ლო ჩიჩერო

*1 ლელო: ორკერა; 1 საჯარიმო: დე მარინი*

უელსი: გარეტ ტომასი (კაპ), ჰალ ლუსკომბი (კევინ მორგანი), ტომ შალკინი, გევინ ჰენსონი, შეინ უილიამსი; სტივენ ჯონსი (სერი სვიტნი), დუეინ პილი (გარეტ კუპერი); მაიკლ ოუენი, მარტინ უილიამსი (რობინ სოუდენ-ტეილორი), ჯონათან ტომასი, რობერტ სიდოლი, ბრენტ კოკბეინი, ადამ ჯონსი (ჯონ იაპი), მეფინ დევისი (რობინ მაკბრაიდი), გეთინ ჯენკინსი (იან გუ)

*6 ლელო: ჯ. ტომასი, შალკინი, მ. უილიამსი, კოკბეინი, შ. უილიამსი, სიდოლი; 4 გარდასახვა: ს. ჯონსი*

**ამ უქმეებზე** 6 ერის გათამაშების მეორე ტური გაიმართა. შაბათის ორი მატჩიდან უფრო დაძაბული და საინტერესო შოტლანდიის ირლანდიასთან დაპირისპირება უნდა ყოფილიყო, თუმცა პროგნოზები არ გამართლდა და ირლანდიელები „სქოთებს" იმაზე ადვილად გაუსწორდნენ, ვიდრე ველოდით.

ტურის პირველი მატჩი რომში, „სტადიო ფლამინიოზე" გაიმართა. იქაურები უელსელებს მასპინძლობდნენ. ტრიბუნებზე გამოჩდნენ რომაელ ლეგიონერთა სამოსში გამოწყობილი იტალიელები, რომლებიც მთელი თამაშის განმავლობაში „ჩვენს წინაპართა მიწა-წყალს" მღეროდნენ.

აჯობეს იტალიელებმა სტუმრებს სიმღერაში, ნაღდად აჯობეს, მაგრამ უელსი სასიმღეროდ არ გასულა მოედანზე და სულ მალე მასპინძლებმა რაგბის გაკვეთილი მიიღეს.

შაბათს, ისეთი მძვინვარე, მოქნილი და ცეცხლისმფრქვეველი იყო „უელსური დრაკონი", რომ ლეგიონერთა ფორმაში გამოწყობილი გულშემატკივრის სიმღერა კი არა, ნამდვილი ლეგიონერთა კოჰორტაც რომ მოგვეყვანათ თავის იულიუს კეისრიანად, ისინიც ვერაფერს დააკლებდნენ.

გაიბრწყინა შეინ უილიამსმა, რომელიც ისეთი სისწრაფით დაქროდა მოედანზე, რომ იტალიელები ენაგადმოგდებულები დასდევდნენ. მაგრამ დაჩაგრეს მასპინძლები სისწრაფეში უელსელებმა. არც სხვა სარაგბო კომპონენტში იყვნენ ჯაბანნი, მაგრამ ტემპში განსხვავება განსაკუთრებით თვალში საცემი გახლდათ.

„დრაკონთა" 6 ლელოსა და 4 გარდასახვის წილ „ატურიმ" ერთი ლელო და ერთიც საჯარიმო გაიტანა და კი ბარაქიანად წააგო.

**ლადო ფულუკიძე**



# იაშვილი მამლებს ყოჩად მოვლენია

**ინგლისი 17:18 საფრანგეთი**

ინგლისი: ჯეისონ რობინსონი (კაპ), მარკ კუეტო (ბენ კოენი), ჯეიმი ნუნი, ოლი ბერკლი, ჯოშ ლიუსი; ჩარლი ჰოჯსონი, ჰარი ელისი (მეტ დოუსონი); მარტინ კორი (ენდი ჰეზელი), ლუის მუდი, ჯო უორსლი, ბენ კეი, დენი გრიუკოკი, ფილ ვიკერი, სტივ ტომპსონი, გრემ როუნთრი

*2 ლელო: ბერკლი, ლიუსი; 2 გარდასახვა: ჰოჯსონი; 1 საჯარიმო: ჰოჯსონი*

საფრანგეთი: პეპიტო ელორგა, კრისტოფ დომინისი, დამიენ ტრაი, ბრაიან ლიბენბერგი, ჯიმი მარლუ (ჟან-ფილიპ გრანკლოდი); იან დელაიგი (ფრედერიკ მიშალაკი), დიმიტრი იაშვილი; ჟულიენ ბონარი, სებასტიენ შაბალი (იანიკ ნიანგა), სერჟ ბეტსენი, ჟერომ თიონი, ფაბიენ პელუ (კაპ) (გრეგორი ლამბოლი), ნიკოლა მასი (ოლივიე მილუ), სებასტიენ ბრუნო (უილიამ სერვა), სილვიან მარკონე

*6 საჯარიმო: იაშვილი*

**ტურის** ცენტრალური მატჩი გუშინ თვიქენემში გაიმართა. ინგლისელი „ვარდები" ფრანგ „მამლებს" დაუხვდნენ და საკუთარ კედლებში აპირებდნენ პირველ ტურში ნაჭამი სირცხვილის ჩამორეცხვას.

არც ფრანგები გახლდნენ უმოტივაციოდ. ჯერ ერთი, ტიტული აქვთ შესანარჩუნებელი, თანაც, თვიქენემში სათამაშოდ ყველა განსაკუთრებულად ემზადება და მესამეც, ბევრი თვლიდა, რომ პარიზში, შოტლანდიასთან მატჩში გამარჯვებას არ იმსახურებდნენ. ჰოდა ახლა, მსოფლიოს ჩემპიონთან თამაშში უნდა გამოჩენილიყო „ლურჯთა" ნამდვილი რაობა.

თამაშის წინა დღეებში ორივე გუნდის თავკაცმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა განაცხადში. „ვარდების" დამრიგებელმა ენდი რობინსონმა აღიარა, რომ ცვლილებებს მის მიერ პირველ მატჩში დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზნით მიმართა. მისმა კონკურენტმა ბერნარ ლაპორტმა კი ახსნა, უბრალოდ, შემადგენლობის როტაციას მივმართავთ.

ასე იყო თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: ფრანგთა სასტარტო თხუთმეტკაცში დიმიტრი იაშვილიც გაერია 9-ნომრიანი მაისურით.

მსაჯის სასტვენიდან 4 წუთი იყო გასული, როდესაც სტუმრებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს. დიმიტი იაშვილმა ფრანგები დააწინაურა.

ინგლისელებს ასეთი დაწყება არ ეამათ და სტუმრებს მიაწვნენ. უპირატესობა მათი იყო, თუმცა რამდენიმე ეპიზოდში ფრანგებმა სიტუაციის განმუხტვა შეძლეს. 15 წუთი აწვებოდა ინგლისი საფრანგეთს, სანამ როგორც იქნა, თავისი არ გაიტანა. მე-19 წუთი მიდიოდა, ჯეიმი ნუნმა „მამალთა" დაცვა გაარღვია და ბურთი ოლი ბერკლის მიაწოდა. მანაც ძელებს შორის დაიმხო ბურთი. ლამაზად გამოუვიდათ. ჩარლი ჰოჯსონის ზუსტმა გარდასახვამ კი ანგარიშიც უფრო მიმზიდველი გახადა. თვიქენემმა ამოისუნთქა. ინგლისი 7:3-ს იგებს.

არ შეჩერებულა ინგლისელთა შეტევები, ისევ ისე აწვებოდნენ სტუმრებს. ფრანგები თავის დაცვას ცდილობდნენ, ერთხელ იაშვილმაც აიღიტანა ბურთი ძლიერი დარტყმით, მაგრამ ჯიგარაშლილი ინგლისელები მეტოქის გატეხვას პირველივე ტაიმში ეშურებოდნენ. 27-ე და 29-ე წუთებზე გუნდებმა თითოჯერ დაარტყეს საჯარიმოები ზუსტად. ინგლისელთაგან ჰოჯსონმა იქნაღა, ფრანგთაგან იაშვილმა.

10:6 ის ანგარიში არ არის, რომ დაწყნარების უფლება გქონდეს ისეთ მეტოქესთან, როგორიც საფრანგეთია. ამიტომაც არც ერთი წამით არ შენელებულა მასპინძელთა შეტევები. უნდოდათ, პირველივე ტაიმის მერე გაესტუმრებინათ ფრანგები გასახდელში უხასიათოდ. მართლებიც იყვნენ. შოტლანდიასთანაც აგებდა საფრანგეთი, მაგრამ მოიგო. მართალია, ინგლისი შოტლანდია არაა, მაგრამ რა იცი, რა ხდება...

4 წუთი რჩებოდა პირველი ნახევრის დასასრულამდე რომ ჯოშ ლიუისიმ ლელო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა გაზარდა. ამას ჩარლი ჰოჯსონმა ზუსტად შესრულებული გარდასახვა მოაყოლა და პირველი ტაიმი ინგლისის სასარგებლოდ, 17:6 დასრულდა.

მეორე ტაიმში რა მოხდა? ბევრი არაფერი. დიმიტრი იაშვილმა კიდევ 4 საჯარიმო დარტყმა შეასრულა ზუსტად და ფრანგებს 18:17 მოაგებინა.

**ლადო ფულუკიძე**

| | თ | მ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 2 | +38 | 4 |
| უელსი | 2 | 2 | +32 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | +8 | 4 |
| ინგლისი | 2 | 0 | -3 | 0 |
| შოტლანდია | 2 | 0 | -34 | 0 |
| იტალია | 2 | 0 | -41 | 0 |



# გონს მოგებულმა სტუმრებმა უგონო მასპინძლები მიახრჩვეს

12 თებერვალი. ედინბურგი

**შოტლანდია 13:40 ირლანდია**

შოტლანდია: კრის პატერსონი, საიმონ დანიელი, ედი კრეიგი, ჰუგო საუთველი, შონ ლამონტი; დან პარკსი, კრის კოუსიტერი (მაიკლ ბლერი); ალისტერ ჰოგი, ჯონ პეტრი, ჯეისონვაიტი, სკოტ მიურეი (ნათან ჰინისი), სტიუარტ გრიმსი, გევინ კერი, გორდონ ბალოკი (კაპ), ტომ სმიტი

*2 ლელო: საუთველი, პეტრი; 1 გარდასახვა: პატერსონი*

ირლანდია: გორდან მერფი, გირვან დემპსი (გევინ დაფი), შეინ ჰორგანი, კევინ მაგსი, დენის ჰიკი; რონან ოგარა (დევიდ ჰემფრიზი), პეტერ სტრინგერი (გაი ისტერბი); ენტონი ფოლი, ჯონი ოკონორი (ერიკ მილერი), საიმონ ისტერბი, პოლ ოკონელი, მალკოლმ ოკელი, ჯონ ჰეიესი, შეინ ბირნი (ფრენკი შეანი), რეჯი კორიგანი (მარკუს ჰორანი)

*5 ლელო: ოკელი, ოკონელი, ჰიკი, ჰეიესი, დაფი; 3 გარდასახვა: ოგარა (2), ჰემფრიზი; 3 საჯარიმო: ოგარა*

**საფრანგეთთან** გვარიანად ნაომარი შოტლანდიის გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა მეზობელ ირლანდიელთა სტუმრობას. მათი გუნდის თამაშმა პირველ ტურში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ირლანდიელებს კი ორი ვარსკვლავი, ბრაიან ოდრისკოლი და გორდონ დარსი არ ახლდათ, რომლებიც იტალიელებთან მატჩისას დაუშავდათ.

ვითომ რატომ არ უნდა ჰქონოდა „სქოთთა" გულშემატკივარს იმედი?

ყველაფერი ისე დაიწყო, მასპინძლებს რომ გაუხარდებოდათ. მერვე წუთზე კრის პატერსონმა ზუსტად დაარტყა საჯარიმო და შოტლანდია წინ გაიყვანა. 4 წუთის შემდეგ ჰუგო საუთველმა ლელოც მიართვა სტუმრებს და „სქოთები" 8:0 დაწინაურდნენ.

ამის შემდეგ გონს მოეგნენ ირლანდიელები და მასპინძლებიც მაგრად შეახურეს. აჯობეს მოლის დადგმაშიც და მიწაზე თამაშშიც. მიაწვნენ და ძალა რომ ალმართსაც ხნავს, მალევე დაამტკიცეს.

ოგარამ ჯერ საჯარიმო დაარტყა ზუსტად, შემდეგ კი ოკელის მიერ დადებული ლელო გარდასახა. ოკელის ლელო ისე დაიდო, ქართველები რომ ვართ ნაჩვევნი. მოლში დაითრია ბურთი გუნდის ვეტერანმა, რომელმაც 70-ე მატჩი ითამაშა ნაკრებში და ჩათვლის მოედანშიც მიწოლით შეათრიეს. ამას ოგარამ კიდევ ერთი საჯარიმო მოაყოლა.

შემდეგი, ვისაც ირლანდიელებმა მოლის წყალობით ლელო გაატანინეს, ოკონელი აღმოჩნდა. ოგარამ ამჯერად ვერ გარდასახა და პირველი ტაიმი 8:18 დამთავრდა სტუმართა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ირლანდიელებმა საბოლოოდ მოახრჩვეს „სქოთები" და ანგარიში მხოლოდ ერთხელ შეამცირებინეს, როდესაც ჰიკის ლელოს და ოგარას გარდასახვას პეტრიმ გარდაუსახავი ლელოთი უპასუხა.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მოედანს მთლიანად ირლანდია დაეპატრონა. ჰეიესმა და დაფიმ კიდევ თითოჯერ გადაკვეთეს ჩათვლის ხაზი. ჰამფრისმა ერთი ზუსტი გარდასახვა მიითვალა, ოგარამ კი კიდევ ერთი ზუსტი საჯარიმო. შედეგად — 13:40 ირლანდიის სასარგებლოდ.

**ლადო ფულუკიძე**

REUTERS ბერლინიდან




# პირველი სიმბოლოები

უკვე გაჩნდა 2006 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი სიმბოლოები: ათევროიანი მონეტა და მარკა, რომლებიც ხალხს შეახსენებს, რომ ჩემპიონატის მასპინძელი სწორედ გერმანიაა, ოფიციალური თილისმა კი ლომი გოლეო.

REUTERS ბერლინიდან




REUTERS ნაირობიდან




# ბრმა მორბენალი

კენიელი ჰენრი ვანიოკე (მარჯვნივ) ბრმაა და ათენის ხეიბართა ოლიმპიადის ჩემპიონია სირბილში. ახლაც მშობლიურ ნაირობიში 12 კილომეტრიან კროსში ჩაბმულა, ვანიოკეს მუდამ თან ახლავს გზამკვლევი და არანაკლები მორბენალი ჯოზეფ კიბუნჯა (მარცხნივ).

# გამარჯვებული

ბობ მარტინის ამ ფოტომ მოიგო წლის საუკეთესო სპორტული ფოტოს პრიზი. იგი ათენის ხეიბართა ოლიმპიურ თამაშებზეა გადაღებული და ბევრ ნამდვილ გრძნობას აღძრავს მაცქერალში. მსოფლიო პრეს ფოტო 2004-ის შედეგები გასული კვირის ბოლოს გამოქვეყნდა და ყველა ნომინაციაში სურათები ძალიან შთამბეჭდავი იყო.



REUTERS ათენიდან

# მობურთალი სუმატრაზე

მიწისძვრა-წყალდიდობით გაპარტახებულ სუმატრას მთელი მსოფლიო ეხმარება. გაეროს კვების პროგრამით კუნძულზე ჩაფრენილა „ნიუ იორკ ჯაიანთსის" მობურთალთა გუნდის კვორტესბეკი კურტ უორნერი, ვისაც თავისი წილი ქველმოქმედებაც გაუწევია ტანჯულთათვის.





REUTERS ბანდა აჩეჰიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოძერია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე
ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge